

# ლიტერატურული გაზეთი

№11 (291) 9 - 15 ივლისი 2021

ბამონის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი

აბო იაშალაშვილი

## ბრაუ მონტა-კრისტოს სურჯინი

ფრაგმენტი  
მომავალი რომანიდან

I  
ტფილისის ალაყაფი

მტვრიან გზაზე გამოჩნდა სახრჩობელა და ეს ცივილიზაციის ნიშანი მივიღეთ ტფილისთან მიახლოების დასტურად. შორიდან ვერ გარჩევდი, ზედ რა ეკიდა — ტომრები თუ ადამიანი. კამათიც გავმართეთ და ახლოს რომ მივედით, აღმოჩნდა ტომარაში ჩადებული ადამიანი. ცოტაც და შემოვედით ასე ნანატრ ქალაქში და ეს გრძელი გზა, როგორც იქნა, უკან მოვიტოვეთ. პირველი, რაც უნდა მომემოქმედა, იყო, ჩვენი კონსული ფინოს მოძებნა, ვინც უკვე დიდი ხანია, მოგველოდა და მალე სწორედაც მის სახლს მივადექით მთანმინდაზე.

კონსული ფინო ყავას ხვრებდა და სიამოვნებისაგან თვალებს ნაბავდა. ის წარმოადგენდა საფრანგეთის რესპუბლიკას ტფილისში.

— მე შემძლია, შემოგთავაზოთ ნამდვილი თავგადასავალი, — ეს იყო პირველი, რაც მისგან გავიგონე, მას მერე, რაც ჩვენი და სახრჩობელის შეხვედრისა ვუამბე.

— გისმენთ, — ეს იყო ოდენ ზრდილობის სიტყვა, რაკი თავგადასავალი ამ მოგზაურობისას უკვე იმდენი შეგხვდა, რომ ახალი აღარაფერში მჭირდებოდა.

— მოვიპაროთ ჩამოხრჩობილი ავაზაკი, მივყიდოთ ის მედიკოსებს და ამ ფულით ვიქეიფოთ რიყეზე ზალცმანთან, როგორც ეს ვიიონის ქვეყნის ნამდვილ შვილებს ეკადრებათ.

— ამის წიგნში ნაკითხვა უფრო საინტერესო სჩანს, ვიდრე ამის გაკეთება, — ოდენ ამის თქმას დავეჯერდი.

— მუსიე დიუმა, დამიჯერეთ, ამას ბევრი რამ ფათერაკი და თავგადასავალი მოყვება, შემდეგ კალმის წვერიდან რომ გაისვრით, თითქოს ვიტყვის შვიდ ვაზნიან რევოლვერს. აბა, რით არის ცუდი ასეთი რომანის დაწერა?

— ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამის გამო არ ამცდება კუპრი და ჯოჯოხეთი.

— ჩემი ძმა აბატია, მასთან გავიხერხებთ აღსარების თქმას.

— ჩვენ აქ არ ჩამოვსულვართ გასართობად. აქ ერთი მეტად მნიშვნელოვანი საქმე გვაქვს. მოსაძებნია წიგნი, — გადავწყვიტე აღარ გადამედო და რაკი საუბარი აქეთ წავიდა, ეს ასე, ჯერ კიდევ ერთი დიუმში მტვრით დაფარულმა, გავამყლავნე.

— რა წიგნი? სპარსეთის შაჰის სიზმრების წიგნი? — ფინო არხეინობას არ კარგავდა.

მერჩინა, ჯერ მოწესრიგება, აქაური განთქმული ბატკნის მწვანე ტყემლებთან ჩახარშულის სიმყავის კბილებს შუა მოგდება და ზედაც ორი ბოთლი კახურის დაყოლება, თუმცა მაინც ამ დაღლილზე ვთქვი:

— გახსოვთ ეგვიპტის კამპანია? ბრძოლა ქვიშიან ბორცვებზე და იქიდან ჩამოტანილი იარები. ამ კამპანიიდან ბონაპარტს ჩამოყვდა მამლუქი რუსტამი, ვინაც მთელი ცხოვრება მის ერთგულ მცველად დარჩა. იმის კართან ეძინა და იცავდა მძინარესა თუ მღვიძარეს. ეს რუსტამი იყო ტფილისიდან. ის ტფილისელი სომეხია. ეს არ არის რომანი-სტის მონაგონი, ის მართლაც აქედანაა. იმას უწერია თავის მემუარებში, რომ მის სახლში ინახებოდა ერთი წიგნი, რის ჩამოსატანად ერეკლე მეფეს ვაჭარი დანიბეგაშვილი ინდოეთს გაუგზავნია. ვაჭარი რომ ჩამოვიდა, მეფე უკვე მკვდარი იყო და იმას წიგნი დაუტოვებია რუსტამის მამასთან. რუსტამიც იხსენებს, რომ ხშირად თამაშობდა ამ წიგნ-

## ნიკა ჯორჯანელი ღარაჯაბი

არ გადიოდა წინა დღიდან ძმრის მძაფრი სუნი. უძრავ ჰაერში რომაული შუბივით ერჭო. მიწაშიც ჩადგა ნიადაგის ჭრითა და ღუნვით და ერთიანად დასცემოდა ნახევრად შეჭმულ გვამთა ნაშთებში მოფუთფუთე ჭიებს თავზარით. ქვეყანა ყველა ნაპრალიდან შავ სისხლს იდენდა. და იფიქრებდი, ქვისგან ნაქსოვ ტომარასავით დამხობილი არემარეს კილით კიდემდე ცის სიმაღლიდან ჩამომწყდარი უძირო ხრამი. ასეთნაირად დამდგარიყო შაბათის ღამე.

ბაღში, შეხების არმქონეში ჭეშმარიტ სუსხთან, ტერიტორიის სათვალთვალოდ კოცონი ენთო. მას რამდენიმე ჯარისკაცი ზარმაცად უსხდა და გრძნობდა პირში მღუმარების

შმორიან მენტოლს. ბევრი სიძნელე გამოველოთ, ბევრი სიცუდე-არც უომრობა, არც ომები აღარ შეარგეს. ახლა ეყუდნენ ერთმანეთზე და არ იცოდნენ, მათ მუზარადებს, დაშნებს, ფარებს, რკინის პერანგებს, რომელთაც მკრთალად აერეკლათ კოცონის ალი, რა სინათლისაც მოუწევდათ არეკვლა მალე.

ისინი თითქოს უსხეულო ცხენებზე შესხეს და სიცხადიდან გადაკარგეს.

ფხიზლობდნენ, რადგან სწორედ ეს იყო დავალება. დუმდნენ და ცეცხლის თანაბარ კლაკნას უყურებდნენ. იმათ კი მათგან, ვინც იმის ფიქრით, რა გვამია ამისთანაო, ცოტა ხანს თავი აკანტურა და ჩაეძინა, ჯდომელა ძილში მეტ-ნაკლებად ნასვლისთანავე ცხადად პლუტონი დაესიზმრათ და პროზერპინა, დაღონებულნი, თვალდახრილნი

საითლაც არსად, საკუთარ ტიალ, ფუჭ წარსულში მზირალთა მსგავსად.

## IV შემდეგი ნომერი გამოვა ერთ კვირაში — 16 ივლისს

ით, ოღონდ რაკი პატარა იყო და კითხვა არ იცოდა, იმას ოდენ ათვალეებდა. იმის ორიოდ სურათსაც იხსენებს, მეტს კი ვერაფერს. ამ წიგნით მეფე ერეკლე აპირებდა მისი სამეფოს გამონათვის-ფუფილებას და გაღონიერებას. ხოლო რუსტამს სურდა, ის საფრანგეთში ჩაეტანა და ამით ბონაპარტს დახმარებოდა. რაკი ბონაპარტი წმინდა ელენეს კუნძულზე მოკვდა, რუსტამი თავის სახლში და მე კი იმის ნაწერი ჩამივარდა და ამ ქალაქშიც, როგორც იქნა, მოვხვდი, მიზნად გავიხადე ამ წიგნის მოძებნა და ვიფიქრე — რესპუბლიკის გაღონიერება კი შეიძლება ამ რალაც მითიური წიგნით.

— და როგორ გინდათ, ის მოძებნოთ? — ახლა გრძელი ყალიონი გააბოლა ფინომ.

— რუსტამის სახლი მოვნახო და შიგ კი იმ წიგნის ადგილსამყოფი.

— თქვენ გინდათ, ამ უცნაურ ქალაქში, საცა სახლები ისე აუვიათ, თითქოს ჩიტები დააფრთხეს და ისინი დასხდნენ საცა მოეხასიათათ, მოსძებნოთ ეგვიპტელ მამლუქის ხელში ნაფურცილი წიგნი? — სწორედაც ასე.

— რომელიც ახლა ან დამწვარია ღუმელში, ან დაფლეთილი, ან გაყიდული, ან მიფეშქაშებული, ან, ვინ იცის, რა მიზნით ფეხსალაგში ჩაყრილი.

— ამხელა გზას და ამხელა ფათერაკებს არ გამომატარებდა ცხოვრება, რომ ეს ზღაპრული წიგნი ფეხსალაგის ორმოში დამხვედროდა.

— თუ ასეა, ესეც ხომ კარგი თავგადასავალია.

ირმა შიოლაშვილი

## ყვავილაპი. ხელაპი. სარკა ჩანახატი

მას ჰქონდა რალაც სიკვდილიდან წამოყოლილი — იდგა სარკესთან და საკუთარ ჩრდილებს ფარავდა, და, სანამ მხრებზე შევამჩნევდი დამჭკნარ ყვავილებს, შემობრუნდა და სიყვარული უცებ გადამდო.

ისე ლამაზად საუბრობდნენ მისი ჩრდილები, მის მხრებსაც ძველი ყვავილები ისე ამკობდნენ, ხოლო ხელები — ცხოვრებისგან გადაღლილები — ძველ სიკვდილებზე ისე გრძნობით ლაპარაკობდნენ...

და ეს ხელები თითქოს რალაც ნამდვილს ეძებდნენ — გაუბედავად ეკრობოდნენ ჩემს სადა კაბას და მიყვებოდნენ ათიათას სისულელეს და ათიათასზე მეტ მართალ და სევდიან ამბავს.

ყველა ამბავმა მომკლა, მაგრამ მაინც შევძელი — მის მხრებზე მაინც ვეამბორე დამჭკნარ ყვავილებს და სველ ბაგეზე შემეყინა თეთრი ენძელა — ათიათასი სიკვდილიდან წამოყოლილი.



## ნინო მშვიდობაძე კური

ჩაიცივი შენი ძველი ხამლები და თვალწასული კოლგოტკები, რა აზრი აქვს გაპრანჭვას... მოზილე საკუთარი ცხოვრება და მერე დიდხანს, ძალიან დიდხანს მიაფიცხე აპრილის მკრთალ მზეს. გვიან, მაგრამ მაინც აფუფედა, გამოცხვება შენი წილი პურიც... მთელი ცხოვრება გძულდა ანდაზა: „სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს“, გძულდა, რადგან მოსახდენი ან დროულად უნდა მოხდეს, ან არასოდეს,

თორემ სიხარულს გემო დაეკარგება. საკუთარ თავთან მარტო დარჩენილს მხოლოდ საკუთარი თავის გემინია, თუმცა გაქცევის ნაცვლად, რჩები.

ზელ ცხოვრებას და იმ კაცზე ფიქრობ, საკუთარი სიკვდილით ყველაზე საშინელი განაჩენი რომ გამოგიტანა: სიკვდილის შეყვარების განაჩენი... ჩაიცივი შენი ძველი ხამლები, ნუ მალავ თვალებს, სიცოცხლე რომ მოზილე ცომივით, აპრილის მზეზე გამოდგი გობით, რომ ერთხელაც აფუფედეს და გამოცხვეს პურად... ნუ მალავ თითებს...

VI-VII

VIII-IX




1988 წელს ანყურის სტუდენტური ჯგუფი ორად გაიყო — ნაწილი მესხეთში და-რჩა, ხოლო სხვებმა გარეჯში გადაწყვიტეს აღდგენითი სამუშაოების დაწყება. ვინც სტუდენტი აღარ იყო (მაშინ უნივერსიტეტის პედაგოგი ვიყავი), ანყურშიც ჩადიოდა და გარეჯშიც. ასე რომ, შესაძლოა, დღით მესხეთში გაგვევლინებოდა, საღამოს თბილისში ყოფილიყავი, შუადამისას კი — გარეჯში. ეროვნულ-განმანათლებლებელი მოძრაობა ძალას იკრებდა. მასში უკვე საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენლები ჩართულიყვნენ. საქართველო ლეთარგიული ძილისგან იღვიძებდა. ადამიანები თავიანთ ბუნებაში არსებულ დადებით თვისებებს ავლენდნენ, უარყოფითს კი თრგუნავდნენ. ერთმანეთის ნახვა გვიხაროდა, ირგვლივ სიყვარული ზეობდა. ქუჩებში გაბრწყინებული სახეებით დავდიოდით, ერთი ნათელი მიზანი გვაიმედებდა — დამოუკიდებლობა!

— სახელი და გვარი, საცხოვრებელი ადგილი, — მკაცრად გვითხრა ოფიცერმა. — მე ვარ თემურ გაბუნია, ვცხოვრობ ლვოვის 29-ში, ვარ უნივერსიტეტის პედაგოგი. ესაა ვახტანგ ჭინჭარაული, ცნობილი ფოლკლორისტიკოსი და პროფესორის, ალექსი ჭინჭარაულის, ვაჟი, ამჟამად ცხოვრობს დემანისში მუხლესთან ერთად, მუშაობს სკოლაში პედაგოგად. ჩავისუნთქე და ისევ დავინწყე: — მე ვარ თემურ გაბუნია, ვცხოვრობ... მესამე წრეზე წასვლა რომ დავაპირე, ოფიცერს გაეღიმა — „ჰოპ!“ — ნამოიხაზა და ხელები ილუზიონისტივით ასწია. — შენ ხარ თემურ გაბუნია, ვცხოვრობ ლვოვის 29-ში. ხარ უნივერსიტეტის პედაგოგი, ესაა ვახტანგ ჭინჭარაული... — ოფიცერმა სიტყვასიტყვით გაიმეორა ჩემი ნათქვამი, — ყველაფერი გასაგებია, მაგრამ ამ პატიოსან კაცს რატომ ეშუქებოდა, ტაქსის მძღოლს?

იას, რომელიც ასაკით ჩვენზე უმცროსი იყო (თავმდაბლობის გამო) ვაგონის გასასვლელში ეძინა და ხშირად ღამე უნებლიეთ მკერდზე ფეხს ვადგამდი. როცა ვუბოდიშებდი, მებზებოდა — არაფერია, დამადგით ფეხი, დამადგით ფეხი გულზე ყოველმან, წყალობა ჰყავითო. იმ პერიოდში სენაკისა და სარწყავი ღარის განმენდა გვევალებოდა შლამისა და ქვა-ლორღისგან. ანყურის მეურვეები კვლავ ერთად აღმოვჩნდით: დათო ტურაშვილი, დათო აბულაძე და მე. გია რაზმაძე (ქაქუცა), სოზარ სუბელიანი (სუბარი), შმაგი დოლიძე, გოჩა კვაჭანტირაძე, მალხაზ ნიკლაური, ვახო ჭინჭარაული და სხვები კირივით გამაგრებულ ქვა-ლორღს წერაქვებით შლიდნენ, გოგონები კი ურიკებს გვივსებდნენ, მათგან ანყურიდან მხოლოდ თამუნა თითმერისა და ირინა იაშვილს ვიცნობდი. მუშაობა არც თუ ისე უსაფრთხო იყო. ირაკლი ხშირად გვაფრთხილებდა,

ნისის ომის შემდეგ: ჩემი ცოდვა, თორემ სხვა რისგან არის ეს მარცხიო; ნარყალის ციხიდან ზარბაზნების გუგუნის, რომლებიც მერე დააგორეს და მტკვარში ჩაყარეს, რათა სპარსელებს არ ჩავარდნოდა ხელში. ცეცხლის ცქერა ფილოსოფოსობის ხასიათზე მაყენებდა. როცა არავინ მისმენდა (თვით ყველაზე ერთგული მსმენელი თამუნა თითმერისა), მაშინ მუთაქას ველაპარაკებოდი, კავკასიურ ნაგაზს, კოცონთან რომ წამოგორებულყო და სივრცეს ჭკვიანი თვალებით გასცქეროდა. წარმოსახვაში ხშირად დავბრუნებულვარ გარეჯის მთის ძირას დანთებულ კოცონთან. თავზე სახე მთვარე დამნათობდა, ცაზე კი ვარსკვლავები კაშკაშებდნენ. სულ რაღაც სამასიოდე მეტრში დავით გარეჯელის საფლავი იყო. უკეთეს ადგილს ვერც ინატრებდი საკუთარ თავში ჩასაღრმავებლად. ხან ცეცხლს ვუყურებდი, ხან მთვარეს და ვცდილობდი, ამეხსნა დავით გარეჯელის იერუსალიმში არშესვლის მიზეზი. ღირს მამას გამორჩეულად უნდა ჰქონოდა განვითარებული ჭკრეტა-შემეცნების უნარი. სინინდების ნახვა (მოხილვა) ერთია, ჭკრეტა კი — სულ სხვა. ნოე კიდობნიდან უკეთ ხედავდა სამყაროს, ვიდრე ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩართულები. დავით გარეჯელიც მადლის ქედიდან უკეთ ჭკრეტდა იერუსალიმს, ვიდრე მის ქუჩებში მოსიარულენი, ყოველდღე რომ უყურებდნენ წმინდა ქალაქში აღმართულ ტაძრებს. ასე რომ, ღირს მამას (ჩემი აზრით) მხოლოდ თავმაქში შესვლისგან, მისთვის მადლის ქედამდე მისვლაც კმაროდა ღვთის წყალობის მისაღებად.



იმ პერიოდის გაზეთებში ხშირად იბეჭებოდა სტატიები მფრინავი თევზებისა და უცხოპლანეტელების შესახებ, საჯარო სეანსებს ატარებდა ექსტრასენსი კაშპიროვსკი. ჩვენ ამ ყველაფერს იუმორით ვუყურებდით, იმის მიუხედავად, რომ უზნელი ლეო გვიმტკიცებდა, კაშპიროვსკიმ მამაჩემს ჰიპნოზი გაუკეთაო. — ანზორა მთვრალი მოვიდა სახლში და ტელევიზორთან ჩაეძინა სავარძელში. კაშპიროვსკი სეანსს ატარებდა. მაყურებლის გასაგონად თქვა: „ვიცი, ახლა ზოგი მე მიყურებს, ზოგს კი სძინავს. წამოდექით და ხელეში გაშალეთ!“ მძინარე ანზორა წამოდგა და ხელები გაშალა. მერე კი ისევ დაჯდა და ხვრინვა განაგრძო, — გვიყვებოდა აღელვებული უზნელი. ვახო ჭინჭარაულსა და მე მეგობრები უცხოპლანეტელებს გვეძახდნენ, რადგან ხან სად ამოვყოფდით თავს და ხან — სად. მფრინავი თევზები ხომ არ ჩამოხვედითო, გაუკვირდა ერთხელ დათო ტურაშვილს, ღამის ორ საათზე რომ აღმოვჩნდით გარეჯში. ტაქსის მძღოლები უდაბნოშიც მოგვეყვებოდნენ შუალამისას, გვენდობოდნენ, რაც სულ რაღაც სამ-ოთხ წელში საოცნებოდ გვექცეოდა. ასე დავფრინავდით „მფრინავი თევზებით“ მე და ვახო. თუმცა ერთმა ტაქსის მძღოლმა მაინც გვიმტყუნა. გარეჯში წასაყვან თანხაზე შევუთანხმდით, სახლში შევიარე სამუშაო ტანსაცმლის წამოსაღებად, ღამის თორმეტი საათი იქნებოდა. რატომღაც იარაღზე ვსაუბრობდით. კინოფილმ „შერეკილიდან“ წამომცდა ციტატა — „ესროლე პირდაპირ ფეხებში“. ტაშკენისა და კანდელაკის კვეთაზე მძღოლმა ტაქსი გააჩერა. — ერთი წუთით გადავალ, — გვითხრა და გაუჩინარდა. გავიდა ხუთი წუთი, ათი... რომ აღარ გამოჩნდა, გადმოვედით და ახალი მანქანის ძებნა დავიწყეთ. სწორედ მაშინ მოგვადეს კუფაზე იარაღები. თურმე მძღოლი გაგარინის მოედნისკენ გაქცეულა და მილიციას უჩივლია, მაყარაღებდნენო. ოფიცერმა ოპერატიული ჯგუფი გამოგზავნა ჩვენს დასაკავებლად. დაკითხვაზე წაგვიყვანეს.

— არ ვემუქრებოდით, უბრალოდ იარაღზე ვსაუბრობდით. ეს ხევესურია და ბავშვობიდანვე უყვარს იარაღი. ხომ ნახეთ, არსად გავცქეულვართ. იქვე ვიდექით და ახალ ტაქსის ვაჩერებდით. რამე რომ ჩაგვედინა, ხომ გავიქცეოდით? — აღვშფოთდი მე. ოფიცერი ერთხანს გვიყურებდა, მერე კი იქვე მდგომ სერჟანტს უბრძანა, მძღოლი შემოიყვანეთო. — ამ ახალგაზრდებმა იარაღი მოგადეს? დაგემუქრნენ? ფული მოგთხოვეს? — ჰკითხა მძღოლს. — არა, უფროსო, მაგრამ აპირებდნენ. — რას აპირებდნენ? — იარაღზე ლაპარაკობდნენ. — მერე? — მერე ალბათ საქმეზეც გადავიდოდნენ. ოფიცერმა კიდევ ერთხელ შეგვათვალთქვა, მერე კი ჩუმად თქვა: — წადით. წამოვდექით და კარისკენ დავიძარით. მძღოლიც მოგვეყვებოდა. — არა, შენ დარჩი! — მკაცრად უთხრა ოფიცერმა. გასვლისას კიდევ ერთხელ გავიგონეთ მისი ხმა: — რას ერჩოდი ამ პატიოსან ხალხს? აი, ასე დავბრკოლდით... თუმცა მეორე მძღოლი გაცილებით საზრიანი და მეგობრული შეგვხვდა, პოპულარული სიმღერებიც ჩავგირთო და სულ ლილინ-ლილინით ჩავედით მეგობრებთან გარეჯში.

შემთხვევით ბალახში განოლილ გიურზას ფეხი არ დაადგათ, თორემ გიკბნითო. ასეც მოხდა. საღამოხანს შებინდებულზე ბილიკზე ჩამავალ გოჩას ქვეწარმავალმა უკბინა, თუმცა არ დაბნეულა. სანადირო დანით ნაკენი იმწამსვე გაიჭრა, სისხლი გამოიწოვა, მერე კი ერთი მოყუდებით ნახევარი მათარა ჭჭა გამოვცალა. ექიმი არ მიინდაო, ამბობდა. დროდადრო არაყს მოსვამდა და წაილილინებდა, ასე სიმღერით შეხვდა განთიადს, რაგბისტი იყო, რკინის ქანდაკებას ჰგავდა, შესაძლოა, სწორედ იმანაც გადაარჩინა, ძლიერი ორგანიზმი რომ ჰქონდა... დამღლეული დღის შემდეგ კოცონთან ვიკრიბებოდით. არაფერი შეეძებოდა გარეჯის ღამეებს. ღვინოს ვსვამდით და ვარსკვლავებით მოჭედდით ცას შეცქეროდით. ხანდახან რომელიმე გოგონა გიტარას აიღებდა და წამოიწყებდა: — ვერხვის ფოთოლთა თეთრი ლაშქარი... — აშრიალდებაა უშორეს ზღაპრად, — აყვებოდნენ სხვებიც. ხან „ჩემო კარგო ქვეყანას“ წავიმღერებდით გიტარის აკომპანიმენტის გარეშე, ხანაც — „ჟღად მიმინოს“. რატომღაც მეჩვენებოდა, თითქოს გარეჯის მთის თავზე მოქცეული მთვარე უფრო ღამაში იყო, ვიდრე სხვაგან, ცა და ვარსკვლავები კი — უფრო ახლოს. შაპ აბასის მიერ მოკლული 6000 ბერის სული თითქოს ზეციდან დაგვეყურებდა. ისინიც ხომ ერთ დროს ხორციელი ადამიანები იყვნენ, ჩვენსავით შესცქეროდნენ მთვარესა და ვარსკვლავებს, დადიოდნენ იმავე ბილიკებით, ლოცულობდნენ წმინდა მამა დავით გარეჯელის საფლავზე. ადრე მეგონა, რომ საქართველო მხოლოდ ღამაში მთებით, ზღვითა და პეიზაჟებით გამოირჩეოდა. თუმცა მაშინ მივხვდი, რომ ეს მთლად ასე არაა, მაგალითად, დავით გარეჯი და თბილისის აბანოთუბანი არა მხოლოდ მშვენიერია სანახავად, ისინი მარტივობის ადგილებიცაა. მტკვრის სანაპიროს ახსოვს 100 000 მონამის თავგანწირვა, აბოს მონამეობრივი აღსასრული, მის საფლავზე დაჩოქილი მოხუცი გმირი მეფის, ერეკლე მეორის, გოლება კრწა-

ნისის ომის შემდეგ: ჩემი ცოდვა, თორემ სხვა რისგან არის ეს მარცხიო; ნარყალის ციხიდან ზარბაზნების გუგუნის, რომლებიც მერე დააგორეს და მტკვარში ჩაყარეს, რათა სპარსელებს არ ჩავარდნოდა ხელში. ცეცხლის ცქერა ფილოსოფოსობის ხასიათზე მაყენებდა. როცა არავინ მისმენდა (თვით ყველაზე ერთგული მსმენელი თამუნა თითმერისა), მაშინ მუთაქას ველაპარაკებოდი, კავკასიურ ნაგაზს, კოცონთან რომ წამოგორებულყო და სივრცეს ჭკვიანი თვალებით გასცქეროდა. წარმოსახვაში ხშირად დავბრუნებულვარ გარეჯის მთის ძირას დანთებულ კოცონთან. თავზე სახე მთვარე დამნათობდა, ცაზე კი ვარსკვლავები კაშკაშებდნენ. სულ რაღაც სამასიოდე მეტრში დავით გარეჯელის საფლავი იყო. უკეთეს ადგილს ვერც ინატრებდი საკუთარ თავში ჩასაღრმავებლად. ხან ცეცხლს ვუყურებდი, ხან მთვარეს და ვცდილობდი, ამეხსნა დავით გარეჯელის იერუსალიმში არშესვლის მიზეზი. ღირს მამას გამორჩეულად უნდა ჰქონოდა განვითარებული ჭკრეტა-შემეცნების უნარი. სინინდების ნახვა (მოხილვა) ერთია, ჭკრეტა კი — სულ სხვა. ნოე კიდობნიდან უკეთ ხედავდა სამყაროს, ვიდრე ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩართულები. დავით გარეჯელიც მადლის ქედიდან უკეთ ჭკრეტდა იერუსალიმს, ვიდრე მის ქუჩებში მოსიარულენი, ყოველდღე რომ უყურებდნენ წმინდა ქალაქში აღმართულ ტაძრებს. ასე რომ, ღირს მამას (ჩემი აზრით) მხოლოდ თავმაქში შესვლისგან, მისთვის მადლის ქედამდე მისვლაც კმაროდა ღვთის წყალობის მისაღებად.

გარეჯში სტუდენტების ჩასვლამ და სამხედრო პოლიგონის გაუქმების მოთხოვნამ თანდათანობით პოლიტიკური ელფერი მიიღო. ყველა ცდილობდა (თვით კომუნისტები და კომკავშირელებიც), უნიკალური სამონასტრო კომპლექსი დანგრევისგან გადაერჩინა. გაჩნდა შესაძლებლობა, იმ გზას გავყოლოდით, რომელსაც მოგვიანებით ლიტვური ენოდა (ბალტიისპირეთში მოხდა უნიკალური რამ, ხელისუფლება, საზოგადოებრივი ელიტა და დისიდენტები დამოუკიდებლობის მოთხოვნამ გააერთიანა. მათი გზები არც სუვერენული ქვეყნების აღმშენებლობისას გაყოფილა). თუმცა საქართველოში მოვლენები, სამწუხაროდ, სხვაგვარად განვითარდა. მხოლოდ მოგონებადა შემოგვრჩა იმ ბედნიერი წლებისა, როცა ყველანი ერთად ვიყავით. 1988 წელი (ამ თვალსაზრისით) გამორჩეული იყო. ქართველობა გამოაფხიზლდა. უამრავი ხალხი მოაწყდა გარეჯს, მოდიოდნენ რუსულიად განსხვავებული სოციალური სტატუსისა და განათლების ადამიანები მთელი საქართველოდან. ყველას სურდა, რაც შეიძლება მეტი რამ შეეტყო სამონასტრო კომპლექსზე, მის წარსულსა და აწმყოზე. პირადად მე გარეჯში ყოფნამ მნიშვნელოვანი ზოგადი მომცა შემეცნებით პროცესში. თავისთავად უდადგისი მნიშვნელობა აქვს ფიქრის დაწყებას, რადგან ერთხელ მაინც თუ ჩაფიქრდი უზენაესზე, მის განგებულებასა და განჩინებებზე, მერე რაღაც დიადთან და ამალეულთან თანაზიარობის შეგრძნება თავს აღარ დაგანებებს, გავა წლები და ზუსტად იქ დაბრუნდები, სადაც შემეცნების პროცესი შეწყვეტიდა. რაზე აღარ ვფიქრობდი გარეჯში: ქართველთა ებერიანობაზე; გოგისა და მაგოგის კარბჭის მცველად მიჩნეულ დავით აღმაშენებელზე; სამი დღის მკვდარ ლაზარესა და საქართველოს მსგავსებზე; ხვამლის მთაზე გამოკეტულ განდევნილზე (სავარაუდოდ პრომეთეზე); ოქროს საწმისსა და მედიაზე. სწორედ მაშინ მომივიდა თავში დამენერა ვრცელი წიგნი სათაურით „ცხოვრება ქართველთა“, რომელიც ჩვენს იდუმალ წარმომავლობაზე მსჯელობით დაინწყობდა. თავში უამრავი ფიქრი მიტრიალებდა, მაგრამ ვისთვის გამეძნო? რა თქმა უნდა, ისევ მუთაქასთვის. კავკასიური ნაგაზი მალე ჩემს უერთგულეს მეგობრად იქცა, მხოლოდ მასთან ვიხილავდი რთულ ფილოსოფიურ საკითხებს. — მუთაქა, რამდენი გზაა ცხოვრებაში? ერთი, ორი თუ ათასი? ჩემი აზრით, ჭეშმარიტებასთან მხოლოდ ერთი გზა მიდის, — ვეუბნებოდი ხოლმე. სამწუხაროდ მუთაქა მალე გაცოფდა და მოკლეს. ზოგი ხუმრობით მადანაშაულებდა, მენს ფილოსოფიურ აზრებს ვერ გაუძლო და იმიტომაც გაცოფდაო.

\*\*\*



ლამეს კი თანდათანობით სიფერმკრთა-  
ლე ეპარებოდა. მალე ამომავალი მზე ბურ-  
ქებთან მიმალულ ჩიტებსაც გააღვიძებდა.

ისინი პირველი სხივების მოხვედრისთა-  
ნავე ფრთების შრიალით აფრინდებოდნენ,  
რათა ეჭიკჭიკათ.

ყველა თავისებურად ეგებებოდა გან-  
თიადს: ცხოველები, ფრინველები, მწერე-  
ბი. თვით ყველაზე შეუმჩნეველი ცვრიანი  
ბალახიც კი ტანის რხევით იღვიძებდა. მა-  
საც რაღაც ადგილი ჰქონდა ამ სამყარო-  
ში, ისევე როგორც ხეებსა და ბუჩქებს. მზის  
სხივები დიდი მოქცევასავით მოდიოდ-  
ნენ ჩვენსკენ, გზად კი ჩიტების გუნდებს  
ერთმანეთის მიყოლებით აღვიძებდნენ.

ნამდვილად ღირდა სიცოცხლე გარე-  
ჯის მზისა და ამ მშვენიერი განთიადის სა-  
ნახავად!

\*\*\*

სტუდენტურ ჯგუფს, ფაქტობრივად,  
არქიტექტორი ირაკლი მახარაძე ხელმძღ-  
ვანელობდა, უთითებდა ვის სად და რა პო-  
ზიციაზე ეშუშავა. თვითონაც მუშაობდა,  
ხან წერაეჭი ეჭირა ხელში, ხან — ნიჩაბი.  
თითქოს ყველგან იყო, ერთხელ ხიფათში  
მოხვედრილი დათო ტურაშვილი იხსნა,  
რომელიც ღარების დათვლიერებისას  
ციცაბოზე გაშეშდა, ვერც წინ მიდიოდა და  
ვერც უკან, მე დახმარება ვცადე, მაგრამ  
უშედეგოდ, ბედად იქვე მყოფმა ირაკლი  
მახარაძემ გვიშველა, ხელი მოგვიკიდა და  
გამოვიყვანა. დავით გარეჯელის საფლა-  
ვზე დროდადრო მთელი რაზმი ლოცულო-  
ბდა, თუმცა ირაკლი, ქაქუცა და სოზარი  
ლამითაც ადიოდნენ, ირაკლი 1988 წლის  
შემოდგომაზე აკურთხეს დიაკვნად, 25 დე-  
კემბერს — მღვდლად, ხოლო სულ რაღაც  
ოთხიოდე წლის შემდეგ — ეპისკოპოსად...

ჯერ კიდევ ერისკაცობაში დავით გა-  
რეჯელის იერუსალიმში მოსალოცად ჩას-  
ვლისა და გალავნიდან სამი ქვის წამოღე-  
ბის ამბის მოყოლა უყვარდა.

— იმდენად თავმდაბალი იყო, რომ წმ-  
ინდა ქალაქში შესვლის ღირსიდაც არ მი-  
აჩნდა თავი, მადლის ქედთან შეჩერდა. სან-  
ამ მისი მხლებლები იერუსალიმის სინდინ-  
ებს სტუმრობდნენ, მხურვალედ ლოცუ-  
ლობდა. წამოსვლისას კი ქედიდან სამი ქვა  
წამოიღო, — იტყოდა ირაკლი, რომელიც  
ტრაპეზზე, ჩვენგან განსხვავებით, ძირი-  
თადად ჩაის გეახლებოდათ. მხოლოდ ერთ  
ჭიქა ღვინოს თუ მოსვამდა, რათა ეთქვა,  
დიდება უფალს, ჩვენ კი მშვიდობაო.

— იერუსალიმის პატრიარქ ილიას იმ  
ლამით ანგელოზი გამოეცხადა და აუწყა,  
რომ ღვთის მადლით სახსე კაცს იერუ-  
სალიმის მთელი მადლი მიჰქონდა, დილ-  
ით წმინდანს მალეწმობრილი დაადევნა, იმ-  
ის სათქმელად, მხოლოდ ერთი ქვა წაელო,  
ორი კი უკან დააბრუნებინა. წმინდა დავ-  
ით გარეჯელის მონაფეხმა მოძღვარი იმ-  
ავე სენაკში დაკრძალეს, სადაც მრავალი  
წელი გაატარა. მის საფლავზე დიდხანს  
იყო იერუსალიმიდან ჩამოტანილი ქვა და  
სასწაულებრივ კურნავდა მორწმუნეებს,  
— უკვე ამბიონიდან განაგრძობს იმავე  
ისტორიის მოყოლას მეუფე დავითი წლებ-  
ის შემდეგ.

როცა იმ პერიოდზე ვფიქრობ, რატომ-  
ღაც თამარ კოლენცივილის თვალები მახ-  
სენდება, ილია II-თან შეხვედრის შემდეგ,  
როცა დაეთანხმა, ირაკლი აღკვეცილიყო.  
გარეჯში ამობრუნებელი, მართალია, ილი-  
ა მოდა, მაგრამ თვალეში ცრემლიც ჰქონ-  
და. არავინ იცის, რა ტრიალებდა მის გულ-  
ში. ასე იყო თუ ისე, ირაკლი შემონაზუნდა.  
საგულისხმოა, რომ ეს სწორედ მაშინ მოხ-  
და, როდესაც პატრიარქის დაჟინებული  
მცდელობის შედეგად, როგორც იქნა, აღ-  
ორძინება დაიწყო სულიერებამ. მონასტრ-  
ებში მიდიოდნენ არა მხოლოდ ხელმოცა-  
რული (როგორც ეს ზოგიერთს ჰგონია),  
არამედ თავის პროფესიას კარგად დაუფ-  
ლებული, სამშობლოს მოყვარული და გუ-  
ლწნაველი ადამიანებიც. ერთ-ერთი მათ-  
განი კი სწორედ ირაკლი მახარაძე იყო...

\*\*\*

გარეჯში დრო სწრაფად გადიოდა, გან-  
საკუთრებით მაშინ, საინტერესო თემებზე  
რომ ვსაუბრობდით. ერთხელ თამარ კო-  
ლელიშვილმა, ვახო ჭინჭარაულმა და მე  
გეოლოგების ვაგონის სამზარეულოში სა-  
ნთლის შუქზე პოეზიის საღამო მოვანყვეთ.  
თუმცა მე მალევე გამოვეთიშე, რადგან,  
უნდა გამოგიტყდეთ, ცუდი მეხსიერება  
მაქვს, საკუთარ ლექსებსაც ვერ ვიმახსოვ-

რებ. მაშინ დიდი გაჭირვებით გავისხენე  
ბოლო დროს დაწერილი ლექსის, „თანა-  
მედროვე ამორძალი“, რამდენიმე სტრო-  
ფი. ხოლო მერე, როცა ლექსი მომინონეს  
და მთხოვეს, სხვებიც თქვიო, თავი გავიმა-  
რთლეთ:

— რა მოხდა, ცუდი მეხსიერება თუ მა-  
ქვს, თვით უდიდეს მწერალს, უილიამ ფო-  
ლკნერსაც, არ ახსოვდა საკუთარი პერსო-  
ნაჟების სახელები.

ვახო გაბრიელ ჯაბუშანურის ლექსებს  
კითხულობდა, ხან ხალხურებს, ხან კი აჯაი-  
შვილის ნათარგმნ ებრაულ პოეზიას:

— ბრწყინავს, კვლავ ბრწყინავს  
უდაბნოში კარვის ნაკეცი,  
შენ კი რად ამბობ,  
გასრულდაო ჩვენი გართობა  
და აღმოდებულ ზმანებათა

სიხორშაკეში

ჩაინავლაო სიყვარულის ია-ვარდობა,  
— ისმოდა სანთლით განათებულ სამზა-  
რეულოში მისი ბოხი ხმა.

თამარმა ფურცლების დასტა გადმოი-  
ლო კარადიდან და საკუთარი ლექსების კი-  
თხვა დაიწყო. რამდენიმე მოუწონეთ. ამ-  
კარად ჩანდა, ნიჭიერი ადამიანის დაწერ-  
ილი რომ იყო. თუმცა მალე დაიწვინდა და  
პასიურ მსმენელად იქცა. სამაგიეროდ ჩე-  
ენ გავგეხსნა მეორე სუნთქვა, ვახოს ლექ-  
სები არ ელეოდა, მე კი — ახალ-ახალი თე-  
მები. ჯერ ფოლკნერზე ვისაუბრე, ხოლო  
მერე მითოსამყაროზე. ისე ვყვებოდი თე-  
ზისისა და პერსეუსის ამბებს, თითქოს ჩემი  
ბავშვობის მეგობრები ყოფილიყვნენ. გა-  
ვისხენე, როგორ დაამარცხა თეზისმა ლა-  
ბირინთის ურჩხული, როგორ ელოდა მიკ-  
ენში გამგზავრებულ შვილს მოხუცი ეგეო-  
სი და რატომ ეწოდა შემდეგ ზღვას მისი  
სახელი. თამარი ხან ჩემსკენ ტრიალდებო-  
და, ხან — ვახოსკენ. ბოლოს თქვა, კისერი  
დამეღალა, თავი მაგიდის ჩოგბურთის მსა-  
ჯი მგონიაო. დამე შეუმჩნეველად გავგე-  
პარა.

\*\*\*

გარეჯში ყველა ბედნიერი იყო, სიხარ-  
ული გვედგა თვალეში. თავდაუზოგავად  
ვშრომობდით, თუმცა სიხარულსა და შრო-  
მაში ყველას ერთი გოგონა ალგვემატებო-  
და — ლალი ჩაჩაშვილი, რომელსაც ტუ-  
რაშვილმა გურამა შეარქვა. ნახე, ნახე, რო-  
გორ შრომობს, სამი კაცის საქმეს აკეთებს,  
არა, არა, ეგ ლალი კი არა გურამაა, რაზმში  
შემოგვაპარეს, ჩვენ კი ყველას ლალი გვე-  
გონიაო, იტყოდა ხუმრობით. ლალი არ ბრა-  
ზდებოდა, პირიქით, მგონი, სიამოვნებდა  
კიდევ ყურადღების ცენტრში რომ იყო და  
რიგებოდა. დიდი შავი თვალეში ჰქონდა,  
როგორღაც მისტიკური, თითქოს მთელი  
მისი წინაპრების ისტორია იყო მათში არეკ-  
ლილი. 40 წელი უდაბნოში ხეტიალი, ნაბუ-  
ქლონოსორის დევნა და შევიწროება, ებ-  
რაული პოეზიის სილამაზე. მის თვალეში  
უდაბნოს მზეც ჩანდა და მისი ერის მდი-  
დარი ისტორიაც. მთავარი კი ის იყო, რომ  
გვერდში გვედგა, ჩვენზე მეტს შრომობდა  
და ჩვენზე მეტად უხაროდა ქართველი ერ-  
ის სიხარული. როგორც მერე შევიტყვე,  
ლალის ოჯახი ისრაელში წასულა და ისიც  
იძულებული გამხდარა, გაჰყოლოდა. გუ-  
ლი აქ რჩებოდა თურმე, ტიროდა, წასვლა  
არ უნდოდა.

წელა მართლა დარჩენილიყო — იქ, ის-  
რაელში, სულ რამდენიმე წელში ავტოავა-  
რიაში დაიღუპა. მე კი ის მომლიმარი დამა-  
მასხოვრდა, თავისი იშვიათი და განუმეო-  
რებელი მზერით.

\*\*\*

უდაბნო სიკეთისა და ბოროტების მა-  
რადიული ბრძოლის ველია.. ქალაქის ორ-  
ომტრიალში ჩართულს არც გებრძვის ეშ-  
მაკი, რადგან ისედაც თავისიანად მივიჩ-  
ნევს, მაგრამ საკმარისია, განმარტოვდე  
და საკუთარ სულზე დაიწყო ზრუნვა, რომ  
ბოროტეც შემოგიტყვს. უდაბნო მკაცრია,  
თუმცა დადებით ენერჯიასაც ასხივებს. გა-  
ნგანყობს ფიქრისა და განსჯისთვის. გამ-  
ზადებს შემეცნებითი იმპულსის მისაღე-  
ბად. ლამაზი ადგილების მონახულებისას  
თითქოს ხელახლა იზადები, რაღაც უცნო-  
ბსა და დიადთან შეხებას გრძნობ. ამას ბა-  
ვშობაშივე მივხვდი, როცა უძოს ეკლესი-  
ის ეზოდან, სივრცესა და შორეულ გორა-  
კებს შევაცქერდი. ეს განცდა გამომძაფრ-  
და ძველი ეკლესია-მონასტრების მონახ-  
ულებისას: სვეტიცხოვლის, ჯვრის, ალა-  
ვერდის, შუამთის, ზედაზნის, გელათის,


ნიკორწმინდის... თურმე წარმართები „გა-  
ნათლულს“ უწოდებდნენ სატაძრე ადგ-  
ილებს, წმინდა ხეებისა და დიდ ადამიანთა  
საფლავებთან რომ აგებდნენ. მოგვიანე-  
ბით ქრისტიანულ ტაძართა ნაწილი სწო-  
რედ მათ სიახლოვეს დაფუძნდა.

დღეს ისტორიული ეკლესია-მონასტრ-  
ების სანახავად მილიონობით ტურისტი  
დადის ყოველწლიურად იერუსალიმში,  
რომში, ათენსა თუ ბარიში. ბოლო დროს  
ჩვენი წმინდა ადგილებითაც დაინტერეს-  
და მსოფლიო. ჩამოსულთაგან ყველა რო-  
დია განათლებული, ნაწილი ვერც აცნო-  
ბიერებს ნანახის ზოგადსაკაცობრიო მნიშ-  
ვნელობას. ექსკურსიამძღოლის ხმა ზოგს  
ძილისპირულივით ჩაესმის, თუმცა მაინც  
კმაყოფილია. ალბათ, იმის გამო, რომ მის  
ქვეცნობიერზე რაღაც უცნობი ძალა ზემ-  
ოქმედებს. სწორედ იმ ძალისა თუ ენერგე-  
ტიკის ორბიტაში აღმოვჩნდი გარეჯში ჩას-  
ვლისთანავე, რომელმაც მიმახვედრა, რომ  
მეც უნდა აღმოვჩინა ჩემი წილი უცნობი  
საქართველო.

გარეჯი ჩვენი სიამაყეც იყო და ბოლო  
ორასწლოვანი დამამცირებელი ყოფის მა-  
მხილებელი მოწმეც. უდიდესი სამონასტ-  
რო კომპლექსი, სადაც ოდესღაც რამდენ-  
იმე ათასი ბერი ცხოვრობდა და მოღვაწე-  
ობდა, სავალალო მდგომარეობაში იმყო-  
ფებოდა. ქვა-ლორღითა და წყლით ამოვსე-  
ბულ სენაკებს ადამიანის ღმერთთან გა-  
უცხოვების კვალი აჩნდა, ზოგიერთი გი-  
ურხები ბუდობდნენ. ეგზარხოების დან-  
ყებულნი საქმე კომუნისტებს დაეგვიყვნი-  
ნებინათ. ისინი ათწლეულების განმავლო-  
ბაში ებრძოდნენ ბერმონაზვნებსა და სამ-  
ღვდელოებას, უმთავრესად ელექტრიფი-  
კაცია და ეკონომიკის აშენება მიაჩნდათ  
და არა სულიერებაზე ზრუნვა. თუმცა, სა-  
ბოლოოდ, ყველაფერში ხელი მოეცარათ  
და ქვეყანაც თავზე დაეწვინა. არცაა გას-  
აკვირი, ვინც უმთავრესს ივიწყებს — საკ-  
უთარი სულს — სწორედ ასე ასრულებს  
საქმიანობას. რაა ცხოვრება სულიერების  
გარეშე? ქარი და სიზმარი, სწორედ ამიტ-  
ომ ამბობენ, სიზმარივით განქარდაო. სა-  
ბჭოთა კავშირიც ბაბილონის გოლოლივი-  
თი დაინგრა. არც ერების შერწყმა მოხერხ-  
და და არც კომუნისმის აშენება და, რაც  
მთავარია, ვერც დედაენა ნაგვართვეს,  
ვერ გვაიძულეს ერთ ბაბილონურ ენაზე  
გვემეტყველა. ენის დასაცავად მთელი ერი  
აღდგა, თვით სკოლის მოსწავლეები და  
ბავშვებიც (მახსოვს ისინი 78-ის 14 აპრილს  
მხრებზე შეესვათ თავიანთ მშობლებს). მა-  
შინ თხუთმეტისა ვიყავი, რუსთაველზე  
რიგად დაწყობილ მერვე პოლკის ჯარისკ-  
აცებს რომ ჩავუარე, მივხვდი, სროლას ვერ  
გაბედავდნენ, რადგან ქუჩებში მთელი ერი  
გამოსულიყო. ამჯერადაც მსგავსი რამ  
ხდებოდა, დავით გარეჯის კომპლექსის  
დასაცავად დიდი მოძრაობა იწყებოდა.  
დისიდენტები და სტუდენტები მოქმედი  
პოლიგონის გადატანას ან საერთოდ გაუ-  
ქმებას ითხოვდნენ. გორდებოდა დიდი საპ-  
როტესტო ტალღა, რომელიც მხოლოდ  
გარეჯის თემით არ დასრულდებოდა. საბ-  
ოლოო მიზანი საქართველოს დამოუკიდე-  
ბლობის აღდგენა იყო. თუმცა მეგობრებ-  
ის ბედნიერი სახეების დანახვისას ხანდახ-  
ან ეჭვი გამკრავდა, წინასწარ ხომ არაა და-

გვემილი ის, რაც ახლა ხდება-მეთქი. მა-  
შინ ახალი ნაკითხული მქონდა აკრძალულ  
წიგნად მიჩნეული „ებრაელ ბრძენკაცთა  
ოქმები“, რომლის ერთ თეზისშიც საუბარი  
იყო მოჩვენებით საეკლესიო დათბობაზე,  
ანტიქრისტეს მოსვლამდე რომ უნდა დან-  
ყებულიყო. 80-იანებში გარკვეულ რისკ-  
თან იყო დაკავშირებული მსგავსი წიგნე-  
ბის კითხვა. თვით ბულგაკოვის რომანი „ოს-  
ტატი და მარგარიტა“ დაქსეროქსებული  
და კუსტარულად აკინძული სახით გადა-  
დიოდა ხელიდან ხელში. უცხოებთან რომ  
გამოგეჩინა, შეიძლება ვილაცას ჩაეშვი და  
„კაგებეს“ აღრიცხვაზე აეყვანე, როგორც  
ანტისაბჭოთა ელემენტები. „ოქმებიც“ აკინ-  
ძული იყო, ვილაცას ბერი ნილუსის მრავალ-  
ტომეულიდან მნიშვნელოვანი ადგილები  
საგანგებოდ ამოურჩია და დაქსეროქსები-  
ნა. დღეს გუგლშიც დევს ეს წიგნი. იკითხე,  
რამდენიც გინდა. თუმცა რომ შევადარე,  
აღმოჩნდა, გარკვეული თეზისები აკლდა.  
თითქოს ვილაცას გაერედაქტირებინა. ყოვე-  
ლ შემთხვევაში, ველარსად ნავანყდი ეკ-  
ლესიის „მიგნიდან აფეთქების“ გეგმას, სა-  
განგებოდ შეგზავნილი აგენტებს რომ უნდა  
განეხორციელებინათ. თურმე საიდუმლო  
საძმო სახელგატყბილ ადამიანების (მექალ-  
თანეების, პედოფილების, ლოთების, შავი  
სამყაროს ანასხლეტებისა და კომიკური  
პიროვნებების) ხელით აპირებდა ეკლესი-  
ის ავტორიტეტის დაცემას. როცა ქრის-  
ტიანებს ამკარად ვებრძვი, უფრო ძლიერ-  
დებიან, ამიტომ ტაქტიკა უნდა შევცვალო-  
ოთ, გეგმავდნენ ღმერთთან მებრძოლე-  
ბი. იქნებ ეკლესია-მონასტრების აღდგენის  
პროცესიც წინდანინვე იყო დაგეგმილი,  
რათა წლების შემდეგ უფრო მძიმე ყოფილ-  
იყო იმედაცარუება და დაცემა? ასეთი იყო  
ერთ-ერთი თეზისი მოჩვენებითი და დრო-  
ებითი აღმშენებლობის შესახებ და მეც ჩემი  
მეგობრების გაბრწყინებულ სახეებს რომ  
ვუყურებდი, გული მეკუმშებოდა, მაგრამ  
მხოლოდ წამით, რადგან ახლა უკვე თვი-  
თონ „ოქმების“ რეალურობაში მეპარებო-  
და ეჭვი. იქნებ ეს წიგნი ანტიქრისტეს იდე-  
ოაფიქსით შეუპოვობდო ბერ ნილუსს სწორედ  
ქრისტიანობის მტრებმა მიანოდეს თავიან-  
თი იდეების პოპულარიზაციისთვის? ასევე  
ხალხში შიშის დასათესად, ვითომდაც, ნახ-  
ეთ, რა ყოვლისშემძლეები ვართ, ყვე-  
ლაფერი ჩვენს ხელშია და ხალხს იმას  
ვუზამთ, რაც გვინდაო.

მაშინ ეს ეჭვი უცნაურად მეჩვენებოდა,  
თუმცა მოგვიანებით, უმბერტო ეკოს „ფუ-  
კოს ქანქარა“ რომ წავიკითხე, ოდნავ დაე-  
მშვიდდი. „ოქმების“ შესახებ არა ერთსა და  
ორს, არამედ უამრავ განსხვავებულ აზრს  
გამოთქვამდნენ რომანის პერსონაჟები.  
მამშვიდებდა კიდევ ერთი გარემოებაც,  
თუნდაც რეალურ ფაქტებზე ყოფილიყო  
დაფუძნებული ბერი ნილუსის წიგნი, მაინც  
არ უნდა გვშინებოდა, რადგან ეკლესიის  
დევნაზე ჯერ კიდევ ოცი საუკუნის წინ გე-  
აფრთხილებდა იოანე ღვთისმეტყველი.  
„გამოცხადების“ მიხედვით უდაბნოში გაქ-  
ცილებს დედაკაცს (ეკლესიას) და მის ძეს  
(უკანასკნელი ჟამის ქრისტიანებს) ვერა-  
ფერს დააკლებდა ვეშაპი ანუ სატანა. ასე  
რომ, წესით არანაირი საძმოების არ უნდა  
გვშინებოდა, რადგან ღმერთი თავის რჩე-  
ულთ ყოველთვის იცავდა და დაიცავს...







ნიკა ჯორჯანელი

თან დროულადაც დაბრუნებას ველარ მოვასწრებ. კარისკენ თვალს შიგადაშიგ კი ვაპარებდი. რა ახლოს ხარ, მზეო, და რა შორს ხარ ხოლმე, მინავ, ფეხქვეშ ყოფნის მიუხედავად.

12  
მზე არ აპირებს დაჭიდებას დედამიწასთან. მზეს ქიშპობა ეხამუშება. ის სადღაც მთაში მოფერებით ქოხს ეფინება, თავმინებებულს, გამჭვირვალეს.

მზეს არაფერი არ სჭირდება, გარდა ლექსებში ხსენებისა ხანგამოშვებით. მაგრამ ლექსებში ამ ხანდახან მოხსენიებას უკიდურესად საჭიროებს.

13  
და მზე უკვე თოხის ტარზეა. მკვეთრად ბრიალებს საკუთარი გამოქრობიდან. ეშმაკეული ქალისადმი სიყვარულივით ეგზორციტის.

ის იმ ყველაფერს, რასაც ტოვებს — გინდ ფეხსახსრიანს, გინდა მოლუსკს, — ტოვებს, შორდება მხოლოდ იმ ფაქტის გალექსვამდე, რომ ლექსებიდან ფეხს არ იცვლის.

14  
კარგია მზეც და სანაპიროც თავისი „ბლექ სი არენის“ გრგვინით და სიშორის ლურჯი სიმცხრალით, თვითონ ცხოვრებაც და ცხოვრებაც ცოტა გვერდიდან, როცა თვალს ადგამ არსებობს.

დამანერინა ნეტა ლექსი, დიდ ჭირშიაც ნასაკითხავი. ასეთი ლექსი არავისი არ შემხვედრია და ჯერ თვითონაც არ შემითხზავს.

\*\*\*  
ერთი, აქეთ მომხედე!  
ამ კომენდანტის საათისას  
რა დაგაბორიალებს გარეთ?

სიგარეტზე გამოვედი.  
აქვე ვცხოვრობ.  
ვიყიდე და სახლში ვბრუნდები.  
აი, ნახე, მარტო ის ღერი აკლია კოლოფს,  
ნელან რომ მოფუკიდე.  
აჰა, მოსწიე შენც, თუ გინდა.

მაგ დაჭმუჭნილ წითელ თოფრაში რა გაქვს,  
ასე საგულდაგულოდ რომ მალავ,  
მთლად ნეკნებს უკან?  
ეგ მაჩვენე.

ამ წითელ თოფრაში?  
ამ წითელ თოფრაში ტკივილი და რწმენაა.

როგორ-როგორ?  
ტკივილი და რწმენა?

ტკივილი და რწმენა.  
გულის ძირთან მაქვს შეხორცებული ორივე  
და ერთმანეთთანაც იმაზე უფრო  
შეზრდილები არიან,  
ვიდრე შენ ხარ შეზრდილი  
შენს კალაპოტთან.

მიღებული გაზაფხულის მოსაზრობა

1  
წვიმს ისეთ ხმაზე, თითქოს სრესდნენ ურიცხვ მორიელს, განსხეულებულ კილოვატებს აფრქვევდეს ლეთე, იხსნებოდეს ყველა კონვერტი, არგასახსნელი, დასაკარგი.

ისეთი ხმით წვიმს, ტაშისკვრაა თითქოს კორეის შრომის პარტიის ყრილობაზე. მაინც კარგია, ქვეყნად წვიმად რომ არ მოვედი. მაინც კი არა — კიდევ კარგი.

2  
ცხოვრება ხინჯებს თვალბევივით ნაზად ილულავს. ეულობა ფუის, სივდება, აწყებინებს ადგილზე ქოშინს მცხოვრებლებიან ნაგებობებს.

ვაგინრობე მოწყენილობას და სულისტქმას არა იმდენად ახალ და უცხო, რამდენადაც საეჭვო დროში ძველ ყაიდაზე ვაგემოვნებ.

3  
ძველებურივე შემართებით ვრეტნიანდები მოვლენების წრფელი წრებრუნვით. მამცნობენ სითბო და ზამბახის მკრთალი ფურცლები, რომ ისევე დავიმედდები.

რასაც ვაკეთებ მერამდენედ: სიმსუბუქით გაჯერებული ფიქრები ნალველს მზრუნველობით დაფუსფუსებენ, როგორც მოხუცს ნორჩი მედდები.

4  
საით წავიდე ამ გაშლილ დღეს გაზაფხულისას, როცა საცაა გადაიღებს და წასასვლელის უქონლობას, სქლად რომ დაგროვდა, უამინდობით ბრალს ვერ მოხსნი?

გნუგეშობ იმით, რომ განგება სახლშიც გგულისხმობს, თვალყურს გადაეწებს, გათარილებს და რომ ისინი, წასასვლელი ვისაც არ ჰქონდა, ასე თუ ისე გასხვივოსნდნენ.

5  
იყვირე, გინდა არ იყვირო, გინდა ანკესი გადაუშვი ფანჯრიდან, ახალს რას ჩასწვდები ისეთს, რაც არსად არ გაგონილა არასოდეს, რომელ სიღრმეებს.

სადმე — ჰაერის ნაკეცებში, ზეცის კლაკნებში — აუცილებლად ჩამალული იქნება რაღაც საიდუმლო სიტყვა ან ფრაზა, ბედს რომ ეტყვი — და გაგიღიმებს.

6  
სუყველა კითხვა იმ ზომამდე უპასუხობა, რომ ჯამში ყოვლად ამომწურავ ცალსახა პასუხს უტოლდება უპასუხობა; მეც დღითი დღე ვცილებდი კითხვებს.

ცხოვრებას კარი ისეთი აქვს, თუკი მოხურა, ნიშნავს — გამოხვალ, გამოცურავ. ძაძა უკულმა დეკოლტეა: ერთხელაც ბზინვით უკვდავების სიშიშველს იტყვის.

7  
ვისთვისაც ერთი ზანზალაკიც არ განკარუნდა, ვისაც ქარი სანთელს უქრობდა, ვინც უბრალოდ მართლა ეწვალა, წვალეა ყველამ გაარღვია.

ყველგან, სადაც კი გაიხედავ, როგორც არ უნდა არ აღნიშნავდე, გონიერი უსასრულობა მიმდინარეობს. რა კარგია მისი შესწავლა! ლექსების წერა რა კარგია!

8  
რა ტკბილია მარადისობის განცდასთან ერთად წუთიერზე დარდიანობა, ერთგვარობაზე წამის, კვირის, წელიწადების — ერთის, ათის.

თუ განსხვავებას ველარ ხედავ მათში თვისობრივს, მის საძებნელად ჩაღრმავება საზიანოა. რაც გავლილია, კივის, კივის. რაც თვალწინაა, გადის, გადის.

9  
მზე თავს ადგება ელსადგურებს, მდელოებს, სერებს, უკან აბრუნებს სიხალისეს, როგორც ძველ მონარქს ყვითელ სამოსში კანტიკუნტად თეთრი კოპლებით, ახალ-ახალი მირონცხებით.

და ადგილზე მიტანის სერვისს მოტოციკლებით ყველაფერი მიაქვს და მოაქვს, ბედნიერების გამოკლებით, რომლის შეკვეთის მექანიზმზე ვერც იოცნებებ.

10  
ეს უცნაური დედამიწა რანაირია და თავს მაინც როგორ გაყვარებს დახლართულობით, ზედაპირზე იქნებ მეტიაც, ვიდრე მის შიგნით გეგულება.

შეუვალობით ხედებისა, ადვილსაცნობი სილამაზით გამონაყარის, უფლებით მისვლის მის ცალკეულ ყველა წერტილთან მთლიან წრეწირზე ხელუხლებლად.

11  
მზე არსებითად ისეთია, როგორც ფლომასტრით ხატავენ ხოლმე პატარები. ბალს ახასხასებს და თეთრეულს თავიდან აშრობს და ილიმის ქიუხებიდან.





მეტი არც რამე გამაჩნია.  
მაგრამ ამათ ვერაფერი ამომაცლის გულიდან.  
სხვათა შორის, ეგ წითელი თოფრა გულია...

როგორ თუ ვერაფერი ამოგაცლის?  
სულ-სულ ვერაფერი? მეც კი ვერა?

შენც კი ვერა, დროვ.  
საქმეც ისაა,  
რომ შენც კი ვერა.

\*\*\*  
შენზე დანერვილი სტრიქონები  
ტელეფონის ნომრებს ჰგვანან,  
რომლებსაც არავინ  
არ კრეფს.

თუ არავისი თვალი  
არ დასტრიალებს,  
საკუთარ თავს უკითხავენ ერთიმეორეს,  
გადაძახილ-გადმოძახილი აქვთ,  
როგორც უეცრად  
სიბნელეში აღმოჩენილებს.

ვინმემ თუ დახედა,  
მათი უმეტესობა  
თავ-თავის ნაჭუჭში იკეტება,  
ყველაზე მხნენი კი იმედს  
იტოვებენ, რომ ეს ვინმე  
არ დაიზარებს გაჩვენოს ისინი,  
ყოველ შემთხვევაში, ცნობას მაინც  
მოგანვდის მათ შესახებ,  
ვინაიდან ის მუჭაზე დაყრა სიკეთე,  
სამყაროში რომ გვაძლებინებს,  
ეყოფა ასეთ  
უბრალო რალაცას.

ვერ ვეშველები  
მათი დროდადრო გადაკითხვით.  
რეაქცია არა აქვთ ჩემზე.  
ალბათ, უარმყვეს,  
გადამიდგნენ.  
ალბათ, იფიქრეს, მოვიშორე,  
რახან დავენერე.

**ნეტფლიქსი**

როდესაც ერთხელ ჩემთან ლაპარაკში  
მან უცებ წარმოთქვა: „ნეტფლიქსი“,  
მომეჩვენა, რომ რეალურად არ ვუყვარვარ,  
თუმცა სატელევიზიო ინდუსტრია  
იქამდე არასოდეს მქონია ასოცირებული  
უსიყვარულობასთან.

მას აქვთ, რაც ეს მოხდა,  
ჩემს გულზე თითქოს ბაირალია აღმართული  
ამ ახალი რეალობის მჭედელთაგანის;  
თითქოს ჩემი გული, რომელიც მას აქვთ  
მალაზე მალალი რეზოლუციის მქონე  
წყვიდიადის ცქერის იძულებას იგერიებს,  
მონოპოლიის დამყარების ყველაზე  
სანუკვარი ობიექტი ყოფილიყო  
მედიამონსტრებისთვის.

რანაირად შეძლო ჩემი გრძნობის  
ცალმხრივობაზე მითითება ამ სიტყვის,  
არა უმეტეს კომპანიის სახელწოდების,  
თუნდაც ერთ-ერთი უმსხვილესის ამერიკაში,  
მის მიერ წარმოთქმამ,  
ვფიქრობ ხოლმე ამაზე  
რამდენს.

ნეტა იცოდეს,  
რას უშვრება მისი ხმა სიტყვებს,  
როგორ უმწვავებს მნიშვნელობებს,  
როგორ უნელებს,  
როგორ მდულრავს და ალილავებს;  
ნეტა იცოდეს, ამ ხმით, ასე ცალკეთი,  
ასე ცალკეთი და ტეხადით, რომლითაც თითქოს  
უფრო ზღვების ზამთრისპირა ჭავლზე მდერისო,  
ვიდრე საერთოდ ლაპარაკობს,  
შავი მაგების მოქცევა და გამორიყული დელფინების  
გაცოცხლება რომ შეიძლება.

ალბათ, რამდენადაც საგულისხმოა,  
თუ რა განიშნებს სიყვარულს,  
იმდენადვე სულერთია,  
რა გითითებს უმისობაზე.  
მთავარია, უმისობას  
პირისპირ არ გადაეყარო  
და იპოვო ისეთ რამეში,  
რაც მასზე მხოლოდ მიგითითებს.  
ოდნავ.  
გაკვრით.  
შესაძლოა, არასწორადაც.



**ქუჩა. ალუბლის ყვავილობა**

მივდივარ.  
ქუჩაზე აყვავებული ალუბლები  
საკუთარ წარსულს მზერად მაყოლებენ  
და საკუთარ მომავალს ვარდისფრად მაყრიან,  
ხოლო მათი ანმყო დგას ჩემს ფეხებთან და  
ცდილობს, ფესვებით მელაპარაკოს.  
ვჩერდები.  
ისეთი ადვილი ყოფილა ანმყოსთან ლაპარაკი,  
განსაკუთრებით გაზაფხულზე,  
როცა ყვავილობა ზენიტშია.  
მთავარია, ფეხი არ მოვიცვალო,  
მთავარია, ფესვები ჩემს ტერფებთან ფეთქავდნენ.  
სიტყვაც არაა საჭირო, გადამწყვეტი სიმეტრიაა —  
თუ სწორად ვიდგები, სწორად აღვიქვამ რეალობას და  
მინასაც გავუგებ.  
ვდგავარ და ვგრძნობ,  
როგორ ეხვევიან ფესვები ჩემს დღევანდელ განწყობას,  
როგორ ლაპარაკობენ  
საკუთარ უანგბადზე და უუანგბადობაზე,  
საკუთარ მინაზე და მინისქვეშ აყვავებულ ამბებზე.  
ვდგავარ და ვფიქრობ:  
თუ სიმეტრიას დავიცავ,  
ყოველდღე შემიძლია, ვუსმინო ხეებს,  
ყოველდღე შემიძლია,  
მათი ფესვებიდან გამოვიწოდო სიმართლე და  
ანმყოს მეგზურად გავიხადო,  
ვიმეგობრო მათ გრძნობებთან და  
ქუჩაშიც ისე ვისეირნო,  
თითქოს ძველი დობილები მიმაცილებდნენ.

**თოვლი სიყვარულში**

მინდოდა, რომ ღვინოსავით გადამეღვარა  
თოვლზე ჩემი საიდუმლო სიყვარული —  
დასაწყისში თოვლივით თეთრი,  
ხოლო მერე ღვინოსავით დაძველებული.  
მაგრამ ვხედავ, არაფერი არ გამოვიდა.  
ვერ შეეძელი სითეთრეში წარსულის წაშლა.  
რამდენჯერაც თოვლად ვაქციე  
ჩემი დიდი თავისუფლება,  
ზუსტად იმდენჯერ ხელში შენზე დარდად ჩამადნა  
და ამ ხელმა ღვინის ჭიქის ძებნა დაიწყო.  
რამდენჯერაც ღვინოდ შევსვი საიდუმლო სიყვარული,  
იმდენჯერ ტუჩზე ქარვისფერი ლაქა დამაჩნდა  
და ღვინის ჭიქა უხმოდ დავდგი ფანჯრის რაფაზე.  
შენ კი გეგონა, რომ ქვეყანას მოუყვებოდი  
ტუჩის კუთხესთან შერჩენილი ლაქების სევდას,  
შენ კი გეგონა, ტუჩებიდან ყველა ლაქას  
მუქი საცხით გადავფარავდი  
ან ყველა შენთვის უთქმელ სიტყვას შევურევდი  
იმ გუნდაში —  
ფანჯრიდან რომ ვესვრი ხოლმე თავისუფლებას.

**მაყვლის კოქტეილი**

წავედით ძველი მეგობრები ახალ კაფეში,  
ჯერ შეუჩვენე კაფეში,  
ჯერ შესაყვარებელ კაფეში  
სასურველი კოქტეილის დასალევად  
და ათას ამბავზე სასაუბროდ.  
— მე მინდა მაყვლის კოქტეილი,  
ყინულშემდნარი კოქტეილი  
ბევრი შაქრით და ლიქიორით,  
და ჯერ აღმოსაჩენი გემოთი —  
ვთქვი ხმამალა და ლურჯ მაგიდას თითი გავუსვი.

— მაყვალი უკვე დიდი ხანია,  
სიკვიდის მაგონებს და სისხლის ლაქებს,  
ჩვენთან, სოფელში, როცა ისროდნენ,  
მე ვინეკი მაყვლის ბუჩქებში

და სისხლივით მიეღავდა აცახცახებულ  
ხელებზე მაყვლის მყავე გემო  
და სიკვიდის ზუსტად ამ გემოთი წარმოვიდგენდი.  
სულ ჩემშია ეს სიკვიდილი მაყვლის გემოთი! —  
თქვა სირიელმა მეგობარმა და მზედაკრული  
ხელებით მაყვლისფერი თმა შეისწორა.

— მაყვალი ჩემი საყვარელი კენკროვანია,  
სიყვარულივით ეკლიანი და მიმზიდველი  
დგას და ასე ჯაგრიანი ღეროებიდან  
ითვლის საკუთარ ზაფხულებს და  
შავი თვალბის ელვარებით გვეპატიუება.  
ეკლები მისი ღირსებაა,  
ამიტომ ჰგავს ჩემთვის სიყვარულს —  
ჯერ ხელი უნდა გაიკანრო, ხოლო გემო მერე შეირგო.  
სულ ჩემშია სიყვარული მაყვლის გემოთი —  
გვითხრა ხორვატმა მეგობარმა და შუა თითზე  
მორგებულ გიმრის სადა ბეჭედს ზრუნვით დახედა.

— მაყვალი ჩემთვის არის დედის ხელების გემო,  
იმ მურაბის და ჯემის გემო,  
რომ ხარშავდა დედა ყოველ შემოდგომაზე  
და გვიხმობდა მე და ჩემს დებს დასახმარებლად  
და ჩვენც ვარჩევდით და ვრეცხავდით, და ჟრიამულით  
თვალს ვადევნებდით დედის ხელებს, ტკბილლაქებიანს.  
სულ ჩემში არის ეს ხელები მაყვლის გემოთი —  
თქვა გერმანელმა მეგობარმა და თვალებიდან  
თავშეკავებით ნაგროვები ბავშვობის სიტკბო  
თავის ლურჯ და ლამაზ მზერად გადმოაგორა.

მე კი ვიჯექი და არ ვყვებოდი,  
რომ ერთხელ ტყეში,  
სწორედ კენკრის საკრეფად წასულ  
მე და ჩემს დას, ფეხი მაყვლის ბუჩქთან დავგიცდა  
და მაყვლის ეკლებს წამოვგო ჩვენი სილაღე.  
ერთმანეთს ეკლებს ვაშორებდით და სისხლიანი  
ხელებით მაინც ნაყოფს ვკრეფდით  
და მისი სიტკბო გვაგინებდა ბავშვურ სიმწარეს.

მომენატრა მაყვლის სიტკბო — ვთქვი ორბზროვნად  
და ლურჯ მაგიდას მომლოდინე თითი გავუსვი.

**წყევლა**

დაე, იყავი მისი პური,  
როცა მოშივდება, საკუთარი თავი გამოუტყვე,  
როცა მოსწყურდება,  
მაშინაც საკუთარი თავი გამოუტყვე,  
ვერ გაგცდეს, ვერ იხიროს უშენოდ,  
ვერ დაპურდეს ვერავისთან.  
ვერც შენ შეძლო სხვების დაპურება,  
ყველას სიმწრით გადასცდი ყელში,  
ყველას ყელში კაკტუსივით ამოეზარდე —  
დამწყველა ცხოვრებამ და შენს კლდეს მიმაჯაჭვა.  
მე ხელები ავნიე და აღმოვაჩინე, რომ  
რალაცით მომწონდა ეს ბორკილები,  
ეს მოსაწყენი ბორკილები,  
ეს ოქროს ბორკილები კაფანდარა ხელებზე,  
რომლითაც შენთვის პური უნდა გამომეცხო.  
მომწონდა ჩემი განაჩენი.  
როცა გიყვარდი,  
ცომივით დრეკადი მიხდებოდა ხელები.  
ხან ხორბლის,  
ხანაც ჭვავის გემოდ ვიღვრებოდი შენს ბაგეებზე.  
როცა გიყვარდი, ბორკილებიც ტკბებოდა და  
ღვეხელივით პრიალებდა ჩემს ცხელ მკლავებზე.  
როცა გიყვარდი, კლდის სიცივე მაგინყდებოდა.

მაგრამ როცა მარტო მტოვებდი,  
მე ვხდებოდი მეტისმეტად მარილიანი,  
მე ვხდებოდი მეტისმეტად გამოშრალი  
და შენც ალბათ ველარ გაგეგო,  
ჩემს ბორკილებს მარილივით ლოკავდი თუ  
ისინიც ყელში ბედისწერის ლუკმად გცდებოდა.



დასაწყისი პირველ გვერდზე

II  
ანჯიკოს  
ქოშაჰი

ჩვენ დავბინავდით მთავარ მოედანზე, საცა დიდმა ვაჭარმა ზუბალაშვილმა თავისი ქარვასლის ორი საკმაოდ კარგი ოთახი დაგვიტოვა. ერთში მუანე და კალინო გაჩერდნენ, მეორეში მე ჩემი ბარგით და იმ თოფებითა და ხანჯლებით, რაც გზაში დამიგროვდა.

როცა მოვივინეთ და ფინომ საუცხოო სადილი გაგვიმართა, დავინყე ფიქრი, თუ რისი გაკეთება შეიძლებოდა ამ ჩვენი მთავარი მისისი ალსასრულებლად. რა ვიცოდი პატარა რუსტამის საცხოვრებლის შესახებ. ბევრი არც არაფერი. ეს იყო კლდის უბანი. ის ყველგანაა, რომ მისი ფანჯრებიდან სჩანდა სამეფო ბალები და დიდი ხე.

მე შევიქენი ვითარება ედგარ ალან პო. იყო ასეთი ჩვენი ამქრის კაცი, მწერალი, ათიოდე წლის უკან მოკვდა ბოსტონში. არაჩვეულებრივი ნოველების ავტორი. მე მომავლად ახლა მისი მოთხრობა „ოქროს ხოჭო“, საცა დაეძებენ განძს, დაფლულს ზღვის მეკობრის მიერ და იქაც ხის გაზომვითა და იქიდან დაცემული ჩრდილის მითითებით აპირებს მთავარი გმირი ამ განძის პოვნას.

უპირველესად ვიფიქრე, რომ კარგი იქნებოდა ერთი ადგილობრივი ჩიჩერონეს დაქირავება და კარგი იქნებოდა ჯერ ამის ფასების გაგება, რაკი რაც ფინომ მომიყვა, აქაურ თმის გამკრეჭავთა ნიხრისა და ფასისა, ეს ფეხის მოციქული ტყავს გამაძრობდა. თანაც სანდო ადამიანის მოძებნაც იოლი არ იქნებოდა. სადმე შეგიტყუოს და გაგდარცვოს, არც ეს იქნება რამ გასაკვირი. მაშ, ისევ ფინოს რჩევას მივინდევ. მანამდე კი გავიკეთე ქამარში ხორასნული ხანჯალი, რაც ასტრახანში ვიყიდე და მთელი მოგზაურობა თან ვატარე, კალინომ კი დიდი ფრანგული ხმალი დაიკიდა, მამამისისაგან რომ დარჩა და იმან კი მომნიშალის ბრძოლის დროს იგდო ხელთ. კარლ მე-სამის ესპანური ვარსკვლავი გულზე არ დამიბნევია. ის, რასაც სულ თან ვატარებდი, სანამ ტფილისში მოვიდოდი, ყოველი შემხვედრის თვალში გენერლად რომ მეჩქევდა და საქმეს აიოლებდა. ეს იქნებოდა ახალი ცხენების მოძებნა ფოსტაში, ღამის სათევის, კარგი ვახშამისა თუ ბაღლინჯოების გარეშე სანოლისა. ახლა გენერლის იერი ოდენ ნაახდენდა საქმეს და ნიგნის საძიებლად არ წამადგებოდა.

— ზურაბა, — სთქვა ფინომ.  
— არ მინდა, უმადურე გამოვჩნდე, მაგრამ ასე ოდენ წარმოთქმული სახელი არ აჩენს ჩემში რაიმე ფიქრსა და დარწმუნებას.  
— ის კარგი ოხერი და ნამდვილი ჟილ ბლასია, მაგრამ სწორედაც ის დაგჭირდება, თუ ასეთი საქმის აღსრულება გადასწყვიტეთ.  
— სად მოვძებნო?  
— ის თქვენი სახლის ახლოში რომ ყავახანებია, იქ დაიარება, თუმცა თქვენი ასე გამკვება იქნება მინოტავრთან გამკვება თე-ნევისა, არიადნას ძაფის გარეშე. მაცადეთ ნახევარი საათი და მე თავად გამოგვეყვებით.

და ნახევარი საათი გავატარე ფიქრებსა და ჭერზე დამჯდარი ბუზების თვლაში. ეს მეტად კარგი საქმიანობაა, როცა გინდა, დრო მოკლა. თანაც ისინი დროდადრო ან აფრინდებიან ან დაფრინდებიან და სანაძლეოს დადება და კამათიც შეიძლება, თუ რამდენი ბუზია ჭერში.

ფინო, როგორც თქვა კიდევ, მალე განთავისუფლდა და ჩვენ ერთად შევდგით ფეხი იქვე, ქუჩის მეორე მხარეს, გამართულ ერთ-ერთ ყავახანაში, სადაც ეს ტფილისელი პიკარესკას გმირი უნდა გვენახა. ის უმაღლესი ვიციანი. არ იდგა ხიდზე და არ იფურთხებოდა მდინარეში, რომ იმის რგოლები დაეთვალა, თუმცა მაინც ვიციანი.

— სწორედ შენ გეტყვები და შენი ნიჭის და მარიფათის დაფასების კარგი შესაძლებლობა მოგეცა, — ისე ეუბნებოდა ფინო ამ ვაჭარბატონს, თითქოს დიდ მოღულს ესაუბრებოდა, არადა, ვილაც მამაძალსა და უდაოდ ავაზაკს.  
— კმარა ქადაგება, საქმისა თქვი, — ეს ავაზაკი ჩაცუცქულიყო და დაყრილ კოჭებს უყურებდა.

აბო იაშალაშვილი

ბრაუ  
მონტე-კრისტოს  
სურჯინი



ფრაგმენტი  
მომავალი რომანიდან

— აი, ეს ბატონი გახლავთ ავტორი „სამი მუშაკეტრისა“, „დედოფალი მარგოსი“ და „გრანფ-მონტე კრისტოსი“, — სთქვა ფინომ და გაჩერდა.

ნამდვილად არ მოვსულვარ აქ იმისთვის, რომ ჩემი ქება დაეწყეთ. არც იმის მოლოდინი მქონდა, რომ აქ, ამ ყავახანაში, ეს რაიმე რეაქციას გამოიწვევდა.

— ისე ყვები, „ყარამანიანი“ დაენეროს, ანაც და „ეფერე ვერდი“, — ცხვრის კოჭები დაყარა მუჭიდან იატაკის ფიცარზე ზურაბამ.

კალინო ყველაფერს მითარგმნიდა და ყურში ჩამიდებდა, ასე რომ, ამ დიალოგის რაობა არ დარჩენილა ჩემთვის დაფარული.

— მას ჭირდება გამყოლი და აქაურ საქმეებში მოლაპარაკე და დამხმარე და შენზე უკეთესი გონებაში კი არ მომდის.

ზურაბამ ყავა მოსვა ერთი ბენო და თვალის დამაჭირა.

— ვოლტერის მონაფა?

— კი, ორთავე ჩვენი ქვეყნის შვილები ვართ, — ჩემ მაგიერ თქვა ფინომ, მაშინ, როცა არასოდეს მიყვარდა ეს მეტად თავდაჯერებული კაცი.

— მაშა ორნივე დიდი წმინდანი იქნებით! — დაჰყარა ზურაბამ ისევ ცხვრის კოჭები მტვრიან ფიცარზე.

ასე იყო თუ ისე, მოვრიგდით და კმაყოფილი დავრჩი ზურაბას ენამოსწრებულობითა და იმით, რომ დავიყოლიეთ. ფინოს დავემშვიდობეთ, ხოლო მე, კალინო, როგორცაა მომთარგმნელობის მტვირთველი და ეს ვინმე ზურაბა, დიდი ეშმაკის ფეხი, გავუყვით ქუჩას ზევიტენ.

უნდა ითქვას, რომ ეს სრულებით სხვა ქალაქია, ვიდრე, რასაც რუსტამი აღწერს. ერთი, რომ მას მერე ჯერ სპარსეთის ქოსა მამად ხანმა გადაწვა და ათიოდე წლის უკან კი ის სულ უფრო და უფრო გამშვენიდა და მას მერე, რაც მეფისნაცვალ ვარანცოვი შემოვიდა, აქ უამრავი ახალი ნაგებობა აიგო. ნელ-ნელა გაიჩეხა სამეფო ბალები, იქნებ ის ჩემი ხეც მოიჭრა და გაშენდა უბანი სოლოლაკი, რომელიც ხევის აყოლებზე გაიშალა და ნელ-ნელა ჩამოართვა უპირატესობა სამეფო უბანს, ანჩისხატის ეკლესიის ახლოში რომ გაშლილიყო.

მას მერე, რაც დერბენტში ჩემი ჩიჩერონე თავადი ბაგრატიონი იყო, რომელიც მიმინოს რომ ნახავდა, მის ჯიშს უმაღლესობაზე გაიშალა და ნელ-ნელა ჩამოართვა უპირატესობა სამეფო უბანს, ანჩისხატის ეკლესიის ახლოში რომ გაშლილიყო. მას მერე, რაც დერბენტში ჩემი ჩიჩერონე თავადი ბაგრატიონი იყო, რომელიც მიმინოს რომ ნახავდა, მის ჯიშს უმაღლესობაზე გაიშალა და ნელ-ნელა ჩამოართვა უპირატესობა სამეფო უბანს, ანჩისხატის ეკლესიის ახლოში რომ გაშლილიყო.

ხელგაშლილი, მამაცი, ალტაცებული, სტუმართმოყვარე. ახლა კი აქ იყო ზურაბა, ვინაც კამათლის დაყრა, მაიმუნობა, გლეხის ყაირათი და, ვინ იცის, კიდევ რა იცოდა. ეს მეტად დიდი სხვაობა იყო.

— კლდის უბანში? დიდი ხე? ბალები? ნყარო? ანჯიკოს სახლის ეზო იქნება, — სთქვა ზურაბამ და მთელი პოს მოთხრობა გამიქრო გონებიდან, აღარც ტოტის ჩრდილი დამჭირდა, აღარც იმის ფულუროს ძებნა.

ბევრი არ გვივლია და ერთგან სიღრმეში შევედით, რასაც ჩვენი ფეხებით ვერასოდეს მივადგებდით და წყალი გადმოდიოდა კლდიდან და ზურაბამ პეშვი შეუშვირა და მოსვა.

— შედალოცვილო, განა მუცლის გასაძლომად მოვედით, გამოგვხედე ერთი, ვაზად შევიქმენ და ნაყოფიც, აგე, როგორი კეთილი გამოვიღე, — გაიშვირა ხელი ჩემსკენ ზურაბამ.

— კაი ბარაქა მოსავალი კი მოგვლია, — სთქვა სახლიდან გამოსულმა ერთმა გალელულმა კაცმა და უფრო მე მათვალაიერა, ვიდრე ზურაბა.

— ეს სახლი სასწაულით დგას ჰაერში, საცაა დაინგრევა ისეთი ძველია და აქ ადრე რომ იდგნენ სომხის ტერტერების მრევლი, იმათი საქმე როგორ წავიდა? — გახედა მეტად დანგრევის პირას მისულ სახლს ზურაბამ.

— კარგად გცოდნია ზურთომოდვერება და იმ ტერტერობისაც არ გამოგჩენია და საიდან კი იცი?

— ყვავნი ასე იძახიან.  
— მერე რა გინდა?  
— სად წავიდნენ?  
— სად წავიდნენ? „სლუში“ ბაღდასარ

როა, მაგას ეცოდინება, ოღონდ ის წინა ზაფხულში ავიტანეთ კუკიის სასაფლაოზე და სარიმჯის უბნელმა გიგომ ქვა გამოუთალა ზედ ქოშებით და დავადეთ გულზე. აბა, სხვა რა გითხრა, რასაც ხედავ, ეს დარჩა.

— ამ სახლის ნივთები?  
— ზოგი ვინ იყიდა, ზოგი — ვინ. ზოგიც გადაიყარა ავანანთ ხევი და წვიმამ წაიღო მტკვარში.

— ნიგნები?  
— ნიგნი ძვირი რამაა. იმას ვინ გადაყრიდა და ერთი სკივრი კი, მახსოვს, ვიპოვეთ და ხარფუხელ ელეთერას მივყიდე.

— კითხვ, ხომ არ ახსოვს, რა ნიგნები იყო, — მოასწრო კალინომ ყველაფრის საგულდაგულოდ ჩემთვის მოთარგმნა.

— ჩვენი საქმე არი ქოშის კერვა, აბა, რა ვიცი მე ასოთა და წიგნთა მოყვანილობა. ფული მამცა და წაიღო. ნიგნი რად მინდა, განა მღვდელი ვარ.

— ელეთერას განჯაფას თამაში უყვარს, — სთქვა ზურაბამ, ოღონდ ეს განჯაფას რა იყო, კი ვერ გავიგე.

III  
ელეთერას  
ნიგნთასაცავი

ხარფუხს სხვანაირად იტყვიან სეიდაბადს. რადგან აქ ჩამოასახლეს სეიდების ტომის ხალხი და ახლაც ცხოვრობენ და ფეხის გულები რომ გამიხეხა მექისემ და რა არ დამმართა იმ ადუღებულ წყალში, ესეც ერთი ასეთი სპარსელის ნამოქმედარი იყო. ელეთერა რა რჯულისა და ჯიშისა იყო, არაფერი გამეგებოდა, მაგრამ აქ ისე სახლობენ და ისე მეზობლობენ, რომ ამას არაფრად დაგიდევნ და ერთმანეთს ხელს უმართავენ.

წავედით ხარფუხში. ამისათვის ჯერ აბანოების უბანში ჩავედით ეტლით. ნამონოლილ აქლემებს შუა ვიარეთ და გოჯი არ დაგვიტოვებ და მერე კი ავუყვით აღმართს. გავიარეთ შესახვევები და მივადექით სახლს.

ყოველ შემთხვევაში, ესენი ასე ეძახდნენ.

— უყვარს ამას მოსული ხალხის ყირაზე დაყენება, — სთქვა ზურაბამ და ბევრი კი ვერ მიხვდი, რა იგულისხმა და კალინომაც დიდად ვერ მოთარგმნა, თუმცა, აბა, შევხედოთ.

— ქეთილი, შენი ხმალი, ჩემი კისერი, — ალბათ არ მოუხდა ჩემი ნათქვამი და ნამეტანი „ათას ერთი ღამისა“ იყო და იქნება თავად კონსულ გალანის გამონაგონი სიტყვათა წყობა.

— მასპინძელი! ეე!  
თუმცა ყვირილს არაფერი შედეგი არ მოყოლია.

— განა ამალამ დასარჩომად სადგური გვინდოდეს, განა, შენი ბატონის ჩაქაფული გვინდოდეს, გაიღე ხმა!

— აბა, რასა ყვირი, — გამოვიდა ამის მერე ბანზე კაცი, გადმოგვხედა და თან თავის იფხანდა.

— სალამი შენდა, მეკალმე კაცია მოსული ქალაქს, ძან მწერალი ფრანციიდან და შენი ყოჩალობა რო გაიგო, მაგასაც ვნახავო.

— აბა, ვინ მწერალი?  
— აჰა, ესა.

კაცმა გამოხედა და მიცქირა. დიდი შთაბეჭდილება არ მომიხდენია.

— თუ ასეა, მობრძანდით, — შეგვიყვანა ელეთერამ სახლში.

ოთახი იყო, საცა ელაგა უამრავი ნიგნი თუ ფურცელი. მაგიდაზე, თაროებზე, საცა ადგილი იყო, ყველგან რაღაც ნაწერი და იმის ყდა დაელაგებიათ.

ერთი სიამოვნება იყო ამათი თვალყურება, ზოგის გადაშლა, ჩახედვა ასოებში, რომლებიც სრულიად განსხვავდებოდა იმისაგან, რასაც ჩვენი თვალი შეეჩვივა. რაღაც არქაული იყო ყველაფერი და რაღაც უჩვეულო ქვეყნების ელფერი ჰქონდა.

ზურაბაც დაიარებოდა ჩვენთან ერთად და რომ ვთხოვე, მოეთარგმნა ჩემთვის, თუ რა ელაგა აქ, ისიც სიამოვნებით დასთანხმდა.

ამასთან ელეთერა ისეთი სიამოვნებითა და სიხარულით გვაჩვენებდა ამ თავის განძს, რომ განყვეტა მისი საუბრისა არ გამოდიოდა. რომ უცებ გამეჩერებია და დამეძახა, შამირას ნიგნი თუ ჰქონდა, არაფრით გამოდიოდა. არ გამოდიოდა და ისიც ყველგან და კალინო კი მითარგმნიდა. აქ იყო უჩვეულო ნიგნები, ნაწერი მეფეების, ნათარგმნი სპარსულიდან, იმათ ნახატებს ვუცქერდი, იმათ ფუნჯის მონასმს, ფერებს. ელეთერა ნამდვილი ნიგნის მოყვარული იყო და უხაროდა, როცა „გრანდ მონტე-კრისტოს“ დამწერი აჩვენებდა ამათ მეფეთა ნაწერებს. დავიხსოვე ზოგი სახელი. მეფე არჩილი და მეფე თეიმურაზი. ორი მეფე, რომლებიც ხმლის ქნევასთან ერთად ნიგნებსაც სწერდნენ. ერთი ტახტზე აყვანათ სპარსეთში და იმის თავზე ოქროს ფულები გადაეყარათ, რაც აღმოსავლეთის მეფედ დასმის ცერემონია იყო. მეფე არჩილიც პოეტი და სპარსულ ყაიდაზე ლექსთა მწერი იყო. მაჩვენეს კიდევ ერთი მეტად სახალისო ნიგნი, რასაც „ყარამანიანი“ ერქვა და სპარსულიდან მოთარგმნა ერეკლე მეფის სარდალს. ენას აქებდა ელეთერა და ნიგნის არშიებზე დახატულ ყვავილებსა და ცის მნათობებს



მაჩვენებდა. ეს ყველაფერი იყო მეტად საა-  
მო, თუმცა არ მახსოვდება ჩემ მთავარ  
ძიებას და როცა მან ბლომად ისაუბრა და  
ბლომად შალა და თან სჩანდა, რომ ბოლო  
არ უჩანდა ამ თხრობას და თან საკმარისი  
მოყვება, რომ საუბრის განწყვეტა გამეხ-  
და, ვთქვი.

ერთი წიგნი მაქვს გონებაში ჩავარ-  
დნილი და იმისას ხომ არაფერს გვეტყვი?  
— აბა, რა წიგნი? — მოსწყდა თავის  
თხრობას ელფეთერა.  
— ინდოეთიდანაა ჩამოტანილი.  
— ასეთი რა არი?  
— შამირას წიგნი.  
— შამირას? — სახე შეეცვალა მას.  
— მაშ გსმენია?

— სმენით, მსმენია. აბა, ვის უნახავს.  
იმის ერთი ფურცელი კი მქონდა. თავფურ-  
ცელი იყო და დანარჩენი კი გამქრალია.  
აი, სადღაც უნდა მქონდეს.

იქვეა ბლომად თავის წიგნებისა და ფუ-  
რცლების გროვაში და რაღაც გამოქეცა.  
— ხო ესაა, ეს. დანარჩენი? დროდადრო  
საღდათის ბაზარზე ჩნდება სხვადასხვა.  
ეს ფურცელიც იქ ვნახე.

მივხვდი, რომ იმ სკივრის წიგნებში არ  
ყოფილა შამირას წიგნი. მაშ, სასიარული  
ახლა საღდათის ბაზარი ყოფილა. ის, რაც  
ჩვენი სახლის ყურის ძირში იყო და იმის  
ქვეშ გაშლილიყო. დიდი მადლობით გამ-  
ოვეთხოვეთ ჩვენს მასპინძელს და გამო-  
ვუყვივით გზას უკან.

### IV იარაგის დაღდალი

რამდენი რამ დაეღაგებიათ — ბილია-  
რდის შარები, წინდები, ლოქო, გატეხილი  
საათი, ვერცხლის კოვზი, წითელი ახალუ-  
ხი, მანონის ქოთანა. არეულობა იყო სრუ-  
ლი. ამათ შორის ვნახე კაცი, რომელსაც  
წინ სხვადასხვა ფურცელი დაეღაგებია.

რაკი ჩემი ცისფერი ფურცლები ბევრი  
არ დამჩნა და რაკი ოდენ მასზე მეხერხება  
წერა და ტფილისში კი იმისი არაფერი ცო-  
დნოდათ, ამიტომ მეტად გამოზოგვით ვწ-  
ერ. ამიტომაც ბევრი ქუჩის ხმაურისა და  
აღმოსავლეთის მისალმების გამოტოვება  
მიწევს და უფრო იოლ გზას ვირჩევ და ამის  
გამო არ დამძრახოთ. როცა პარიზში ჩავ-  
ალ და საწერი ფურცლები მასზე დაუთვლე-  
ლი მექნება, ვეფერები ეს ჩაკანონულები გა-  
ვამშვენო და მეტი ფერი და ხორციც მოვა-  
ყარო.

— ეს რა არის? — ვიკითხე ფურცლებ-  
ის დასტაზე.  
— სიბრძნეა ძველი.  
— ფურცელ-ფურცელ რად ალაგია?  
— ასე ამათი არევის შემდეგ კარგი სას-  
მენი წიგნი გამოდის. ასე ვყიდულობ სხვა-  
დასხვა ფურცლებს და მოცალებობისას ამათ  
ერთი მეორეს მივუწყობ და გამოდის მეტ-  
ად საამო სათხრობი.

ასეთი ჟანრი ლიტერატურაში არ მენა-  
ხა. როცა ტიბალტი და ტარტიუფი ხმაღს  
გადააჯვარედინებენ, აქ რაღაც ასეთი მო-  
ეფიქრება ამ კაცს.  
— მე ერთ წიგნს ვეძებ და იმისი თუ იცი  
რამე?

— სთქვი და იქნებ ვიცი.  
— შამირას წიგნი, ინდოეთიდან მოტა-  
ნილი.  
— არაფერი ვიცი მე მაგისი, — მოსჭრა  
უცებ და გაჩერდა.

ვერაფერი გავიგე.  
ეს იყო მეტად უჩვეულო რეაქცია.  
საღამოს დიმიტრი ორბელიანიდან ვიყა-  
ვით ვახშამზე. ორბელიანი არის გვარი,  
რომელიც ჩინეთიდან მოდის. უნდა ითქვ-  
ას, რომ ჩვენს მასპინძელს აქვს უნარი გვე-  
ლის შხამის განკურნებისა და ფლობს ამი-  
სთანა ქვას, რომელიც მეფე ერეკლეს სა-  
კუთრებაში იყო და რაკი ორბელიანის დე-  
და ერეკლეს შვილია, ქვა მას ასეთნაირად  
დარჩა. ეს ქვა არის ბეზოარი და ინდოეთ-  
იდან ჩამოეტანათ. ამაზე საუბრისას თავ-  
ში, რასაკვირველია, ინდოეთიდან მოტანი-  
ლი წიგნი ისევ მომივიდა. უფრო სწორად,  
მასზე ფიქრი საერთოდ არ მტოვებდა, ამ-  
იტომ, როცა ვიხეთქე დრო, ორბელიან-  
თანაც ვახსენე წიგნიც და ის უნდობლობა,  
რაც იარაღში შემხვდა.

— შამირას წიგნი? ახლა ამაზე საუბარი  
აღარ არის სახიფათო და ტუჩებიც არაა  
დასაწებებელი. ერთი, რომ ის გამქრალად  
ითვლება და ის არეულობა და გონებათა

ქროლვა, რაც მას მოყვა, იქნება გადავიწ-  
ყებულიც კია, თუმცა ეს არაა რამ რიგითი  
წიგნი. რაკი ახსენეთ და ინტერესიც მოგი-  
ჩანთ, გეცოდინებათ მისი რაობა. იმის ჩა-  
მოსატანად გაგზავნა პაპაჩემმა, ერეკლე  
მეფემ, ვაჭარი დანიბეგაშვილი ინდოეთში.  
ამის გამო გავმართა ის ქართლ-კახეთიდან  
ამხელა გზაზე. ინდოეთამდე გზა, მოგეხ-  
სენებათ, მოკლე არაა და სანამ ის უკან  
მობრუნდა, მეფე ერეკლემ სული განუტე-  
ვა და იმის შვილი მეფე გიორგიც ვარდა-  
იცვალა. წიგნი კი, როგორაც ყვეებიან, ჩამ-  
ოიტანა, თუმცა იმას რა ბედი ენია, ეს ბუნ-  
დოვანია მეტად. იმას დაეძებდა რუსთა  
საიდუმლო სამსახური, როგორაც მეტად  
სახიფათო და ძირგამომხრელ წიგნს. მის  
მოსაძიებლად მობრუნდა სპარსეთიდან  
ბატონიშვილი ალექსანდრეც და ვერ იპო-  
ვა და უკან გაბრუნდა. ხოლო როცა ოცი-  
ოდე წლის უკან შეთქმულება გამოაშკარა-  
ვდა და სოლომონ დოდაშვილი, დიმიტრი  
ყიფიანი, გრიგოლ ორბელიანი ქვეყნის გა-  
მონთავისუფლებას ფიქრობდნენ და ისი-  
ნი გასცეს და დაატყვევეს, დოდაშვილი კი  
სულაც გასახლებაში მიიცივალა, აღმოჩნ-  
და, რომ მათაც სწორედ ამ წიგნის იმედ-  
ად ჰქონდად ეს ჯანყი ჩაფიქრებული. ჰქონ-  
დათ ეს წიგნი თან, თუ ანი უნდა ეპოვათ,  
ამისიც არაფერია ცნობილი. ეს საიდუმლო  
სოლომონ დოდაშვილმა წაიღო საფლავში.  
სხვა კი არაფერია ცნობილი. აი, ეს ჩიხირ-  
თმა მიირთვით, მეტად უხდება ხაშმის ღვ-  
ინისა.

საღამომ ასეთ ვითარებაში ჩაიარა. ორ-  
ბელიანი არ მოგვაკლო პურ-მარილი, ფე-  
ხები დაგველაგებია სპარსულ ხალიჩაზე,  
რომელზე უკეთესიც აქამდე არ მენახა,  
გონებაში კი სულ ეს წიგნი მიტრიალებდა  
და ის ვითარებაც, რაც მის გარშემო იყო.  
ამის გამო იყო, რომ ერთი სხვა წიგნის დაწ-  
ერა მომივიდა თავში და ვიფიქრე, აღარ  
გადამეღო და შევუდექი იმ ღამესვე, როცა  
ჩემს ოთახში განვმარტოვდი და ჩემი ცის-  
ფერი ფურცლების ბოლო შეკვრა, დიდნი-  
ლად, სწორედაც ამ ამბის ჩასახორად გამო-  
ოვიყენე. როგორც ვთქვი, ეს ბოლო შეკვ-  
რაა და ამიტომ ზოგადად თავს მეტად მო-  
კლედ დავსწერ და შემდეგ, როცა პარიზში  
ჩავალ და ისევ მექნება წვდომა ჩემს ქალა-  
ლდთან, ამას შევავსებ და საბოლოო სახეს  
მივცემ.

წიგნის სათაურიც მოვიგონე უკვე და  
„რაჯასტანის თვალი“ ერქმევა. ეს არის  
ძვირფასი თვალი, რომელიც ალა მაჰმად  
ხანის ძმას წამოეღო ისფაჰანიდან. მკითხ-  
ველს კი აქ მოკლედ მოვახსენებ, თუ ვინაა  
ეს ალა მაჰმად ხანი და იმის სახელი კი ის-  
მის თითქოს „ათას ერთი ღამიდან“ გამო-  
ბიჯებული, ოღონდ ესაა ქოსა სპარსული  
ხანი, საჭურისი, სასტიკი და მთელი თავი-  
სი სანათესაო რომ ამოწყვიტა, რათა ტახ-  
ტისთვის გზა გაეკვლია. ტფილისიც მან  
ააოხრა. მოხუცი მეფე ერეკლე კი თავად  
იბრძოდა და შემდეგ გაარიდეს ბრძოლას.  
მუანემ მითხრა, რომ ამ მეფის შესახებ უწ-  
ერია ლესინგს. და ამას გარდა „ლონდონ  
ტაიმის“ ძველ ნომრებში იგონებდნენ, თი-  
თქოს მას ისფაჰანიც აეღო და კონსტანტი-  
ნოპოლიც. ასე არ მომხდარა, თუმცა ევრო-  
პაში კი გაუთქვეს სახელი. ის ბევრს იბრძო-  
და სპარსელების და ოსმალოების წინააღმ-  
დეგ, ლეკების წინააღმდეგ და წერილებსაც  
წერდა ევროპულ ქალაქებში, რათა დახ-  
მარება გამოეგზავნათ, ლუი მეფესაც მის-  
წერა, ჰაბსბურგებსაც, ვენეციელებსაც. მე,  
როგორაც ახლა ამ მიწაში შეყვარებულს,  
სინანული მიჩნდება, რომ დახმარება ის არ  
ეკრებოდა. ამის გამო მან რუსთა დედოფალ  
ეკატერინას მიმართა და ასე ნელი-ნელ გახ-  
და იმის სამეფო რუსთა ლუკმა. თუმცა კმა-  
რა საუბარი და შევუდგეთ თხრობას და  
მკითხველი უფრო გაიგებს ამ ქვეყნის ყვე-  
ლაფერს და, იმედია, ჰანის ქუჩაზე ბაცის  
მალაზიაში ნაყიდი ვითომ და ჰავანური სი-  
გარები ხელს არ შემიშლის, რაკი მუანემ მას  
ენება და ღრჭობებში კი კვამლი შემოდის  
და ჩემი ცხვირის ნესტოებისაკენ მორბის.  
მაშ, დავიწყეთ.

### V რაჯასტანის თვალი

1  
მაშინ მეფე იყო ირაკლი, ბაგრატიონი,  
მეფე ქართლისა და კახეთისა, იწით შეღე-  
ბილი წვერით და ბრიალა თვალებით.

მას მოერჯულებია ერევნისა და განჯა-  
ყარაბახის ხანები და იმის სასახლის კარი  
დამსგავსებოდა კარს ჰარუნ არ-რაშიდისა.  
საიდან მოსულს არ ნახავდი აქ — ელჩსა  
და ფეშქაშს თავრიზის ხანისა, ხუის ხანისა,  
მაყაყის ხანისა, მარაღის ხანისა, ბაიაზეთ-  
ის ფაშისა, შორაგელის სულტან ყარამან-  
ისა და ერევნის მამულში მდგომი შამადინ  
აღა ქურთისა. სომხებს წიგნი მოეტანათ  
ქალაქ ვენეციიდან, საცა ეთარგმნათ ეგ  
წიგნი და მეფისათვის მიერთმიათ. შიგ ეწ-  
ერა თავგადასავალი, თუ რანაირად გამ-  
ოიგონეს ძმებმა მონგოლფიემ საფრენი  
ბურთი და ამით ფრანგთა ცაში გაეიდნენ.

მეფეს მოსწონდა წიგნი. განა არ იყო ბა-  
ლდადის ხალიფას ჯადოქრული ცხენის ამ-  
ბავსავით, რომ გააჩქენებდა და ცაში ამოჰყ-  
ოფდა თავს. წიგნის ფურცელს მეფე ერეკ-  
ლე სხვათა სახელმწიფოში გაყავდა.

მოგზაურობა-სიარული მეფეს სიყრმი-  
დანვე ესწავლა. სულ ყმანვილს და უთლვა-  
შოს ეარა სპარსულ ლაშქართან ერთად ინ-  
დოეთამდე.

ის სპარსელებთან ერთად ნადირობისა  
და ვეფხვების, ვეება ტყის კატების მოდა-  
რაჯების, ხმლით მიწვდენის ხელოვნებას  
უცქერდა.

თუმცა ეს მოგზაურობა არ ყოფილა ნა-  
დირობისა და ლხინის. ლაშქრობა იყო, მო-  
სარჯულებლად თავგასული დიდი მოღუ-  
ლისა.

ლაშქრობა ნადავლიანი გამოდგა. ალა-  
ფი ბლომად წამოიღეს. როგორც ბაირონ-  
მა თქვა, ნუგეშად დიდ მოღულს ერთი ფი-  
ალა ყავდა დაუტოვავო. ერეკლე ბატონიშ-  
ვილს კი დახსომებოდა უამრავი რამ. იმა-  
თებური მთასავით ცხოველები, ზედ რომ  
მოსკუპებაც შეიძლებოდა და ზედ გამოკ-  
იდებულ კალათაში ჩასხდომა. მოსწონდა  
სპილოები, ერთია, რომ მათი ქართლში გა-  
მოყვანა გაჭირდებოდა. არადა, ათიოდე  
ასეთი ცხოველი რომ დააყენო ორთაჭალ-  
ის ბაღებსა და კუნძულებზე და წყლის ზიდ-  
ვა დაავალო, განა საქმე არ გაიოლდება,  
განა ახლებური გეგმებითა და ქალაქის ახ-  
ალ იერზე განყობით არ გამოუტენეს ყურე-  
ბი ამ ახალმა სწავლულებმა, მის კარზე  
რომ მოკრებილან.

ეს სწავლულები, მოგზაურები, ევროპ-  
ული ხმელეთიდან მოდიოდნენ. ეს გიულ-  
დენშტეტი, ეს ტოტლებენიო. უცხო ჯარი-  
სა და ომის მცოდნე ოფიცრებიც ჩნდებოდ-  
ნენ. ერთი ამისთანა იყო დე გრაი დე ფუა.  
იმას ახლებდა მეფე და სხვადასხვას აყო-  
ლიებდა, რა ხერხებით მისდევდნენ ევრო-  
პაში ომის ხელოვნებას, ფრიდრიხ პრუსი-  
ის მეფისა და სხვასაც არაერთს.

დე გრაი დე ფუა ტოტლებენის ჯარს ჩა-  
მოჰყოლოდა. იმ თავნება გენერალს, ზარბ-  
აზნიანად რომ მოაღწია. ტოტლებენი ამპა-  
რტავანიც იყო. მას, ერთ დროს ბერლინის  
დამპყრობსა და ამღებს, ამ აზიის კიდებზე  
ოსმალთა ჟღერდა და იმპერიის საზღვრე-  
ბის განმტკიცება დავალებოდა. ოღონდაც  
ის დიდხანს ვერ გაჩერებულიყო აქ და გაა-  
რიდეს აქაურობას.

დე გრაი დე ფუა კი დარჩა და მეფე ერე-  
კლესაც ეახლებოდა, თუმცა ის მაინც იყო  
რუსთა დედოფლის, მარიენბურგელი პრი-  
ნცესას მსახური და გაეგონა კიდევაც რუს-  
თა ტახტის სწრაფვა და მიზანი, ფეხი კონ-  
სტანტინოპოლში გაეღვა. ერთი ფეხი აზი-  
ურ ნაპირზე, მეორე ევროპულზე და დამდ-  
გარიყო როგორაც ახლად ნაკითხ, ნაფურ-  
ცლ ინგლისურ წიგნში იყო, იმის ნახატგ-  
ავიურაზე, როცა ერთი ვინმე, მოხვედრი-  
ლი ერთ მტკაველა კაცების სამყაროსა და  
კუნძულზე, ასე გამდგომი ფართოდ გამ-  
ლილი ფეხებით და იმის ლაჯებს ქვეშ გად-  
ის მთელი ჯარი და ამაღა იქაური სარდ-  
ლობისა. ასე სურდათ რუსებსაც, რომ ფეხ-  
ებს ქვეშ გამოქროლილიყო გემები მათი  
ადმირალებისა და ის მოსდებოდა მთელ  
ზღვას და კონსტანტინოპოლში შესვლა და  
იქ გვირგვინის დადგმა სჯეროდათ თავი-  
ანთ ბედისწერად.

### 2

დე გრაი დე ფუა გარეთ გავიდა და ქა-  
ლაქს გაუყვა. სასახლიდან სახლში მისას-  
ვლელად მას ბაზარი უნდა გაეარა. ასეთს  
ევროპაში ვერაფერს ნახავდი და, მართალ-  
ია, ევროპულ ვაჭრებს აქაც მოედნათ, მა-  
გრამ იმათი ერთი მისხალი იკარგებოდა  
მთელი სამყაროს მრავალფეროვნებაში.  
მალმალ ხურჯინი ორთავე ხმელეთის გა-  
მძს გამოაჩენდა. ის ხედავდა ვენეციელთა  
ბარგები გლობუსს, ასტროლაბიას, ყუთში

მოთავსებულს. ხედავდა ინდოელებს შუბ-  
ლზე წერტილით და მათი ტვირთიდან ნა-  
ირგვარი სურნელი ამოდიოდა, სპილოს ძე-  
ლები, ნამდვილი სიკჰური ყამები. უფრო  
ღრმად ჩამალული თლილი ქვეები და იაგუ-  
ნდები.

ბაზარი არ იყო არც დამასკოსი და არც  
ბალდადისა თუ თავრიზის, საცა ერთგან  
მარმარილოს შიდა ეზოებს ავესო მოედანი  
და სხვაგან თალიან დარბაზებს დაემალა  
ათასი განძი. აქ იყო ხლართი და რიგი ათა-  
სი ქურისა და გასავალისა, სავესო სახელოს-  
ნოთი და დგამით. დახლიდარი რანაირიც  
ვინდა, სპარსი და ავარი, სუნი და შიიტი,  
მშვიდი, გულცივი, ფერმკრთალი და ჯან-  
სა და ღონეზე მოსული, სომეხი და ქურთი,  
კარგი და ავი, ხმა და ოდენობა ენებისა ძნე-  
ლად მოსათვლელი და ფერადება იარაღ-  
ისა და დიბა-ქსოვილისა დაუთვლელი. ამ-  
ათ შუა მოსძებნიდი ერთი გირვანქა ბრო-  
ნეულის ცაში ამგდებდა და დამჭერს, და  
ცეცხლის ალის გადაწყლასა. ოქრომჭედ-  
ლებს ბლომად. წვერზე ხელის ჩამოსმითა  
და ენის გამოყოფით ორი პინით მისხალ  
და გირვანქა ოქროს ამწონებს, სამაჯურის  
გამსინჯავებს და ხანდახან შიგ ყალბი ქვის  
დამმალავებს. იარაღის სამყარო კიდევ  
ცალკე იყო, ცალკე ქუჩად და არე-მარედ.  
იყო ხმლის ფოლადზე ოქროს და ვერცხლ-  
ის ასოთა განყოფილება, დაღესტნურ წესზე. კუ-  
ბაჩური ხანჯლები, ხორასნული ხმლები,  
დამბაჩა და თოფი.

და ქსოვილი ათას ერთი და ხალიჩები  
რემპტიდან და ნუხიდან. აბრეშუმი დამას-  
კოდან, ტახტის ბალიშები, მანდილი და ქა-  
ლაღია, მაგრამ ეს სულ აზია იყო, ხოლო  
ის, რომ ბაზარი ქართლის შუა გულში იყო,  
ამას მიხვდებოდი ღვინის სასმისების მოუ-  
თვლელივით.

სასმისი იყო ათასი ყაიდის — აზარფეშა  
და თუნგი, კულა და თასი, რქა მალაღი და  
მოკლე, ვერცხლით და ოქროთი, ძეწკვითა  
და თეთრი ფულით. ღვინო ამ ქვეყანაში  
ისმყოფა ბლომად, მოდიოდა ბლომად და  
წყლის მაგიერ კირში გარევით ეს ციხე-  
სიმაგრეც აეგოთ, ბაზარს ჩრდილად რომ  
დაჰყურებდა და ნარინ-ყალა ერქვა.

### 3

იყო დრო, ის სასახლის ალაყაფის კარი-  
დან გადიოდა სერთუქსა და ყელზე მოჭ-  
ერილი ბაფთით და პრუსიული ჩექმით. ხმე-  
ლი კაცი ფეხს ოდნავ ათრევდა. თვალები  
ჰქონდა სწრაფი. ეს იყო იაკობ რაინგსი.  
გადამტული კაცი. იმის უბის წიგნი სავსე  
იყო აღმოსავლეთით, ფანქრით მონახაზი-  
თა და შიგ ჩახატული არაბული ასოებით.  
ის იყო მეფესთან მოსაუბრე, კავკასიაში  
მოარული, მოხეტიალე. ის დაიბადა კონ-  
იგსბერგში, შემდგომ რუსთა მეფის კარზე  
გაემგზავრა, საიდანაც კავკასიას მოაღწია  
და ერეკლე მეფეს არაერთ საქმეში გაერია.

რაინგსი ოთხჯერ ეარა კავკასიის მთებ-  
ში და მთელი აქაური მიდამოები მოველო  
და იოლად რომ შეეღწია იქაურ საიდუმლ-  
ოთა ქვეშ, ამისათვის რწმენა გამოეცვალა.  
თუმცა ეს რწმენაც მისი სამოსივით იყო,  
ოდენ იერის შესაცვლელად. მისი რწმენა  
იყო ახლის შემეცნება, ახლის გაგება და  
სახელის დაგდება, ქმედება, მოფიქრება.

ის ტყვედ აიყვანეს არნივის ბუდის აულ-  
იდან მომავალი.

იმას დაეწყო მოთვლა დაღესტნური ენ-  
ებისა, ეს ავარიული, ტაბასარანული, ბა-  
ჩური, თალიშური, ოდენობა მათი არ მოი-  
თვლება. ყოველი ხეობა სრულიად გამორ-  
ჩეული და განსხვავებული ენით საუბრობს.  
რაინგსს ბლომად ეძებნა წიგნები აქა-  
ურ ხეობებსა და მთებზე. ისიც ახსოვდა,  
დიდ ალექსანდრეს კედლის მიღმა იყო ია-  
გუნდების ხეობა, შიგ სინდბად ზღვათმო-  
არული რომ მოხვედრილა.

მაგრამ სინდბად მოარულიც არ გაო-  
ცებულა ასევეთარად, როცა ამ ქვის ფი-  
ლებით ნაგებ სახლში და უხემ სახეთა გა-  
რემოცავში, მას უეცრივ ასე ნაცნობი და  
თავბრუს დამხვევი რამ ჩაესმა.

— ვერ ისთ იეცთ დერ პაპსტ იმ რომ?  
ტყვე შეცბა, ასევეთარი გამართულობ-  
ით და ოდენ ერთი შეცდომით არტიკლის  
ხმარებისას. ამის წარმოთქმელი ფეხმო-  
რთხმით მოთავსებული შეიხ მანსური იყო.  
რაინგსმა იმის მიუხრიდებლად გადახედა.  
იმათ სახეზე არაფერი გამოცვლილიყო.  
აბა, რას გაიგებენ უნიგნური მთიელები  
უცხო ენათა კანკლედოებებს. მათვის ყვე-  
ლა უცხო ენა ერთნაირად უცხოა.





ნინო მშვიდლობაძე

და ამ ღრეკადი ხეებისათვის

თუნდაც ეს ხეები დაიფარე,  
ლმერთო,  
ეს დღეები დაიფარე,  
ჩემგან გაფრენილი დღეებია  
და ეს ხეებია,  
მე რომ შემეფარეს,  
მე რომ შემეფარეს,  
მე რომ არასოდეს შემაქცევინ  
ზურგს.  
ქარებმა სუსტი ნეკერჩხლები ისე მოხარეს,  
რამ ან ვინ უნდა გაასწოროს...  
ვლექავ სამყურას ლორთქო ფოთოლს,  
მწკლარტე გემო აქვს,  
ვლექავ და თვალებს მიწამდე ვხრი,  
რომ სამყურებმა არასოდეს ჩამხედონ თვალში,  
მრცხვენია, რადგან  
მწყურის  
და წყალი აღარაა,  
და წყარო აღარაა,  
აღარც რუები და აღარც ნაკადული.  
დამსკდარ მიწიდან ტკივილები ამომეზარდა:  
ბუერად, ხავსად, გვიმრებად  
თითქოს —  
და ეს სპორებია ჩემი სისხლძარღვები.  
თუნდაც ეს ხეები დაიფარე,  
ანდაც ეს დღეები დაიფარე,  
აი, ეს ხეები დაიფარე,  
მე რომ შემეფარეს,  
ლმერთო,  
მე რომ არასოდეს შემაქცევინ ზურგს!!!  
ვმაღე და ვერ დავმაღე:  
ტკივილები.  
ვკეცე და ვერ დავკეცე დარდის გუდა.  
ვთვალე და ვერ დავთვალე ჩემი ცრემლი...  
ან როგორ უნდა:  
დამემალა,  
ან როგორ უნდა:  
დამეკეცა,  
ან როგორ უნდა:  
დამეთვალა,  
სევდა — ჩარჩოში ვერჩაბტული  
და ეს ხეები დაიფარე,  
მხოლოდ ხეები დაიფარე,  
თუნდაც ხეები დაიფარე,  
ლმერთო,  
რომ მერე შევძლო და ვთქვა:  
მე ხე ვარ,  
მე არავის ვაქცევ ზურგს!!!  
ხეები დაიფარე, ლმერთო!!!

ლუკა

გამოაფურთხე,  
გამოაფურთხე ეგ შენი  
ყელში მოწოლილი მარტოობა.

ამ ცხოვრებას სხვისი დაღეჭილი ლუკმის გემო აქვს,  
ბავშვობიდან რომ გაზიდებდა —  
ნარმოდგენაზეც.  
დამალე შენი ძუძუები...  
დამალე შენი ძუძუები —  
მზეუნახავი, ავი სითეთრე რომ დასდებია,  
რძე არასოდეს ჩაგიდგება ძუძუში რაკი,  
მზემ  
აღარ უნდა შეხედოს...  
დამალე თვალები,  
არადა ხედები, რომ  
ყველაზე მოლაღატე, თვალები კი არა,  
თითები ყოფილან —  
ეგ შენი სუსტი,  
კალმის წერისგან დაბრეცილი,  
თხელფრჩხილებიანი თითები...  
ამ ცხოვრებას სხვისი დაღეჭილი ლუკმის გემო აქვს...  
და როგორ გადაყლაპავ,  
გაზიდებს უკვე...  
ჰოდა, მიდი, გამოაფურთხე  
ყელში მოწოლილი სიმარტოვე,  
რომ შვება იგრძნო.  
და იარე ასე:  
დუჟმორეულს,  
ავად თეთრძუძუებიანო,  
თმაშეკვეცილო,  
მოლაღატე თითებით წერე,  
რომ  
ოდესღაც გიყვარდა,  
რომ  
ოდესღაც გეფერებოდნენ,  
რომ  
ოდესღაც შენს იმედგაცრუებულ თითებსაც  
შეეძლოთ ალერსი...

იარე ახლა...  
შუბლზე ჩამოყრილი „ჩოლკებიდან“  
შემპარავად გახედე მზეს და  
ზედ ტუჩებთან მოიკვიტე  
ყელს მომსკდარი ტკივილები...  
მარტია გარეთ!!!

ნარილი მამას დღემინიდან

მამა,  
შენ რომ ხარ,  
იქ ამბავი უცებ რომ მოდის,  
მჯერა,  
ჰოდა,  
გაგვეზარდნენ ჩვენი ეზოს საკუთარი მოლაღურები.  
არც ისე ცუდია სიცოცხლე,  
თუ გიყვარს,  
და, მამა, ყოველთვის კი ვგრძნობდი,  
მაგრამ ახლა უფრო დავრწმუნდი,  
რომ ცხოვრების ყველა ეკალს,  
ბარდს თუ ძეძვიანს  
სიყვარული ამარცხებს მხოლოდ  
და სრულ სიმართლეს ამბობდა  
ყველა დროის მწუხარე სახის რაინდი,  
მდინარიდან მშრალი იმიტომ გამოვიდა,  
მთელი გზა დულსინებაზე რომ ფიქრობდა...  
მამა,  
რთული საკუთარი სიბერის შეგრძნება კი არა,  
ის ყოფილა,  
როცა საჭიროებას ვერ უძებნი შენ არსებობას.  
ხანდახან მგონია, რომ მანდ იოლია...  
თქვენ გამიიოლებთ...  
მამა,  
მე მინდა, ნამალი ვიყო:  
დედისთვის — რომ აღარ ტკიოდეს...  
ძმისთვის — რომ აღარ აწუხებდეს...  
რძლისთვის — მშვიდად რომ იყოს...  
მეგობრებისთვის...  
ჩემი სამშობლოსთვისაც...  
გეტყვი, რომ დედისთვის  
და სამშობლოსთვის უფრო მეტად...  
შენ იცი...  
შენ იცი იცი,  
რომ დაგვეზარდნენ ჩვენი ეზოს  
საკუთარი მოლაღურები,  
რომ დიდებთან ჩვენეული ცის საკუთარი მზეები...  
და იცი, რომ  
დავიღალე...  
შენ იცი, მამა,  
რომ ხანდახან ბელურებიც იღლებიან...  
და საკუთარ სიბერეს რომ ვერ ვეგუები,  
მარადიული ახალგაზრდობა გამოვიგონე...  
მამა,  
დამილოცე, ვისთვისაც ნამალი მინდა, ვიყო...  
ყველაზე დიდ დედას შეავედრე და  
დამილოცე...  
სხვა არც არაფერი მინდა...  
ბელურები რომ იღლებიან,  
ჩამოსხდებიან სახლის ერდოებზე და ლოცვას იწყებენ...  
მამა,  
შენ ხომ გესმის ბელურას ლოცვა...  
შენამდე სიტყვები იოლად მოდიან,  
ვიცი...

ფინჯან ყავასთან

მოდო,  
გიაბობ შვილებზე,  
რომლებიც ვერ გაგაჩინე,  
ჩემი საშოდან სამჯერ გამოაძევეს  
და სანაგვეზე გადაადგეს.  
არ აიფარო ყურებზე ხელი,  
მისმინე,  
რომ მიცნო.  
გიაბობ კაცზე,  
რომლის გვერდითაც დაგებრდებოდი,  
ერთ დღით,  
მისი უსულო სხეული თოკზე რომ არ მეპოვა...  
არ დახუჭო თვალები,  
მიგრძენი...  
არა, ასეთ დროს სისულელეა ყავის დაღევა...  
წესით, ასეთ დროს არაფი უნდა გადავხუხოთ,  
აი, ასე:  
კაცურად, რიხიანად:  
უნდა გადავხუხოთ,  
რომ მოსმენა და მოყოლა გაგვიოლდეს ორივეს.  
არადა, თითქოს რას გერჩი...  
მაგრამ ხომ უნდა გიაბო ერთხელ,  
თუ როგორ მსურდა,  
ყველაფერი ყოფილიყო ავი სიზმარი,  
როგორ ვეფერებოდი სამჯერ ჩასახულს  
და მერე სამჯერ დავიტირე შვილი...  
ერთხელ ხომ უნდა გითხრა,  
რომ მიხვდე:  
რა ძვირია სიცოცხლე...  
იმ დედაკაცს ვგავარ,  
ძროხის ჯიქანს ღონივრად რომ ჩამონველის,  
ქაფქაფა რძისთვის —  
მე საკუთარი ტკივილებით ვავსებ სათლს...  
ცხოვრება ერთს გამომხედავს ფაქიზოს თვალებით  
და ეგაა.

სათლი კი,  
იცოცხლე,  
ივსება...  
მოდო,  
მოგიყვები შვილებზე,  
სამჯერ რომ უნდა მყოლოდა...  
იმ კაცზეც მოგიყვები,  
თოკი რომ არჩია ჩემ მკლავს...  
და გეტყვი,  
რომ ძვირია სიცოცხლე...  
არ აიფარო ყურებზე ხელი,  
არ დახუჭო თვალები,  
გამიგონე და დამინახე,  
რომ მიცნო...  
მოდო,  
მომეხმარე,  
მიმამარხვინე ტკივილები მასხოვრობის უსიერ ტყეში...  
და სანამ სათლი აივსება,  
მე,  
თოკზე რომ გამცვალა, იმ კაცის ქვრივი,  
ლექსებს ვიმშობიარებ...

მარტოქალების იავენა

შეყვარებული ქალებიც ხომ კვებიან ერთხელ...  
კვებიან უხმოდ, მდუმარებით, კვებიან ყურად...  
მაგრამ მანამდე:  
დასხდებიან ბუხართან — პლედით  
და წყნარ მუსიკას მოუსმენენ.  
თვალეში ცრემლით  
გაიხსენებენ:  
როგორ უყვარდათ,  
როგორ სურდათ,  
როგორ ელოდნენ...  
როგორ ძალიან მარტოები იყვნენ,  
სციოდათ...  
და შემცივნებულ, თხელ და ნატიფ,  
წვეტიან თითებს  
იღლებში როგორ ითბობდნენ...  
ყველა ტკივილის მიუხედავად,  
შევერცხლილ თმისა და თვალებთან ნაოჭებისა,  
მიუხედავად  
—  
ელოდებიან  
სხვა გაზაფხულს მათ ცხოვრებაში...  
თუმცა იციან, როგორ უხმოდ ჩამომარცვლა  
კრიალოსანი ბედისწერისა...  
სხდებიან ჩუმად...  
და ჩუმადვე ელოდებიან:  
მუხლებზე პლედით  
და თვალეში ჩამდგარი ცრემლით...  
ეს მოლოდინიც ისეთივე მძაფრი რამაა,  
როგორც ტკივილი,  
დედის მუცლიდან რომ გამოჰყვავთ,  
რომ არ ასვენებთ...  
სჯერათ, ცხოვრება ერთხელ მაინც გააპრილდება...  
რომ ისევ მოვლენ ეს თავკერძა იასამნები...  
რომ სიყვარული ისევ ისე შემოგლეჯს კარებს...  
რომ ეყვარებათ...  
ეყვარებიან...



სხედან კუთხეში —  
 შეყვარებული ქალები — სხედან...  
 და ამ თვალებს,  
 ხელებს,  
 ამ ცრემლებს,  
 ამ მუხლებს და  
 მკერდს და  
 თმებს და  
 ამ კუთხეში მიმსხდარ პლედთან ქალებს —  
 შეყვარებულ ქალებს ოდესღაც —  
 სიყვარული რომ ესიზმრებათ,  
 ალბათ, უყვართ იმაზე მეტად,  
 ვიდრე ჰგონიათ,  
 ან იციან, რადგან სიყვარულს  
 საზღვრებს ვერასოდეს დაუნესებენ...  
 სხედან ბუხართან შეყვარებული ქალები —  
 სხედან —  
 მუხლებზე პლედით  
 და თვალბში ჩამდგარი ცრემლით,  
 და იძინებენ,  
 მშვიდად ლამაზი სიყვარული რომ დაისიზმრონ:  
 „დაიძინე, სიყვარულო, იავნანინაო,  
 დაიძინე, მოუსვლელო, ვარდონანინაო,  
 მე შენ ყველგან გელოდები, ნანანანინაო,  
 და ლოდინში გიბერდები, ნანანანინაო“...  
 იძინებენ და  
 სიყვარული სიკვდილს იქით მიაქვთ თვალებით!!!

**მარტოობისა**

ნადი, კაცო,  
 გზა მონახე,  
 ჯიხვი მონახე,  
 ხე მონახე,  
 მე რას შემომეყურებ ნატვრისთვალივით,  
 ვერ ხედავ?  
 ჩამომენაცრენ თვალები.  
 ნადი და ტყე მონახე,  
 საქმე მონახე,  
 საფიქრალი მონახე,  
 მე რას მომჩერებინარ,  
 შემითხელდა თმა,  
 ჩიტის ნაფხურებივით დამეტყო ნაოჭები.  
 ნადი, კაცო, და  
 მე ჩემსას ვივლი,  
 ჩემ ქალაქს მოვლევ,  
 ჩემ ტყეში ნავალ,  
 ჩემი ხე ვიპოვო ეგება,  
 რომ მივიდე, მოვეხვიო,  
 მივიდე და ხელები შემოვხვიო,  
 მიცანი-მეთქი.  
 რა მინდოდა,  
 რას დავეძებდი საერთოდ?  
 სწორ გზაზე სიარულს  
 ნარ-ეკალი ვამჯობინე და  
 ყველა ეკალს შევარჩინე,  
 ხორცივით,  
 სული.  
 შენ, ნადი, კაცო,  
 შენი გზა ნახე,  
 მე ჩემსას ვივლი...  
 და როცა ატკივებულ ფეხებს საწოლთან მივათრევ,  
 არავინ უნდა დაინახოთ,  
 რომ  
 ვტირი...  
 ჩემ საწოლს დეკემბრისტიების ფერი აქვს...  
 (პ. ს. დეკემბრისტიები მარტოობის ყვავილებია)...

**ზურბი**

მე ზურგით ვდგები და შენ მზერას ზურგით ვირეკლავ...  
 მე ზურგით ვდგები...  
 გადავივინწყე სიყვარულზე საუბარიც კი...  
 სიტყვა „მიყვარხარ“ გადავმალე სულის კუნჭულში...  
 ან ვინლა არის,  
 სიყვარულზე ველაპარაკო...  
 ან შენ ვინლა ხარ?!  
 ჩემი ცრემლები შეინირე, მძიმე და ძნელი...  
 უხმო ძახილმა გაარღვია ყველა ტკივილი  
 და ამიტომაც  
 სიძლიერე გამოვიგონე...  
 გამოვიგონე სიხარულიც,  
 და კოკობზიკამ ათასფერი ჩავიცვი —  
 კაბა —  
 რომ მერე, თამაშ-თამაშ გამეხება  
 და შენთვის ზურგშექცეულს  
 სული გამეშიშვლებინა...  
 და დავივინწყე სიყვარულზე საუბარიც კი...  
 დავდექი ზურგით!!!

**მონადირა**

კაცს რა უნდა უთხრა,  
 ტყეში ნადირს დასდევს და  
 ცაში — ფრინველს.

ქალიც მოსანადირებელია მისთვის...  
 ბალახის სუნი მაქვს,  
 ახალმოთიბულის კი არა,  
 ლორთქო ბალახის.  
 ჩემი თვალები ტყეებია —  
 გაუვალი,  
 ჩემი მკლავები ხეებია —  
 ცად აზიდული,  
 ჩემი ძუძუები ნაკადულებია და არა ბორცვები,  
 ბორცვები ბანალური იქნებოდა.  
 დავდივარ კი არა,  
 ვფრენ-მეთქი,  
 ათასჯერ მითქვამს.  
 მე როგორ უნდა მომინადირო,  
 თავად მონადირეს ვგავარ:  
 ფართო ნესტოებით და  
 ტყეებადქცეული თვალებით.  
 დავდივარ კი არა,  
 მოვრაკრაკებ და სიტყვებს ვშობ:  
 ჩემი ნაბიჯებიდან რომ ჩნდებიან,  
 გუბებივით.  
 ჩაიხედე,  
 ჩაიხედე,  
 ეგებ საკუთარი თავი დაინახო.  
 კაცს რა უნდა უთხრა,  
 სულ გზამია,  
 სულ გარეთ.  
 ქალი შინ ზის და ნანნავს იშლის.  
 და ახალგაღვიძებულს,  
 გაღელვილი პენუარიდან რომ მკერდი მოუჩანს,  
 აი, იმ მკერდზე ჰკიდია სულაც  
 სამყაროს მთელი აურზაური,  
 ქალია,  
 ნანნავს იშლის...  
 მე ბალახის სუნი მაქვს,  
 ახალმოთიბულის არა,  
 ლორთქოს...  
 ლოცვა არ ვიცი,  
 კედლებს ვჭამ და ფრჩხილებსაც ვიკვნეტ,  
 ამბობენ, რკინა აკლიაო,  
 არადა, რკინის ნერვები მაქვს,  
 კედლებს ვჭამ და ფრჩხილებსაც ვიკვნეტ —  
 ნერვებს ვიმორჩილებ.  
 ტბებია ჩემი ნერვები,  
 მდორე, უძირო, სევდიანი.  
 სიტყვებს გუბებზე ვტოვებ,  
 რომ ჩაიხედო,  
 დამინახავ...  
 კაცს რა უნდა უთხრა,  
 მონადირეა...  
 მე მხოლოდ ერთხელ მომინადირეს,  
 ისიც — მინდოდა!!!

**მას შეგდებ**

**რაც ივდითმა მოკლა ოლოფრენი  
 და შინ დაბრუნდა**

წუხელ კარს გიმტვრევდა ლოთი ანანია  
 და რომ არ გაუღე,  
 მთელი ქუჩის გასაგონად აყვირდა:  
 ოლოფრენთან ხომ ინექიო.  
 მეზობლის ბავშვებმა ქვა გესროლეს...  
 გაოგნებულმა მოიხედე და კარგად გაიგონე,  
 როგორ გადაულაპარაკა ერთმა მეორეს:  
 ბებია ამბობს, ეს ქალი მტერთან იწვიაო.  
 ჭორიკანა დედაკაცებმა ენები აიქაფეს,  
 შენ კი...  
 თმა გაიშალე, ივდით...  
 გაიშალე ეგ შენი სპილენძისფერი დალალები,  
 შეხედვითაც კი ვნებას რომ აღუძრავს  
 შენი ქალაქის მამრებს,  
 გაიშალე თმა და ისე გამოიტირე შენი ქალობა...  
 შენი ძუძუები დაიტირე, ივდით,  
 აზღუდში რომ ვერ ეტყვიან...  
 იტირე, ივდით,  
 ბალიში თავჩარგულმა იტირე, რადგან  
 კაცის მკვლელებს გაგხადეს ნაცნობმა კაცებმა...  
 შენ კი...  
 ქმარმკვდარო,  
 არცკი დაფიქრდი,  
 არც შეყოყმანდი...  
 და რა მიიღე?  
 ბავშვებისაგან ნასროლი ქვა,  
 ლოთი ანანია —  
 ყოველ ღამე შენს კართან რომ უშნოდ აისვეტება — და  
 ჭორიკანა დედაკაცების მიერ გამოყოლილი  
 გესლი და შხამი...  
 გაიშალე დალალები, ივდით,  
 და მიატოვე ეს ქალაქი...  
 მიატოვე შენი ქმრის საფლავი,  
 შენიანების საფლავები,  
 მიატოვე, საფლავებიც, ივდით,  
 ისინი უსათუოდ გაპატიებენ ამ მიტოვებას...  
 თავს უშველე, მკვლელებსაც ქერივო...  
 შორს ამ ჭაობისფერი ქალაქიდან,  
 ამ წებოვანი ქალაქიდან,  
 ცოცხალი მკვდრების ქალაქიდან,

რომლის ყველაზე მაღალი ქონგურიდან  
 დღესაც შემოგყურებს  
 ოლოფრენის მოკვეთილი თავი...  
 გაიქეცი,  
 გაიქეცი, ივდით!!!

**ორსული**


**პოეტი ქალის დღიურებიდან**

საიდან უნდა ამომზრდოდა ამდენი დარდი...  
 რა ქალი მე ვარ,  
 შვილი კი არა,  
 ცრემლიანი ვშობე ლექსები —  
 ყველა ცხრა თვეში  
 ვშვი ტკივილებით,  
 ნყლებიც დავლვარე,  
 ზოგი ფიზიოლოგიურად ვშვი,  
 ზოგიც — საკეისრო კვეთით,  
 განსხვავება — არავითარი.  
 მაინც საიდან უნდა ამომზრდოდა ამდენი დარდი...  
 რა ქალი მე ვარ,  
 ლექსებს ვშობ და მემილიონედ ვფეხმძიმდები,  
 თან როგორ ურცხვად,  
 თავპატიჟის, გაკეკლუცების გარეშეც კი...  
 რა მორიდება...  
 მორიდება რა სათქმელია...  
 პარადოქსია:  
 მუცელი სულაც არ მებერება,  
 სამაგიეროდ:  
 დიდდება სული,  
 ვეება ხდება,  
 ველარ იტევს სრულქმნილ ემბრიონს,  
 სადაცაა რომ გამოხეთქავს ყველა კედელს  
 და დაძაბულობით დამსკდარ კანიდან გადმოიღვრება:  
 რითმად,  
 სტრიქონად,  
 მუსიკად,  
 ბგერად,  
 ვერლიბრებად და ვერბლანებად...  
 მე რა ქალი ვარ,  
 შვილების ნაცვლად ლექსებს ვშობ  
 და ყველა ცხრა თვეში  
 ისევ ისე ორსულადა ვარ,  
 ლექსით ორსულად.  
 ამაზე მძიმე რა უნდა იყოს —  
 სული რომ გექცეს საშვილოსნოდ  
 და სიტყვა შეილად...  
 თითებს გამოჰყვა, ჭიპლარივით,  
 ბგერები უცხო,  
 მე ლექსებს ვბადებ  
 შვილების ნაცვლად...

**სიტყვის ტყე**

რა უნდა მყოლოდა —  
 სარეცხივით მზეზე გაკიდული ფიქრები,  
 ღრუბელივით გამონურული ოცნებები და  
 საკუთარი თავიდან გასული საკუთარი თავი,  
 რომელიც კინალამ დავკარგე.  
 არაფერი ყოფილა  
 თავის დაკარგვაზე საშიშიც და შემზარავიც...  
 მზე კი არ ამოდის,  
 სხეულში მეღვრება —  
 ისე თხევადია და მე ვიცვლი ფერს,  
 ანუ ვხდები მზის ფერი.  
 საიდან მოდიან სიტყვები?  
 ალბათ, მათაც აქვთ სახლი,  
 საცხოვრისი,  
 მინა,  
 თავიანთი წილი ცაც...  
 აბა, ასე ხომ არ იტივტივებენ ჰაერში.  
 ცხოვრობენ და თუ არ გამოვიხმეთ,  
 ხანდახან მტვერი ედებათ,  
 მერე ობდებიან,  
 მერე მივივინწყებთ  
 და თავს რომ გვახსენებენ მივიწყებულები,  
 გვტყვივა...  
 მტვერდადებული სიტყვების ტყვე ვარ,  
 მივიწყებულ სიტყვათა ქურუმი.  
 რა უნდა მყოლოდა და  
 კობტად შეკაზმული სევდა და  
 მზეზე გასაშრობად გაფენილი ფიქრები...  
 რა ვშვი და დავბადე და:  
 სიტყვა,  
 მტვერი რომ წაეყარა,  
 ხავსი რომ მოედო,  
 დრომ რომ გააფერმკრთალა,  
 მე —  
 მზისფერს —  
 მზეჩალვრილს —  
 სიტყვა მექცა:  
 მხსნელად,  
 შვილად,  
 ქმრად,  
 თანამეცხედრედ...  
 თანა  
 მე-ცხედრ-ედ...  
 მაინც სად ცხოვრობენ სიტყვები???





ძიების იდეამდე დადის, ირმას პოეზიაც ამ მაძიებლური ეპოსის ნაწილად წარმოგვიდგება.


*ვეძებ ენას, რომელიც მწარეა და ბაგებზე აყვავებულ სიტყვებთან მეგობრობს.*

*რომელმაც მხოლოდ პირდაპირი გზები იცის, — გადახვევების გარეშე, ამიტომაც ხშირად ვეძებ ხოლმე.*

ირმა შიოლაშვილის პოეზია მეხსიერების ტურბულენტობის ანაბეჭდებია — ყველაფერი ხსოვნის დაძაბულ ფაზებადაა ქცეული — წარსულიც, აწმყოც და მომავალიც, შესაბამისად, საკუთარი თავის ძიება მის გახსენებასაც ნიშნავს. ცხოვრებამ საზღვრები დაუნესა პოეტს — გეოგრაფიული, ენობრივი, კულტურული და ასე შემდეგ. პოეზია სწორედ ამ საზღვრების დისკურსია („გასწი მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი...“ ნიკოლოზ ბარათაშვილი), მეხსიერების ფსკერიდან კი მათი გად-

„რაც დრო გადის — უფრო ხშირად ვხედავ ჩემს თავს ოთხმოცდაათიანი წლების თბილისში, ვაკეში. მეცხრე საავადმყოფოსთან გაჩერებაზე მდგომ ჩვიდმეტი წლის გოგოს, ახლადწამოსულს დედაქალაქში, დედაქალაქში, რომელიც იწვის, მას კი გულში მიზნები და იმედები მაინც უნთია.“

ომები, აპათია, სიდუხჭირე, ოკუპაცია — ჩვენი საიმიჯო სიტყვებია, რეალობაა, რომელიც თავდაყირა აყენებს ყველაფერს. საგულისხმოა, რომ ამ კრებულში, რომელშიც ირმა შიოლაშვილის ბოლოდროინდელი ლექსებმა მოიყარა თავი, ხშირად შეხვედებით სიტყვას „თავდაყირა“. როგორც ჩანს, პოეტის გაფაქიზებული აღქმაც ასეთია — იგრძნოს „თავდაყირა“ მდგომარეობა, ეს არაკონვენციური რაკურსი, საიდანაც ყველაფერი კიდევ უფრო მძაფრად, უცნაურად (ვინ იცის, იქნებ უფრო ზუსტადაც?) მოჩანს. ამ „თავდაყირაში“ ქვიშის საათის მეტაფორაც მკაფიოვდება — პოეტი-ქვიშის საათის, საკუთარ თავში უდაბნოს ხმათა გამტარის და უდაბნოს სიჩუმე-სიცარიელის დამტვევლის...



„მწარალს საკუთარი ისტორიის გარდა თუ სხვა არაფერი აქვს, ძალიან გაუჭირდება“ — ერთგან სასხვათაშორისოდ აღნიშნავს ნინო სადღობელაშვილის რომანის — „დაბადების დღე“ — ერთ-ერთი მეორეხარისხოვანი პერსონაჟი. მოცულობით არც ისე ვრცელი ტექსტის ყოველი ეპიზოდი, მკითხველის თვალწინ გაცოცხლებული ყოველი სცენა თუ დეტალი კი, თითქოს ამ ერთი შეხედვით ტრივიალური, მაგრამ უპირობოდ ყურადღაღები ჭეშმარიტების გამყარებას ცდილობს; ტექსტთან ერთ-ერთობის პირველივე წამიდან შეუძლებელია, სასიამოვნოდ გაკვირვებულნი არ დაგვტოვოს ავტორის გასაოცარმა უნარმა და მოხერხებულობამ სულ რაღაც 165 გვერდში ჩატიოს ამდენი, ერთმანეთისგან განსხვავებული, ციცხალი და მეტყველი სახე, ხასიათი, ტედისწერა, შეგრძნება, ხედვის რაკურსი, სამყაროს აღქმისა და აზროვნების განსხვავებული მოდელები.

ნინო სადღობელაშვილი

ოქტომბრის რაფსოდია

„ეს დღე არაფრისთვის არ მეყო“... ირმა შიოლაშვილი

ციფრულ დროში პოეზია უდაბნოში მლაღადებელ ხმად იქცა. გულის განვრთნაა საჭირო, რომ მისი ძახილი სამყაროს ხმაურისგან გამოარჩიო, მის სიჩუმეში კი ის ჩქამი იცნო, სიკვდილსა და სიცოცხლეს რომ მიჯნავს ერთმანეთისგან. ამიტომ, ყოველთვის, მაგრამ დღეს მით უმეტეს — დიდი ჯაფა ადგათ პოეტებს, ძნელი გზის მგზავრები არიან, ჩქამისა და ძახილის საგზალი ვირტუალურ ქიმერათა ჯუნგლებში უნდა გამოატარონ.

ალახვის პატერნები ამოიზრდებიან მაშინ, როცა „სარეცხის თოკზე ფრიალებენ ამბები წარსულიდან, კაბებს აკრულები უფერო მაქმანებად.“

ირმა შიოლაშვილის პოეზიაში მკაფიოდ იგრძნობა ფემინური ხიბლი — სისუსტის ძალად ქცევის საიდუმლო, გნებავთ, ჯადოქრობა, რომელიც ასე შესაშურად ეხერხებათ პოეტ ქალებს (ამ შემთხვევაში, ერთადერთხელ გავუსვამ ხაზს სქესს). ირმას ლექსებში ქალის გამჭვირვალე და ღონიერი სულიერი სამყარო იხატება, იდუმალეობით სავსე, კოსმიური ატმოსფერო, ერთი შეხედვით, ბანალური ყოფის ფაზლით დანაწევრებული; სამყარო, რომელსაც ბევრი მტერი ჰყავს, თუმცა თავადვე ფლობს წინააღმდეგობათა დაძლევის ენერგიას, უფრო მეტიც — გამარჯვების ენერგიასაც.

მაგრამ პოეზიადქვეულ ამ ტკივილებს/ტრავმებს მუდმივად ახლავს სინათლის ჭავლი, ერთი უწყვეტი ნაკადი შუქისა და ნუგეშის — ეს სიყვარულია. ირმა შიოლაშვილი სიყვარულის შესაძლებლობათა და შეუძლებლობათა კონტექსტებს წარმოაჩენს, მისი ხმაც სიყვარულის სიხშირეზეა მორთული, ესაა მისთვის უმთავრესი საიდუმლო, საიდანაც უყურებს და აღიქვამს დანარჩენ სამყაროს.

„მზად ვარ ყოველდღე გადაგისხა ძარღვებში ჩემი ცვრიანი სიყვარული, ჩემი მთებში დაბადებული სიყვარული, ჩემი მდინარედექეული სიყვარული და კანონები გადაგავინყო.“

ამ სიყვარულს სეზონური გრადაციები ახლავს. პოეტმა მათი საიდუმლო უნდა შეიტყოს, მათზე მოვედოს, როგორც ყველაზე ცხად სინამდვილეზე. ირმა შიოლაშვილის პოეზიაში ამგვარი გრადაციები (ბევრები და ფერები) მხატვრულ სინამდვილეში ტელეპორტაციის შესაძლებლობას იძლევა. მისი ლექსები მუდმივად დაყურსულია რაღაც უცხო, უზიანის, აქამდე ხელუხლებლის ან მიუწვდომლის შესაცნობად. ამ ლექსებში მოლოდინია — მოლოდინი, იმისა, თუ

რა აძლევთ ძალას პოეტებს? რის ფასად უწევთ არსებობა და გზის განგრძობა? რაღაცით აღმსარებლობასაც გავს მათი სამომო. გავს სიკვდილთან სიკვდილით დამორგუნველი ღმერთის შინაარსს, მათაც თავიანთი რელიგია აქვთ — ტკივილებით ტკივილს თრგუნავენ.

„და არ ვამხელდი, რომ ფეხები მიკანკალებდა ცხოვრების ღია, დაუნდობელ გაკვეთილებზე.“

ეს შიში შემოქმედებითი პროცესით იძლევა, ყოფიერების გამონევეებზე პასუხი კი ასეთია:

„როგორ გადაკვეთავს ერთმანეთს ჩემი და შენი რეალობა, როგორ შეენყოფა ერთმანეთს ჩემი და შენი ოქტომბერი.“

„ოქტომბერი“ ირმა შიოლაშვილის შემოქმედებაში საეტაპო კრებულია, რომელმაც თავი მოუყარა მის ფილოსოფიურ-კულტურულ კონცეფციებს და მხატვრულ იდეებს; ამ პოეზიის გამომხივებას დაუეჭვებლად იგრძნობს მკითხველი, რაც უნდა უდაბნოს გამყარებული სიჩუმე იდგეს, ან ვირტუალური ხმაური ახშობდეს შეგრძნებებს.

ეს გზები უკვე ხელისგულზეა, სამყაროს ონლაინ-ეკრანთან დაყურსულ თვალს ველარაფერს გამოაპარებ — პოეტების გამჭვირვალე ლაბირინთებს მიუყვება მკითხველის კურსორი და ყველა მოსახვევს იმახსოვრებს. ამ ანტიკოსმიურ სურათში, პლანეტის პანოზე, ამოშუქდებიან ხოლმე სიტყვები, რომელთა ჩრდილებითაც შეგიძლია, ახალი ენა ააწყო, ახალი სივრცეები გამოალო სიცოცხლის ჩასასუნთქად.

„როცა ფრთას ფურცელზე ვუსვამ, ირიბად ვურტყამ ცხოვრებას, რომელმაც ტყვია მესროლა.“

ამ ტყვიებს ირმა შიოლაშვილის ბევრ ლექსში წააწყდებით. უფრო სწორად, ნატყვიარებს, ჭრილობებს, რომლებიც, ალბათ, სწორედ დაძაბული მეხსიერების და მგრძობელობის მალალი ხარისხის გამო, დღემდე სისხლმდინარეა. ყოველ შემთხვევაში, ისინი პოეტისთვის დღემდე რჩებიან მთავარ ინსპირაციად, ტკივილის ერთგვარ „გამლიზიანებლად“. ეს ჩვენი საერთო სხეულის ჭრილობებია — ჩვენი უახლესი წარსულის ტრავმები, რომლებმაც გვაქცია იმად, როგორებიც დღეს ვართ.

„როგორ გადაკვეთავს ერთმანეთს ჩემი და შენი რეალობა, როგორ შეენყოფა ერთმანეთს ჩემი და შენი ოქტომბერი.“


„ოქტომბერი“ ირმა შიოლაშვილის შემოქმედებაში საეტაპო კრებულია, რომელმაც თავი მოუყარა მის ფილოსოფიურ-კულტურულ კონცეფციებს და მხატვრულ იდეებს; ამ პოეზიის გამომხივებას დაუეჭვებლად იგრძნობს მკითხველი, რაც უნდა უდაბნოს გამყარებული სიჩუმე იდგეს, ან ვირტუალური ხმაური ახშობდეს შეგრძნებებს.

ირმა შიოლაშვილი გერმანიაში მცხოვრები ქართველი პოეტი, მასაც, როგორც უმარავ ემიგრანტს, სამშობლოსთან უმეტესწილად ვირტუალური ურთიერთობა აქვს, თუმცა იმეათად მინახავს ადამიანი, ვინც ისე ახლოს იყოს ჩვენს სულიერ-კულტურულ იდენტობასთან, როგორც ეს პოეტი. გერმანიაში მრავალწლიანი ცხოვრების მიუხედავად, ირმას სააზროვნო არეალი მაინც ქართული ენაა (რაც მისი, როგორც ავტორის, ცნობადობისთვის ერთგვარი დისკომფორტიცაა გერმანულენოვან სივრცეში; გაცილებით გაუადვილებოდა თვითდაპკვიდრება, თუკი შემოქმედებისთვის ენად გერმანულს აირჩევდა). მშობლიური კულტურულ-მენტალური იდენტობის ერთგულება მისი ბუნებრივი მდგომარეობაცაა და სამოქალაქო პოზიციაც — ის სამყაროსთან ურთიერთობისთვის ქართულ ენას ირჩევს, მისი კოსმოპოლიტიზმი კი ეროვნულობის ანბანით იწყება. სამშობლო უგულვებელყოფილი კი არაა მისთვის (ან მეტიც — შეჩვენებული), არამედ ლიბოა, ქვაკუთხედაა, რომელზეც მრავალი ლოდი უნდა დაეხალოს, რათა თავიკიდდე იქცეს. სამშობლო მისთვის ხედვის და აზროვნების თავწყაროა, შესაბამისად — ტკივილისაც და სიხარულისაც... და კიდევ — სამშობლო არც ჭეშმარიტებაზე მეტია, არც ნაკლები — ირმა შიოლაშვილის პოეზიაში ის ჭეშმარიტების სინონიმია, რომელსაც მუდმივი ძიება და აღმოჩენა სჭირდება, რომელიც ყველაზე მყარი და ნამდვილია.

„როცა ფრთას ფურცელზე ვუსვამ, ირიბად ვურტყამ ცხოვრებას, რომელმაც ტყვია მესროლა.“

ამ ტყვიებს ირმა შიოლაშვილის ბევრ ლექსში წააწყდებით. უფრო სწორად, ნატყვიარებს, ჭრილობებს, რომლებიც, ალბათ, სწორედ დაძაბული მეხსიერების და მგრძობელობის მალალი ხარისხის გამო, დღემდე სისხლმდინარეა. ყოველ შემთხვევაში, ისინი პოეტისთვის დღემდე რჩებიან მთავარ ინსპირაციად, ტკივილის ერთგვარ „გამლიზიანებლად“. ეს ჩვენი საერთო სხეულის ჭრილობებია — ჩვენი უახლესი წარსულის ტრავმები, რომლებმაც გვაქცია იმად, როგორებიც დღეს ვართ.

ოქტომბრის რაფსოდია ჩართულია — მისი მოხმენა ტკივილის ვირუსს ამარცხებს.



რომანს ორი, ფაქტობრივად, თანაბარწონიანი პროტაგონისტი ჰყავს — ტყუპი ძმები — სანჩო და ალე, ანუ ალე და სანჩო, რომლებიც, ამავდროულად, მთავარ მთხრობელებადაც გვევლინებიან. ნაწარმოების ერთ-ერთი მეორეხარისხოვანი პერსონაჟი, მოხუცთა თავშესაფრის დამფუძნებელი თუ დირექტორი, აკაკი წერეთელი ფიქრობს, რომ ძმებს შორის ლიდერი ალეა — ამას როგორც კი შემოგხედო, ეგრევე მივხვდით, ეუბნება მას, მე კი, რატომღაც, მგონია, რომ ნინო სადღობელაშვილმა ეგრეთ წოდებულ ლიდერად სანჩო ჩაიფიქრა, შესაბამისად, ლიდერის თვისებებითაც ის უფრო მეტად დააჯილდოვა და, მიუხედავად იმისა, რომ რეალობიდან დიდი გაქცევის იდეა ალეს ეკუთვნის, სანჩო მასთან შედარებით გაცილებით უფრო ქარიზმატულია, ინტროვერტი, მაგრამ ბევრად ძლიერი მამაკაცური ენერჯის მატარებელი. თუმცა, რომელია ძმებს შორის ლიდერი, მაინც მეორეხარისხოვანია, რადგან რომანში ტყუპები შეიძლება, მოვიხილოთ როგორც სამყაროს ორი პოლუსი, გნებავთ, სანჩოსი, ან სულაც მედლის ორი მხარე, ერთი მთლიანის ორი განუყოფელი ნაწილი — საკუთარ თავში ერთმანეთსაც რომ გულისხმობენ.

ტექსტში ორი ძმის კონცეპტის პარალელურად არაერთი მრავალწონიანი, მრავალსახოვანი სიმბოლო და სახე-ხატი იკვეთება, მაგალითად, სათამაშო ვირი. როგორც ვიცით, გახრწნილი ვირი საღვადორ დალის ერთ-ერთი საყვარელი სიმბოლო იყო. მხატვარმა, რომელიც სიურრეალისმის ერთ-ერთ ფუძემდებლად მიიჩნევა, ეს სიმბოლო ასევე სიურრეალისტ კინორეჟისორ ლუის ბუნუელთან ერთად 1929 წელს გადაღებულ ფილმ „ანდალუზიურ ძაღლშიც“ გამოიყენა. თუკი საღვადორ დალისთან გახრწნილი ვირი შეიძლება, აღვიქვათ როგორც ერთგვარი სახე ადამიან-



ნის გახრწნილი სულისა, ასევე, დესტრუქციული სექსუალური ენერჯისა და პერვერსიული აზროვნებისა, სანჩოს მიერ გზაში ნაპოვნი გადაგდებული რბილი სათამაშო ვირი, ალბათ, ბიჭების ჯერ კიდევ ბავშვური, შეურყენელი სულისა და სხეულის ერთგვარი გამოხატულებაა.

ტექსტში კიდევ ერთი საინტერესო სიმბოლო გვხვდება — ზღვა, რომელთან შესახვედრად საკუთარი სივრცედან აფრენილი და გაურკვეველი მიმართულებით გაფრენილი ტყუპები დაუოკებლად მიილტვიან. მკითხველმა კი მათი ასეთი სწრაფვა შეუცნობელისკენ შეიძლება გაიაზროს, როგორც მოზარდების ცხოვრებასთან შეხვედრის პირველი მცდელობა, სიცოცხლის შეცნობის პირველი ნაბიჯები, ცხოვრება კი, სამწუხაროდ, სულაც არ არის ისეთი ლამაზი, თბილი და სტუმართმოყვარე, როგორც ერთი შეხედვით ჩანს.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ტექსტის ენა, რომელიც ერთი მხრივ გამოძიების, არას-

თა და ძლიერი სიყვარული მხოლოდ ბავშვობაში შეგვიძლია, უკვე დიდებს ამის უნარი სამუდამოდ გვაქვს დაკარგული.

ავტორი იმდენად ზუსტად, ექსპრესიულად, სუფთად აღწერს პირველი სიყვარულით გამოწვეულ შეგრძნებას და მისი განცდები იმდენად გადამდებია, რომ შეუძლებელია, ამ ყველაფერს მოზრდილი ადამიანის გახრწნილმა, დაბინძურებულმა, დანგრეულმა სულმა და სხეულმა გაუძლოს. ვიჯექი და ვტიროდი — სხვა ვერაფერი შევძელი. ალბათ ყველას გვენატრება ისეთი საკუთარი თავი, როცა ჯერ კიდევ გვგონია, რომ კარგებს არ ტოვებენ, როცა გვჯერა, რომ სიყვარული ყველაფერზე მთავარია. ემოციური თვალსაზრისით ზუსტად ასეთივე ძლიერია ეპიზოდი, სადაც სანჩოს პირველი სექსუალური გამოცდილება აღწერილი. ერთი შეხედვით, ძალიან ინტიმური, უხერხული სცენა იმდენად ფაქიზად აცოცხლებს მოზარდის განცდებს, რომ უხერხულობის შეგრძნება მთლიანად

**სოფო ნულაია**

**ამბავი საკუთარი სივრცედან აფრენილი და გაურკვეველი მიმართულებით გაფრენილი ტყუპი ძმების შესახებ**

ამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიასაშუალებების მიერ დამკვიდრებულ მკვდარ ელემენტებს, მეორე მხრივ კი მოზარდების სლენგისა და პოეზიის ერთგვარ კონგლომერატს ნარმოადგენს. ზოგადად, ტექსტში ენას ვანაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ავტორი თითქოს პირველივე გვერდებიდან ცდილობს რომანის სამოქმედო სივრცედან პოეზია განდევნოს, რეალობის სისასტიკე და ტრაგიზმი უფრო ნათლად რომ შევიგრძნოთ:

„სანჩო ლექსებს აღარ წერს“ — გვიყვება ალე, მაგრამ პოეზია სწორედ მაშინ აღდგება ხოლმე მკვდრებით, როცა საქმე ყველაზე სასტიკი, დესტრუქციული, ემოციურად გამანადგურებელი, მკვლელი ეპიზოდების აღწერას ეხება.

პირადად მე ტექსტის ნაკითხვის დროს ისეთი შეგრძნება მაქონდა, თითქოს ამ ფურცლებიდან წვეთება და სულელები მეღვრებოდა დიდი პოეზია, მაგალითად, ასეთი: „ერთხელ, ლილიკოს მისცეს დავალება — ვარსკვლავებით მოჭედილი ზეცა დახატეთო. ლილიკომ დახატა დიდი ლურჯი ცა და ზედ ბევრი, ბევრი მანანა და ძალი, რომლებიც ვარსკვლავებს ლოკავდნენ“ და ეს ეპიზოდი კიდევ უფრო ტრაგიკული ხდება მაშინ, როცა ვიგებთ, რომ ლილიკო მოკვდა.

თავიდან ბოლომდე პოეზია რომანის ფინალი, სადაც ჯერ სანჩო, შემდეგ ალე, მერე ისევ სანჩო და ისევ ალე გვიყვებიან ზღვასთან პირველი შეხვედრის ამბავს: როგორ შეხვდა მათ თავად ზღვა, ნაიყვანა თუ აღარ ნაიყვანა და დაუტოვა ოჯახს, საერთო შეყვარებულს, მეგობრებს, ახლობლებს, საზოგადოებას, რომელმაც მათ უკვე განაჩენი გამოუტანა („საქმე გადაკვალიფიცირდა 115-ე მუსლი, რომელიც გულისხმობს თვითმკვლელობამდე მიყვანას და საქმეში ჩაერთო კრიმინალური პოლიცია“), მკითხველმა უნდა გადაწყვიტოს.

რატომღაც ავტორის მისამართით ნათქვამ დიდ კომპლიმენტად ითვლება, თუკი ხაზს გავუსვამთ, რომ ტექსტი ერთი ამოსუნთქვით იკითხება. უნდა ვაღიარო: მე ეს რომანი ერთი ამოსუნთქვით ვერ წავიკითხე — ემოციურად ვერ გავუძელი. მაგალითად, გარკვეული დრო დამჭირდა ტექსტთან კვლავ მისაბრუნებლად, როცა ტყუპებისა და მათი თანაკლასელების ექსკურსიაზე დავითგარეჯში ნასვლის ეპიზოდი წავიკითხე. სანჩოსა და ალეს თანაკლასელი გოგონა — ლიზა — სანჩოსთვის თავის მოსაწონებლად ხელში გველს იყვანს და თანატოლების თვალში დღის გმირადაც იქცევა, მაგრამ მიღებული ძლიერი სტრესის გამო ლამის ლეიკემიით დაავადდება. მერე კი, როცა სკოლაში დაბრუნდება — გამხდარი და მობუზული — სანჩო იგრძნობს, რომ მუცელში სტიკვა ეს გოგო. „და მე ეს ლიზა ახლაც მტიკვა“ — ამბობს 15 წლის მოზარდი მთელი გულწრფელობით, შენ კი ხვდები, რომ ასეთი სუფ-

გვტოვებს და თვალს სიამოვნებით ვადევნებთ მოზარდს, რომელიც საკუთარი სხეულის შეცნობას ცდილობს, ანუ ბავშვობიდან — დიდობისკენ საჯალ გზაზე თავის პირველ ნაბიჯებს დგამს.

ბანალური ვიქნები, თუკი ვიტყვი, რომ ავტორი რომანის კომპოზიციას ოსტატურად, ფაქტობრივად, უნაკლოდ აგებს, რომ მისი ტექნიკა, ენა და სტილი დახვეწილია, რომ ტექსტი საინტერესო და მეტყველი სახეებით გამოირჩევა (შემთხვევითი არ არის, რომ ნიგნის ბოლოსიტყვაობის ავტორს, ნინო ვახანიას ამასთან მიმართებით გურამ დოჩანაშვილის ფრაზა: სამოთხრობე პერსონაჟი ახსენდება), რომ აქ თითოეული ეპიზოდი ერთმანეთთან ოსტატურადაა დაკავშირებული, რაც მთლიანობის განცდას ბადებს, რომ ჩვენი ყოფილი რეალობა მისთვის ნიშანდობლივი და ზუსტი მახასიათებლებითაა რეპრეზენტირებული.

ერთგულმა მკითხველმა, რომელიც კარგად იცნობს ნინო სადლობელაშვილის პროზასა და პოეზიას, ისედაც ძალიან კარგად იცნობს, რომ ეს ასეა. მხოლოდ ერთს დავამატებ — ხშირად მიფიქრია იმაზე, რომ თანამედროვე ქართული პოეზია პროზაზე ბევრად ღრმა და მაღალმხატვრულია. იმაზეც ხშირად მიფიქრია, რომ ბოლო ათწლეულში რომანის ჟანრში განსაკუთრებით გაგვიჭირდა. ჩემ გარდა ალბათ კიდევ ბევრი ფიქრობს ასე, თუმცა, საბედნიეროდ, დროის ამ მონაკვეთში არაერთი საინტერესო რომანიც შექმნილა, რომლებმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს ამ ჟანრის განვითარებაში, ნინო სადლობელაშვილის „დაბადების დღეც“ ერთ-ერთ ასეთ ტექსტად მიმაჩნია, დანარჩენზე თავად რომანი მოგიყვებათ.



**აბო იაშალაშვილი**

**ბრაზ მონტი-კრისტოს სურჯინი**

დასასრული

რაინეგსი შეიხის მანსურის ხელის მოძრაობას დაჰყვა და მინაზე დაეშვა.

მათ ერთმანეთს თვალები შეახვედრეს. რაინეგსს თავში ათასი რამ გაურბოდა.

— უნდ ვერ ის დერ კაიზერ იცეტ? — დაამატა შეიხმა.

— იმ ფერშტეე დას ნიშტ?.

— ზი ზოლენ ნიშტს ფერშთეენ, ზი ზოლენ ირე ზეელე რეთენ“. დღეს თქვენ ხართ ფაუსტი და მე კი თქვენი მეფისტოფელი.

**4**

შეიხ მანსური დაბადებით იტალიელი იყო, მონფრატში ფეხადგმული და გაზრდილი. ის კაპუცინიც ყოფილიყო და ნიგნთა კითხვასა და გადანერაში ტარებდა დღეებს.

პირველი იმისი შეხება აღმოსავლეთთან სულ უჩვეულო იყო. მას ნაეკითხა ცხოვრება დიდი მოქანდაკის, მიქელანჯელო ბუონაროტის და როგორ ეპატიჟებოდა ის თანხულის ფაშა მაჰმუდ მეორე ხელგონს თავისთან და ბოსფორზე ხიდის ასაგებად.

მას თავბრუ დაეხვა. მას თვალნი დაუდგა სინიორის მოედანზე დამწვარი სავანაროლაც და ისევ რომის პაპის გავარჯერებული თვალები დაუდგა. მან ლეო მეათის ცხოვრებაც ნაიკითხა და გააოგნა ნახულმა.

ერთ ღამეს ის გაიპარა მონფრატის მონასტრიდან და ვენეციის გზას დაადგა, იქიდან კი სავაჭრო გემზე მოხვდა და გზა დამასკოსკენ აიღო.

იქიდან ის დერბენდელ მომლოცველებთან ერთად კავკასიაში გამოემართა და აქაურ მთებში გამონახა ადგილი, თავისი ნიჭი მას მოეხმარა აქაური ცოდნის იოლად დაუფლებამ და მალე ის ვეება ჯარის მეტაური შეიქნა.

ის იყო პირველი, ვინაც მთის მუსლიმთა ერთად დგომა გამოაცხადა, გაზავათი გამოაცხადა, ომი რუსთა წინააღმდეგ.

ახლა ამ აულში ის იყო პაპიც და კაიზერიც.

— მე ჩრდილოეთიდან ვარ, იქ კი, მოგეხსენებათ, პაპს არ სცნობენ. ჩემი რწმენა არის შემეცნება, ძიება, გონის გამონთავისუფლება შიშისაგან. მე ვარ განმანათლებელი. და თქვენ ვინ ხართ?

შეიხ მანსური დაფიქრდა.

— იყავით აქ ერთ ხანს, იტრიალეთ და ვნახოთ — იქნებ, არც მოგკლათ.

მერე ისევ დაფიქრდა.

— და მაინც, ვინ არის დღეს პაპი რომში?

**VI „რუჩონი ბანკის“ ყოფარი**

მე გაიამბეთ თქვენ ტფილისის თეატრზე, იმის ლოჟებსა და გაგარინის დახატულ საოცარ ფარდაზე. „ლომბარდიელებში“ არიას მადმუაზელ შტოლცი როგორ ასრულებს და მთელ თეატრის აგებულებაზე. იმაზე კი არაფერი მითქვამს, რომ რაკი ის ჩვენი სახლის სულ ახლოს დგას და თან ქარვასლაა, იმის ხმაური და ფერები ღია ფანჯრიდან უხვად ვარდება და სულ არ გინდა სეირნობა, საკმარისია, გაიხედო და ამჭრელ სამყაროს უცქირო, როგორ გამოდიან ქარვასლიდან რანარი არ გინდა ხალხი — ჩინელები, ინდოელები, არაბები, სპარსელები, ქართველები, სომხები, თურქმენები, ჩერქეზები. მე ოდენ ვხედავდი ამ-

ათ განსხვავებულ სამოსს, კალინო კი, რაკი ენები ესმის და მათი ხმოვანების გამორჩევაც შეუძლია, მიხსნიდა, რომ სრულიად სხვა და სხვა ხმა ტრიალებს ჰაერში. სამწუხაროა, რომ ამის ყურით დაჭერა არ შემეძლია, სამაგიეროდ, თვალს არ ვუჩივი და დილიდან ხალიჩის ამორჩევა გადავწყვიტე. ფინომ მირჩია ბატონიშვილი თეკლეს ქარვასლაში მოძებნა. მუანე თავისი მოღბერტით სახეტილოდ წასულიყო, კალინო და ზურაბა კი ჩემთან ერთად დაეშვნენ ქვემო ქალაქში და ხილდთან ახლოს ქარვასლასაც მივადექით. შიგ შესვლაც არ დამჭირდა, ისეთი საოცრებები გამოეფინათ გარეთ და ამან მიიქცია ჩემი თვალი და გავიბნა საუბარი ამის ვაჭართან, ზურაბამ კი დაინახა, ყომარბაზე იდგნენ სიონთან და მათკენ გასწავა.

არ ვიცი, რატომ და ცალი თვალი მაქვთ გამექცა და ვუყურებდი.

ერთ ამბავში იყვნენ, შემოტყუებდას სცდილობდნენ გამეუღლისა და შემდეგ, როგორც ამათი ნესი მოითხოვს, იმის გაყვლეფა და ართმევა, თუ რამ ებადათ. ზურაბა არ იყო ხიხო და კაი ჯიბიდან გავარდნილი იყო და ამიტომ გამიკვირდა, როცა ხელი გაიშვირა ქალადის დასტისაკენ, რაც ნიშნავდა, რომ თამამისათვის ყაბულს იყო.

ქალადი ვისაც ეჭირა მეტად გაქნილი ღიმილით, კიდევ უფრო გასწელა ღიმილი და კიდევ უფრო მეტი ფიანდოზით მიეფინა ზურაბას.

იმან კი აიღო ქალადი და კიდევ ერთი ითხოვა. მერე კიდევ ერთი. ეს რომ გამოართვა, რაღაც უჩვეულოდ გახვდა. მერე მზეზეც გახვდა და კიდევ ერთი ითხოვა. მერე ისევ ერთი.

— დაინობი, დაინობი, — სთქვა ერთმა სხვამ.

ოღონდ ზურაბამ ისევ ითხოვა. ამდენი ქალადის ალებით ოცდაერთს კი გასცდები და ამდენს ვხვდებოდი, რომ ამ ქულას არ კი უნდა გასცდენოდი და უეცრად მან მთელ დასტას სწვდა ხელი.

— აქაა, აქა, ნიგნია, ნიგნი, — დაჰყვირა და ვერ კი მიხვდვი, აბა, რას ამბობდა.

ის კი მოვარდა ჩემთან ამ დასტით.

— ესაა, ნახეთ, ესაა შამირას ნიგნისგან გაკეთებული დასტა ქალადისა!

— ვაჰ! — აღმომხდა მე.

აღმორჩადა, რომ სათამაშო ქალადი გაეკეთებიათ მეტეხის ციხეში და ქალადათ კი ეხმარათ სწორედაც შამირას ნიგნი. ის დაღეჭილი პურიდან გამოსული კრახმალით დაწებებიათ ერთი მეორეზე და ასე გაემსხვილებიათ. მერე კი ზედ დაეხატათ სალდათი იყო თუ ათიანი. ამას რა აადლიზავდა ერთი მეორეს, თუმცა არ დავიზარეთ და იქვე საჩაივს ადუღებულ ორთქლზე გავაჩერეთ და ის ნელი-ნელ აიქერცლა და ფენები გაშორდა ერთი მეორეს. მერე ეს შევაშრეთ და ხელთ შეგვრჩა ის, რასაც ზურაბა შამირას ნიგნს ეძახდა. სჩანს, ეს ორიოდვე ფურცელი იყო.

და დანარჩენი?

ძალიან დიდი ხნის გაკეთებული არ სჩანდა, თორემ აქამდე გაცვდებოდა. ეს ნიშნავს, რომ არც თუ დიდი ხნის უკან ეს ნიგნი ეჭირა ხელში ვილაცას.

— ვინაა ამის გამკეთებელი?


<sup>1</sup> ვინ არის დღეს პაპი რომში? (გერ.)  
<sup>2</sup> და კაიზერი ვინ არის?  
<sup>3</sup> ვერ ვხვდები, ეს რა ხდება.  
<sup>4</sup> თქვენ მისახვედრი არაფერი გაქვთ, თქვენ ოდენ თქვენი სული უნდა გადაარჩინოთ.



რომორც მისტერ რისი<sup>1</sup> აღნიშნავს, აუცილებელი არ არის ესეის ისტორიისა და წარმომავლის სიღრმისეული კვლევა — სოკრატესგან მომდინარეობს ის თუ სპარსელი სირენისგან — რადგან ისევე როგორც ყველა ცოცხალი ორგანიზმის, ესეის ანმეოც გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე მისი წარსული. ამასთანავე, ფართოდ გავრცელებული ოჯახია. თუ მისი ზოგიერთი წარმომადგენელი საქვეყნოდ აღზევდა და გვირგვინსაც წარმატებით ატარებს, სხვებმა არასაიმედო ცხოვრება არჩიეს ფლიტ სტრიტთან ახლოს მდებარე თხრილში. ფორმაც მრავალფეროვნებაზე მეტყველებს. ესეი შესაძლოა იყოს გრძელი ან მოკლე, მნიშვნელოვანი ან უმნიშვნელო, ღმერთის ან სპინოზას, კუს ან ჩიპსაიდის შესახებ. თუმცა, თუ იმ მცირე ხუთტომეულის გვერდებს გადავშლით, რომლებიც 1870-დან 1920-იან წლებში დაწერილ ესეებს აერთიანებს, აღმოვაჩინებთ, რომ რაღაც ქაოსს კონკრეტული წესები იმორჩილებს და დროის ამ მცირე მონაკვეთშიც კი, ესეის განვითარების ისტორიას დავადგენთ.

ლიტერატურის ფორმებს შორის ესეი ერთადერთია, რომელიც ყველაზე ნაკლებ მოითხოვს გრძელი სიტყვების გამოყენებას. პრინციპი, რომელიც მასზე ბატონობს, უბრალოდ, სიამოვნების მინიჭების პრინციპია. სურვილი, რომელიც თაროსკენ მის გადმოსაღებად გვიბიძგებს, სიამოვნების მიღების პრინციპია. ესეიში ყველაფერი ამ ერთადერთ შედეგს უნდა დაექვემდებაროს. მან პირველივე სიტყვით უნდა მოგვხსნოს და მხოლოდ უკანასკნელმა სიტყვამ გამოგვაფხიზლოს, განგვაახლოს. შუალედებში კი სიამოვნების, გაცხების, ინტერესისა და გულისწყრომის სხვადასხვაგვარი გამოცდილება გამოგვატაროს. შესაძლოა ლემბთან<sup>2</sup> ერთად ფანტაზიის სიმალღებზე გვაღვივოს ან ბეკონთან<sup>3</sup> ერთად სიბრძნის სიღრმეებში გვმთანთქას, მაგრამ არასდროს გამოგვაფხიზლოს. ესეიმ უნდა მოგვხსნოს და დანარჩენ სამყაროს ფარდა ჩამოაფაროს.

მაგრამ რაკილა ამგვარი გმირობა რთულად მისაღწევია, საფიქრებელია, რომ მასში მკითხველიც ისევე ბრალეული, როგორც ავტორი. მკითხველს ჩვევა და ლეთარგია ყელში ეჩხირება. რომანს აქვს ამბავი, ლექსს — რითმა. მაგრამ ხელოვნების რა საშუალებების გამოყენება შეუძლია ესეისთვის ამ მცირე მოცულობის პროზაში, რათა სრულად გამოგვაფხიზლოს და ჩაგვაგდოს ტრანსში, რაც არათუ ძილი, არამედ სიცოცხლის გამაფრებელი შეგრძნებაა — სიამოვნების მზისქვეშ სხეულის ყოველი გაღვიძებული ნაწილი ტკბობა? ესეისტმა უნდა იცოდეს — რაც უპირველესი მოთხოვნაა — როგორ უნდა წეროს. შესაძლოა მისი განსწავლულობა მარკ პატისონისას ჰგავდეს, თუმცა ესეიში, ის იმგვარად უნდა იყოს შერწყმული წერის მაგიასთან, რომ არცერთმა ფაქტმა, არცერთმა დოგმამ ესეის ქსოვილის ზედაპირი არ დაარღვიოს. ერთი მხრივ მაკოლეი, მეორეს მხრივ კი ფროიდი, დიდებულად ახერხებდნენ ამას. მათ, ერთი ესეით უფრო მეტი ცოდნის მოტანა შეეძლოთ ჩვენამდე, ვიდრე ასობით წიგნის აურაცხელი თავით. მაგრამ როცა მარკ პატისონმა, ოცდათხუთმეტი პატარა გვერდით, რაღაც უნდა გვითხრას მონტენზე<sup>4</sup>, ვგრძნობთ, რომ იგი მონსინიორ გრუნთან არ გათქვევითა<sup>5</sup>. მონსინიორ გრუნი ერთი ჯენტლმენი გახლდათ, რომელმაც ოდესღაც ცუდი წიგნი დაწერა. მონსინიორ გრუნი და მისი წიგნი, ჩვენი უწყვეტი სიამოვნებისთვის, ქარვით უნდა ყოფილიყო დაბალზამებელი. მაგრამ პროცესი მომქანცველია. ის იმაზე გაცილებით მეტ დროსა და გამძლეობას მოითხოვს, ვიდრე პატისონის განკარგულებაში იყო. ამიტომ მან უმად მიირთვა მონსინიორ გრუნი და მომზადებულ კერძში ცოცხალ კენკრად დარჩა, რომელზეც ჩვენი კბილები მუდმივად ღრჭიალებს. რაღაც მსგავსი დაემართათ მეთოუ არნოლდსა და სპინოზას ზოგიერთ მთარგმნელს. ჭეშმარიტების სიტყვასიტყვით გადმოცემისა და დამნაშავეის პოვნის ადგილი მისსავე სასარგებლოდ, ესეიში არ არის, რადგან მასში ყველაფერი ჩვენს სასიკეთოდ და უფრო მეტად მარადისობისთვის უნდა იქმნებოდეს, ვიდრე მარტის თვის ყოველკვირეული მიმოხილვის ნომრისთვის. მაგრამ, თუ ამ პატარა ამბავში, არასდროს უნდა ისმოდეს დატუქსების ხმა, ისმის მეორე ხმა, რომელიც კალიების



ვირჯინია ვულფი

# თანამედროვე ესეი

შემოსევას ჰგავს — ხმა კაცისა, რომელიც უსიცოცხლოდ დააბიჯებს ვრცელ სიტყვებს შორის და ხელს უშიზნოდ სტაცებს ბუნდოვან იდეებს; ხმას, მაგალითად მისტერ პატონისა, როცა შემდეგ პასაჟში წერს: „ამასთანავე, მისი ცოლქმრული ცხოვრება მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა, მხოლოდ შვიდწლიანდანიხვარი გაგრძელდა და მოულოდნელად განწყდა, ღრმა პატივისცემა საკუთარი ცოლის ხსოვნისა და ნიჭისადმი — როგორც თავად უწოდებდა „რელიგიისადმი“ — ერთადერთი კეთილგონიერული რამ უნდა ყოფილიყო მისთვის, არ შეეძლო დანარჩენი კაცობრიობის წინაშე სხვაგვარი ყოფილიყო თუ არა ექსტრაგანტული, და არა მოჩვენებითი, ჯერ კიდევ დაუძლეველი ნყურვილი იყო შეპყრობილი პატივისცემისთვის ხოროცი ყველაზე ნაზი და მგზნებარე ჰიპერბოლით შეესხა, რომელშიც შესაბარალისად ჩანდა ის კაცი, რომელმაც დიდება ამგვარად მოიპოვა და შეუძლებელი იყო არ გვეგრძნოთ, რომ მისტერ მილის ცხოვრების ადამიანური უსიამოვნებანი ძალზე სამუხარო იყო“.

წიგნს შეეძლო ამგვარი დარტყმა აედო, ესეი კი ჩაიძირა. ორტომეული ბიოგრაფია ამისთვის ნამდვილად შესაბამისი სანყოფიქნებოდა, მასში თავისუფლება მეტისმეტად დიდია, გარე ფაქტორებისთვის თვალის გადავლება მას სიტყვის გადაკვრა ნაიმის ნაწილია (და ამაში ძველ ვიქტორიანულ ტომებს ვგულისხმობთ), ამგვარი თვლენა და განვრცობა არაფერს აზიანებს, უფრო მეტიც, თავისთავად დადებით მნიშვნელობასაც იძენს. მაგრამ ეს მნიშვნელობა, რომელსაც მას მკითხველი ანიჭებს და შესაძლოა არასამართლიანადაც, რადგან სურს ერთი წიგნიდან, ყველა შესაძლო წყაროს გამოყენებით, რაც შეიძლება მეტი მიიღოს, ესეის უნდა ჩამოშორდეს.

ლიტერატურული უმინდურობის ადგილი ესეიში არ არის. როგორღაც, შრომის ან ბუნებისგან მონიჭებული ჯილდოს მეშვეობით, ან მათი თანადროული შერწყმით, ესეი წმინდა უნდა იყოს — წყალივით წმინდა ან ღვინოსავით წმინდა; მოწყვნილობისგან, უსიცოცხლობისგან, ზედმეტი დანაშაულებისგან განწმენდილი. ესეების პირველ ტომში შესულ მწერლებს შორის, უოლტერ პეიტერი საუკეთესოდ ასრულე-

ბს ამ რთულ დავალებას, რადგან ვიდრე ესეის წერას შეუდგება („ჩანანერები ლეონარდო და ვინჩიზე“), მანამ როგორღაც მასალების შერწყმას ახერხებს. პეიტერი განსწავლული კაცი იყო, თუმცა ის, რაც ლეონარდო და ვინჩის შესახებ გვაძლავს, არა პეიტერის ცოდნა, არამედ მისი ხედვაა, ისეთი, როგორსაც მხოლოდ დიდებულ რომანებში შევხვდებით, სადაც ყველაფერი ერთიანდება, რათა მწერლის აღქმა, როგორც ერთი მთლიანობა, ჩვენამდე მოიტანოს. მხოლოდ აქ, ესეიში, სადაც ჩარჩოები მკაცრად დადგენილია, ხოლო ფაქტები მთელი სიშიშვლით უნდა გამოიყენებოდეს, უოლტერ პეიტერის მსგავსი ჭეშმარიტ მწერალს, ამგვარი შეზღუდვებისთვის ღირებულების მინიჭება შეუძლია. ჭეშმარიტება ესეის ძალაუფლებას ანიჭებს. მის ვინრო საზღვრებში, მწერალი ფორმას და სიმძაფრეს აყალიბებს. და აღარ არსებობს მართებული ადგილი იმ სამშენისებისთვის, რომლებიც ასე ძალიან უყვართ დათველ მწერლებს და რომლებსაც ჩვენ, ვუნოდებთ რა სამშენისებს, შესაძლოა უფლებებდა გვყოფთ კიდევ. დღეს არავის ეყოფა გამბედაობა შესჭიდებოდა ცნობილ აღწერას ლეონარდოს ქალბატონისა<sup>6</sup>, რომელმაც „შეისწავლა სამარის საიდუმლოებანი; ზღვის სიღრმეებში ჩაყვინთა და აღმოსავლელ ვაჭრებთან უცნობი კავშირები გააბა; როგორც ლედა, ტროელი ელენეს დედა, როგორც წმინდა ანა, მარია-მის დედა“...

პასაჟი იმდენად დახვეწილია, რომ ბუნებრივად შეჰყვარებთ კონტექსტში. მაგრამ როცა უცაბედად წავაწყებით ფრანსისს: „ქალების ღიმილი და დიდი წყლვის მოძრაობა“, ან „სავსე მკვდრების სინატივით, სევდიანი, დედამიწისფერი სამოსით, უფერული ქვებით“, გვახსენდება, რომ ჩვენ თვალეები გვაქვს, ყურებიც გვაქვს და რომ ინგლისური ენა უზარმაზარი ტომელების წყებას აურაცხელი სიტყვებით ავსებს, რომელთაგან უმრავლესობა ერთ მარცვალზე მეტია. ერთადერთი ცოცხალი ინგლისელი, ვისაც ოდესმე უკვლევია ეს ტომები, რა თქმა უნდა, პოლონური წარმოშობის ჯენტლმენია. მაგრამ უდავოა, ჩვენი თავშეკავება გვიცავს გადაჭარბებული ემოციებისგან, გადაჭარბებული რიტორიკისგან, გადაჭარბებული პრანჭაო-

ბისა და ღრუბლებში ფრენისგან, და მზად ვართ მიღებული ზომიერებისა და გონიერების წყალობით, ის სერ ტომას ბრაუნის სილამაზესა და სვიფტის ენერჯიაში გადავცვალოთ.

და მაინც, მიუხედავად იმისა, რომ ესეი ბიოგრაფიაზე ან სხვა ფიქციაზე მეტად იწონებს მოულოდნელ გაბედულებასა და მეტაფორას, და იწმინდება მანამ, ვიდრე მისი ზედაპირის ყველა ატომი არ გაპრიალდება, ის საფრთხესაც შეიცავს. ჩვენ ორნამენტს დავინახავთ. დავინახავთ, რომ დინება, რომელიც ლიტერატურის სიცოცხლის წყაროა, ნელდება. ელვარების, ნათების ან მშვიდი იმპულსით მოძრაობის ნაცვლად, რასაც ღრმა აღფრთოვანება ახლავს, სიტყვები თითქოს გაყინულ სითხეში დედდება, საშობაო ნაძვის ხის ტოტებს ემსგავსება, რომლებიც ერთადერთი ლამით ბრწყინავენ, მეორე დღიდან კი იმტყვერებიან და მოსართავად იქცევიან. მორთვის ცდუნება უდიდესია იქ, სადაც თემა შესაძლოა უმნიშვნელო იყოს. რა შეიძლება იყოს სხვისთვის საინტერესო იმაში, რომ ვილაცამ საფხვამლო ტურით ისიამოვნა ან ჩიპსაიდზე ხეტილით გაერთო და მისწერ სვითინგის ვიტრინაში კუები დაინახა? სტივენსონმა<sup>7</sup> და სამუელ ბატლერმა განსხვავებული მეთოდი არჩიეს ამგვარი, ყოველდღიური თემების მიმართ ჩვენი ინტერესის გასაღვივებლად. სტივენსონი, რა თქმა უნდა, საკუთარ ამბავს კვეცს, წმენდს და მეცხრამეტე საუკუნის ტრადიციული ფორმით აყალიბებს. ბრწყინვალედ ასრულებს, მაგრამ როცა ესეის კითხვას ვაგრძობთ, გალიზიანების განცდას ვერ ვუმკლავდებით, რადგან არ გვინდა მასალები ხელოსნის ხელებში ჩავარდეს. ზოდი ძალზე პატარაა, მანიპულაცია კი უწყვეტი. შესაძლოა ამიტომაც, რომ ასეთი ყბელობა: „ჩუმად ზის და ფიქრობს — რათა დამახსოვროს უსურვილო ქალთა სახეები, ისიამოვნოს კაცთა დიადი გმირობებით, რომელთაც შური არ ახასიათებთ; რომ იყოს ყველგან და ყოველთვის თანამგრძნობი და მაინც, კმაყოფილი დარჩეს იქ, სადაცაა და როგორცაა“...

გარკვეულწილად უსაფუძვლოა, რაც მიგვანიშნებს ფაქტზე, რომ ამ დროისთვის ესეისტი დასასრულს მიუახლოვდა და აღარაფერი დარჩა მყარი, რაზეც მუშაობის გაგრძელება შეძლებს. ბატლერი სანინაამდგევი მეთოდს ამუშავებს. იფიქრებს საკუთარ აზრებზე — ვეუბნება იგი — და ისაუბრე მასზე იმდენად მარტივად, რამდენადაც შეგიძლია. ეს კუები ვიტრინაში, რომლებიც ბაკინდან თავითა და ფეხებით გამოდიან, გარდაუვალი ჩვეულების უცვლელ იდეაზე მიგვანიშნებენ. და ამგვარად, ჩვენ ერთი იდეიდან მეორეზე დაუფიქრებლად გადავდივართ და მთლიანი მინის დიდ მონაკვეთს გავდივართ. დააკვირდით, რომ მასთან რწმუნებულის ჭრილობა ძალზე სერიოზული რამეა; დააკვირდით, რომ სკოტლენდის დედოფალი მერი რეზინის ნაღებზე ატარებს; თავისთავად ცხადია, რომ არავის ალელვებს აქილევსი; ამგვარი გასართობი ანეკდოტებითა და ბრძნული მოსაზრებებით იგი ყბედობას იწყებს, რაც იმას ნიშნავს, რომ როგორც მანამდე უთხრეს, აღარ ნახოს ჩიპსაიდზე უფრო მეტი, რადგან უმჯობესია შეწყვიტოს თხრობა, ვიდრე უმჯობესად რივიუს მეთორმეტე გვერდამდე მიიღწევს. და მაინც, ცხადია, რომ ბატლერი ისეთივე სიფრთხილით ეკიდება ჩვენს სიამოვნებას, როგორც სტივენსონი, წერო საკუთარი თავივით და მას ხელწერა არ უწოდებ, სტილურად გაცილებით რთულია, ვიდრე წერი ედისონივით<sup>8</sup> და თქვა, რომ კარგად წერ.

და მაინც, მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთისგან ინდივიდუალურად განსხვავებულნი არიან, ვიქტორიანულ ესეისტებს აქვთ რაღაც საერთო. იმაზე გაცილებით ვრცლად წერენ, ვიდრე დღესაა მიღებული, და წერენ საზოგადოებისთვის, რომელსაც არამხოლოდ დრო არ აქვს საიმი-სოდ, რომ სრული სერიოზულობით მოეკიდოს უფრანლესს, არამედ არა აქვს მალა-ლი კულტურული სტანდარტი და კონკრეტულად ვიქტორიანულ ეპოქას, რომლის მიხედვითაც ესეის შეფასებას შეძლებს. ესეიში ღირდა მნიშვნელოვან თემებზე მსჯელობა. არაფერი იყო აბსურდული წერაში, ისევე როგორც ფაქტში, რომ ვილაცამ შეეძლო წერა, რადგან საზოგადოება, რომელიც ოდესღაც ესალმებოდა ესეებს ჟუ-



რნალებში, კიდევ ერთხელ ყურადღებით ნაიკითხავდა მათ წიგნში. ცვლილებები კულტურული ადამიანების მცირე ჯგუფიდან დაიწყო და ადამიანთა იმ ფართო ჯგუფზე გავრცელდა, რომელიც საკმარისად კულტურული არ ყოფილა. ცვლილებები სრულდება არ იყო უარესობისკენ მიმართული.

მესამე ტომში მისტერ ბირელსა<sup>1</sup> და მისტერ ბირბომს შევხვდებით. უნდა აღვნიშნოთ, რომ მათთან ესეი კლასიკურ მოდელს უბრუნდება, კარგავს ზომასა და ჟღერადობას და ნელნელა უახლოვდება ლემბისა და ედისონის ესეებს. ნებისმიერ შემთხვევაში, უდიდესი უფესკურული კარლაილზე დანერგულ მისტერ ბირელის ესეისა და ესეის შორის, რომელზეც ვარაუდობენ, რომ კარლაილს უნდა დაენერა მისტერ ბირელის შესახებ. მცირე მსგავსებებია მაქს ბირბომის „წინსაფრის ღრუბელსა“ და ლესლი სტივენის „ცინიკოსის აპოლოგიას“ შორის. მაგრამ ესეი ცოცხალია. სასონარკვეთილების მიზეზი არ არსებობს. რაკილა პირობები იცვლება, ესეისტიც, ყველაზე მგრძობიარე არსება საზოგადოებრივი აზრის მიმართ, ითვისებს საკუთარ თავს, და თუ ის კარგია, ცვლილების შედეგად უკეთესს ჰქმნის, ხოლო თუ ცუდი — უარესს. მისტერ ბირელი უდავოდ კარგია. ამიტომ ვგრძობთ, მიუხედავად იმისა რომ წონის მნიშვნელოვან ნაწილს კარგავს, მისი შეტევა უფრო პირდაპირი ხდება, მოძრაობა კი უფრო მოქნილი. მაგრამ მისტერ ბირბომი რას აძლევს ესეის, ან რას იღებს მისგან? ძალზე რთული კითხვაა, რადგან გვყავს ესეისტი, რომელიც კოცენტრირებულია სამუშაოზე, და რასაკვირველია, პრინციპა თავის პროფესიაში.

რასაც მისტერ ბირბომი გვაძლევს, რა თქმა უნდა, საკუთარი თავია. მწერლის სული, რომელიც ესეიში მონტენის დროიდან პერიოდულად სახლდება, ჩარღვ ლემბის გარდაცვალებამდე განდევნილია. მეთიუ არნოლდი არასდროს ყოფილა საკუთარი მკითხველისთვის მეთი, არც უოლტერ პეიტერისთვის უნოდებითა უოტი ათასობით სახლში. მათ ძალზე ბევრი რამ მოგვცეს, თუმცა, ეს არ დაუთმიათ. ამგვარად, ოთხმოცდაათიანი წლების მკითხველს, რომელიც შეგონებებს, ცნობებსა და გაკიცხვას იყო მიჩვეული, აკვირვებდა აღმოჩენა, რომ მათ შინაურულად მიმართავდა ხმა, რომელიც როგორც ჩანდა, მათზე აღმატებული არ ყოფილა. მისტერ ბირბომისთვის მნიშვნელოვანი პირადი სიხარული და ტკივილი იყო, ქადაგებისთვის ხელში სახარება არ ეჭირა და მკითხველს არც ჭკუას არიგებდა. იგი საკუთარი თავი იყო, პირდაპირ და უბრალოდ და ასეთივედ დანრა. კვლავ განდა ესეისტი, რომელიც ესეისტიისთვის ყველაზე ნიშანდობლივ, მაგრამ ყველაზე სახიფათო და დახვეწილ იარაღს ფლობდა. ლიტერატურაში პიროვნულობა შეიტანა, მაგრამ არა გაუცხოებინებდა და უნიმდურად, არამედ გაცნობიერებულად და წმინდად, იმდენად, რომ ვერ ვხვდებით, რა აკავშირებთ მაქსს, როგორც ესეისტს და ბირბომს, როგორც ადამიანს. მხოლოდ ვხვდებით, რომ ყველა სიტყვა, რომელსაც წერს, პიროვნულობის სულითაა გაჟღერებული. აქ ტრიუმფი სტილის ტრაიმფია. ესაა ცოდნა, იცოდნა როგორ წერო და საკუთარი თავი ლიტერატურისთვის გამოიყენო. პიროვნულობა, რომელიც ლიტერატურისთვის არსებითია, ამავდროულად მისი ყველაზე სახიფათო ანტიგონისტია. არასდროს და ყოველთვის იყო საკუთარი თავი — ეს არის პრობლემა. მისტერ რის კრებულში, თუ გულწრფელნი ვიქნებით, ზოგიერთი ესეისტი ამ პრობლემას ნარმატივებით ვერ ართმევს თავს. ჩვენ გვადიხიანებს ტრივიალური პიროვნულობები, რომლებიც ნაწილობრივ იძლევა მარადისობაში. პირისპირ საუბრისას, უდავოდ, ეს ყველაფერი მომხიბვლელია და რასაკვირველია, მწერალი შესანიშნავი კაცია, რომელსაც კათხა ლუდზე მიიპატიჟებთ. მაგრამ ლიტერატურა მკაცრია. მასთან გარიგებისთვის არ არსებობს მომხიბვლელიობის, კეთილშობილების, უფრო მეტიც, განსწავლულობისა და ბრწყინვალეობის საჭიროებაც კი, ვიდრე, როგორც თავად იმეორებს, მის უპირველეს პირობას არ შეასრულებთ — არ გეცოდინებათ როგორ წეროთ.

ეს ხელოვნება სრულყოფილებას მისტერ ბირბომთან აღწევს. თუმცა, მას ლექსიკონში მრავალმარცვლიანი სიტყვები

არ უძებნია; მყარი ფრაზები არ დაუხვავსებია და ჩვენი ყურთასმენა ჩახლართული კადენციითა და უცნაური მელოდიებით არ მოუხიბლავს. მისი ზოგიერთი კომპანიონი — ჰენრი<sup>10</sup> ან სტივენსონი — ნამიერად თითქოს უფრო შთამბეჭდავია. თუმცა, „წინსაფრის ღრუბელი“ იმგვარი უსწორმასწორობით, აურზაურითა და ფინალური გამომსახველობით ხასიათდება, რაც მხოლოდ ცხოვრებისთვის და მარტოოდენ ცხოვრებისთვისაა ნიშანდობლივი. მასთან ურთიერთობის განწყვეტა არ შეგიძლიათ, რადგან უკვე ნაიკითხეთ, მეგობრობაზე მეტი დასრულებულია, რადგან დამორების დროა. სიცოცხლე ჩქეფს, იცვლება, იზრდება. საგნებიც კი იცვლება წიგნის თაობაზე, თუ ისინი ცოცხლობენ. ჩვენ მათთან კვლავ შეხვედრის სურვილი გვიჩნდება; შეცვლილი გვხვდება; ამიტომ, კვლავ და კვლავ ვუბრუნდებით მისტერ ბირბომის ესეებს, ცოდნით რომ მოვა სექტემბერი ან მაისი და მათთან ერთად დავსხვდებით და ვისაუბრებთ. და მაინც, ჭეშმარიტებაა, რომ ესეისტი ყველა სხვა მწერალს შორის საზოგადოებრივი აზრის მიმართ ყველაზე მგრძობიარეა. სასტუმრო ოთახი დღესდღეობით ის ადგილია, სადაც უმეტესწილად კითხულობენ, მისტერ ბირბომის ესეები კი, ყველაზე სწორ მდგომარეობაში, ყველაზე დახვეწილად დევს სასტუმრო ოთახის მაგიდაზე. არ დევს ჯინი; არც ძლიერი თამბაქო, არანაირი კალამბურები, თორბა ან შეშლილობა. ქალბატონები და ბატონები საუბრობენ და, რა თქმა უნდა, რაღაც კვლავ უთქმელი რჩება.

მაგრამ თუ სულელური იქნებოდა, მისტერ ბირბომი ერთი ოთახით შემოგვესაზღვრა, კიდევ უფრო სულელური იქნება, სამუხაროდ, რომ მისგან, ხელოვანისგან, კაცისგან რომელიც მხოლოდ საუკეთესოს გვაძლევს, ჩვენი საუკუნის წარმომადგენელი გვექცია. წინამდებარე კრებულის მეოთხე ან მეხუთე ტომში მისტერ ბირბომის არცერთი ესეი არ შესულა. მისი ეპოქა უკვე შორეულია, სასტუმრო ოთახის მაგიდა, რომელიც თანდათანობით უკან იხევს, სამსხვეპროლოსავით ჩანს, სადაც უხსოვარ დროში, ადამიანები ძღვენს ალაგებდნენ — ხილს საკუთარი ხეხილის ბაღიდან, საკუთარი ხელით გამოჭრილ ნაკეთობებს. კიდევ ერთხელ შეიცვალა პირობები. საზოგადოება ისე სჭირდებოდა ესეები, როგორც არასდროს და შესაძლოა უფრო მეტიც კი. მოთხოვნა — მოესულამ არ გადააჭარბოს ათას ხუთას სიტყვას, ან განსაკუთრებულ შემთხვევებში ათას შეიდას ორმოცდაათს — მიწოდებას აღემატება. ლემბი ერთ ესეის ქმნის, მისტერ ბირბომი ორს, მისტერ ბელოკი<sup>11</sup> კი, თუ უხედავ დაფთვლით, მხოლოდ სამას სამოცდათხუთმეტ სიტყვას იყენებს. უდავოდ, ესეი ძალიან მოკლეა. და მაინც, როგორი სიმარჯვით იყენებს გამოცდილი ესეისტი თავის სივრცეს — ფურცლის რაც შეიძლება ზედა ნაწილიდან იწყებს, ზუსტად აფასებს რამდენად შორს შეუძლია წასვლა, როდის მობრუნდეს და როგორ, ისე რომ თმისღერი-სოდენა ადგილიც არ დაკარგოს, შემოტრიალდეს და რამდენადაც რედაქტორი უფლებას მისცემს, უკანასკნელ სიტყვაზე აენთოს. როგორც უმაღლესი ოსტატობა, ეს ღირს ყურებად. მაგრამ პიროვნულობა, რომელსაც მისტერ ბელოკი მისტერ ბირბომის მსგავსად ეყრდნობა, პროცესში ზარალდება. ჩვენამდე აღწევს არა მეტყველების ბუნებრივი სიმდიდრე, არამედ დაძაბული, წვრილი, მანერზიზმითა და მოჩვენებითობით სავსე ხმა; ხმა კაცისა, რომელიც ქარიან დღეს ბრბოს წინაშე მეგაფონით ჰყვირის: „ჩემო პატარა მეგობრებო, ჩემო მკითხველებო“ ამბობს ესეიში „უცნობი ქვეყანა“ და აგრძელებს:

„ოდესღაც ერთი მწყემსი იყო ფინდონის ბაზარზე, რომელიც აღმოხდა კეთილდღეობისა და მარტოობისა და ფინალური მოვიდა, თვალეში ჰორიზონტების იმგვარი მოგონება ედგა, რომელიც მეცხვარეებისა და მთიელების თვალეებს ასე ძალიან განასხვავებს სხვა დანარჩენთაგან... მასთან მივიდი, რათა გამეგო რისი თქმა სურდა, რადგან მეცხვარეების საუბარი ძალზე განსხვავდება სხვათაგან“.

საბედნიეროდ, მეცხვარეს ერთი კათხა ლუდით ნაქეზების მიუხედავადაც კი, ძალზე ცოტა რამ ჰქონდა მოსაყოლი უცნობ ქვეყანაზე, რადგან ერთადერთი შენიშვნა, რომელიც წამოსცდა ან უმნიშვნელო პოეტად წარმოაჩინდა მას, მეცხვარე-

ობისთვის სრულიად შეუფერებლად, ან თავად მისტერ ბელოკად, რომელიც კალმის საშუალებით ინილბობდა. ეს სასჯელია, რომელსაც წერას შეჩვეული ესეისტი მომზადებული უნდა შეხვდეს. იგი უნდა შეინილბოს. მას არ აქვს დრო, იყოს საკუთარი თავი ან ვინმე სხვა. ესეის იდეის ზედაპირს უნდა გადაეფლოს და მასში პიროვნულობის ძალა განაზავოს. მან ყოველკვირულად გახვეტილი ნახევარპენიანი უნდა მოგვცეს და არა წელიწადში ერთხელ მყარი სოვერინი.

თუმცა, მისტერ ბელოკი ერთადერთი არაა, ვისაც გაბატონებული პირობები სტანჯავს. კრებულში შესული 1920-იანი წლების ესეები მათი ავტორების საუკეთესო ნაშრომები როდია, თუმცა თუ გამოვრიცხავთ ისეთ მწერლებს, როგორებიც არიან მისტერ კონრადი და მისტერ ჰადსონი, რომელთაც გზა ებნევათ ესეებში, რაკილა უნებლიეთ წერენ და ვკონცენტრირდებით მათზე, ვინც სისტემატიურად წერს, აღმოვაჩინოთ, რომ ცვლილებებმა მათ მდგომარეობაზე მნიშვნელოვანწილად იმოქმედეს. ყოველდღიურად წერა, ყოველკვირულად წერა, მოკლედ წერა, წერა საქმიანი ადამიანებისთვის, რომლებმაც დილით მატარებელს უნდა მიუსწრონ ან წერა დაღლილი ადამიანებისთვის, რომლებიც საღამოობით სახლში ბრუნდებიან, გულსატკეპნი დავალებათ კაცთათვის, რომლებიც კარგ ნაწერს ცუდისგან ანსხვავებენ. ისინი აკეთებენ ამას, მაგრამ ინსტიტუტურად იტაცებენ რაღაც ძვირფასს სახიფათო გზიდან, რაც შესაძლოა საზოგადოებასთან ურთიერთობით დაზიანდეს, ან აშორებენ რაღაც ბასრს, რამაც შესაძლოა მისი კანი გააღიზიანოს. ამდენად, თუ ვინმე მისტერ ლუკასს, მისტერ ლინს ან მისტერ სქევარს ერთიანად წაიკითხავს, აღმოაჩენს, რომ ჩვეულებრივი ნაცრისფერი ყველაფერს ვერცხლისფრად ედება. ისინი ისევე შორს არიან უოლტერ პეიტერის გადაჭარბებული მშვენიერებისგან, როგორც ლესლი სტივენის უკიდურესი პირდაპირობისგან. მშვენიერება და გამბედაობა სახიფათო სულელობა ერთ სვეტად შესაკრავად და გასანახევრებლად. და იდეას, რომელიც ყოველთვის ჯიბეში ჩადებულ ყავისფერ ქაღალდში შეფუთულ პაკეტს ჰგავს, სტატიის სიმეტრიის დამახინჯება შეუძლია. სამყარო, რომლისთვისაც ისინი წერენ, კეთილი, დაღლილი და გულგრილია, თუმცა სასწაულია, რომ არასდროს წყვეტენ მცდელობას, სულ მცირე, კარგად წერონ.

თუმცა, მისტერ კლატონ ბროკი არ იმსახურებს სიბრალულს იმ ცვლილებებისთვის, რომელიც ესეისტის მდგომარეობას მოუტანა. მან აშკარად საუკეთესო პირობები შეუქმნა საკუთარ თავს და არა — უარესი. იმდენად ბუნებრივად ხდება მასთან ესეისტის გადასვლა ვინაო წრიდან საზოგადოებაში, სასტუმრო ოთახიდან ალბერტ ჰოლში, რომ ზოგს არც კი სჯერა, მისი ძალისხმევა რამდენად გაცნობიერებულია. საკმაოდ პარადოქსულია, რომ ზომის შემცირებით ინდივიდუალობა გაფართოვდა. ჩვენ აღარ ვიყენებთ მაქსისა და ლემბისეულ „მე“-ს, არამედ გვაქვს „ჩვენ“, რომელიც საზოგადოებრივი სხეულისა და სხვა დიდებულ პერსონაჟთა გამომხატველია. ეს „ჩვენ“ ვართ, ვისაც გვესმის ჯადოსნური ფელიცი<sup>12</sup>; „ჩვენ“, ვინც ვსარგებლობთ მისით; „ჩვენ“, ვინც იდუმალი საშუალებებითა და ერთობლივი ნიჭით, უხსოვარ დროში ვწერდით მას; მუსიკა, ლიტერატურა და ხელოვნება განზოგადების ერთსა და იმავე პრინციპებს უნდა ემორჩილებოდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ალბერტ ჰოლის სიღრმეებს ვერ მისწვდებიან. მისტერ კლატონ ბროკის ხმა, ასეთი გულწრფელი და უანგარო, რომელიც სიღრმეებისკენ მიიწევს და მასის სისულტესა და ემოციებზე აყობის გარეშე, ძალიან ბევრის ყურს სწვდება, ჩვენთვის, ყველასთვის გამართლებული სიამოვნების წყაროა. მაგრამ, ვიდრე „ჩვენ“ კმაყოფილია, „მე“ — ადამიანური არსის ყველაზე თავაშვებული მენყვილე — სასონარკვეთილებაში ვარდება. „მე“ ყოველთვის საკუთარი თავისთვის ფიქრობს და საკუთარი თავისთვის გრძნობს. ფიქრებისა და გრძნობების გაზიარება კი განათლებულ, კეთილშობილ ქალებთან და მამაკაცებთან, ამგვარი განზავებული ფორმით, მისთვის სრული აგონიაა. და მანამ ვიდრე ჩვენი დარჩენი ნაწილი გულდასმით უსმენს და სრულებით სარგებლობს, „მე“

ტყეებსა და ველებზე დაეხეტება, ბალახის ერთი ღეროთი და უელი კარტოფილით ხარობს.

როგორც თანამედროვე ესეების მეხუთე ტომი გვიჩვენებს, გზა სიამოვნებისა და წერის ხელოვნებისგან გაიკაფა. თუმცა, 1920-იანი წლების ესეისტიებისთვის საერთოლიანად უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ არ ვადიდებთ ცნობილთ, მხოლოდ იმიტომ რომ უკვე განდიდებულნი არიან, არც გარდაცვლილებს ვაქებთ, მხოლოდ იმიტომ რომ ვიცით, ვერასდროს შევხვდებით მათ გეტრებში გამოწყობილ, პიკადილიში. ჩვენ უნდა ვიცოდეთ რას ვგულისხმობთ როცა ვამბობთ, რომ მათ წერა შეეძლოთ და სიამოვნებას გვანიჭებდნენ. უნდა შევადაროთ; ხარისხი უნდა განესაზღვროთ; უნდა მივუთითოთ და ვთქვათ, რომ ეს კარგია, რადგან ზუსტია, მართალია და წარმოსახვითია:

„არა, გადამდგარ მამაკაცებს არ შეეძლოთ, როცა უნდა შესძლებოდათ. ვერც შესძლებენ, როცა საქმე გონებას ეხება; მაგრამ არსებობს მოუსვენრობა დაფარულის გამო, ასაკსა და ავადმყოფობაშიც კი, რაც თვალთვალს მოითხოვს: ძველი ქალაქლებივით, რომლებიც კარის ზღურბლზე სხედან, თუმცა ასაკს აბუჩად ასაგდებად სთავაზობენ“...

ან ვთქვათ, რომ ეს ცუდია, რადგან ვრცელი, გაცვეთილი და სავარაუდოა:

„ტუჩებზე ასახული თავაზიანი და ზუსტი ცინიზმით, იგი მივხედ, უბინო საძინებელზე ფიქრობდა, მშვიდრად ლამის ქვეშ მომღერალ წყლებზე; საფეხურებზე, სადაც სპეტაკი მუსიკის ჰანგები ღამლამობით ქვითინებდნენ; წმინდა, დედობრივ ქალწულებზე, მფარველი მკლავებითა და ფიზიკური თვალბრუნებით; მისი შუქის ქვეშ მოვლემარე მინდვრებზე; ოკეანეებზე, რომლებიც თბილი, მთრთოლვარე ზეცის ქვეშ იწვნენ; მცხუნვარე ნავსადგურებზე, დიდებულისა და სურნელოვანზე.“

და ასე გრძელდება, მაგრამ უკვე გავაოგნა ჟღერადობით და ამდენად, არც გვესმის და ვერც ვგრძობთ. შედარება გეაფიქრებინებს, რომ წერის ხელოვნებას ახასიათებს მძაფრი მიჯაჭვულობა იდეის ხერხემლისადმი. ეს იდეის მეორე მხარეა — რაღაც, რაც რწმენითაა ნაგრძობი ან ზუსტად დანახული და ამდენად, დამაჯერებელ სიტყვათა ფორმებში მოქცეული — რომლის ყველაზე შორეულ ნაპირს მიაღწია მრავალგვარმა საზოგადოებამ, მათ შორის ლემბმა და ბეკონმა, მისტერ ბირბომმა და მისტერ ჰადსონმა, ვერონ ლიმ და მისტერ კონრადმა, ლესლი სტივენმა და ბატლერმა და უოლტერ პეიტერმა. იდეის სიტყვებში მოქცევას ძალზე განსხვავებული ნიჭი ეხმარება ან აბრკოლებს. ზოგი მტკიცეულად ფხაჭნის კალამს; სხვები ქარის მხარდამხარ დაჰქრიან; მაგრამ მისტერ ბელოკი, მისტერ ლუკასი და მისტერ სქევარი მძაფრად, თავისთავად, არაფერს ეჯაჭვებიან. ისინი იზიარებენ თანამედროვე დილემას — ურყევი რწმენის ნაკლებობას, რომელსაც ეფემერული ბეგრები ვილაციის ენის დანისლული სფეროს გავლით, იმ მიწაზე გადააქვს, სადაც სამარადისო ქორწინება, სამარადისო გაერთიანება უნდა შედგეს. რაკილა ესეის ყველა განმარტება ბუნდოვანია, მას უნდა შეეძლოს ერთი უცვლელი ხარისხი: ესეიმ ჩვენს ირგვლივ ფარდა უნდა ჩამოაფაროს; და ეს უნდა იყოს ფარდა, რომელიც მის შიგნით ჩაგვკეტავს, თუმცა გარესამყაროს არ მოგვწვეტს.

<sup>1</sup> ერნესტ რისი — XIX-XX საუკუნის ინგლისელი მწერალი, ესეისტი. რედაქტორი ესეების კრებულისა, რომელსაც ვულფი განიხილავს.

<sup>2</sup> ჩარლზ ლემბი

<sup>3</sup> ფრენსის ბეკონი

<sup>4</sup> მიშელ დე მონტენი — ფრანგი ჰუმანისტი ფილოსოფოსი, მორალისტი, პოლიტიკოსი, მწერალი. თანამედროვე ესეს ჟანრის ფუძემდებელი.

<sup>5</sup> ალფონს გრუნი — ავტორი მონტენის ბიოგრაფიისა, რომელსაც მარკ პატისონი ესეის წერის დროს იყენებს. ვულფი მიიჩნევს, რომ ესეიში ყოველგვარი ინფორმაცია და ცოდნა ერთმანეთთან უნდა იყოს შერწყმული და „გათქვამილი“. მარკ პატისონი კი ამ მხრივ კრახს განიცდის.

<sup>6</sup> იგულისხმება მონა ლიზა.

<sup>7</sup> რობერტ ლუის სტივენსონი

<sup>8</sup> ჯოსეფ ედისონი — ინგლისელი ესეისტი.

<sup>9</sup> ავგუსტინ ბორელი

<sup>10</sup> უილიამ ერნესტ ჰენლი

<sup>11</sup> ჰილარი ბელოკი

<sup>12</sup> მოცარტის ოპერა.



დურგლები

დღისი თუ ღამით ისეთი სქელი და თეთრი ნისლი იდგა, ცხვირწინ მდგომ ადამიანს ვერ დაინახავდი. თუმცა, შორს წასვლა არც მოგიხდებოდა მარტო. სასადილოს, საავადმყოფოსა და ვახტის მიმართულეებს დალანდვის გარეშეც, იმ შეძენილი ინსტინქტის მეშვეობით განსვალვრავდით, რომელსაც ცხოველები სრულფასოვნად ფლობენ და რაც მიმართულეების შეუცდომლად არჩევაში ეხმარება; მსგავსი შეგრძნება შესაფერის გარემოებებში ზოგჯერ ადამიანშიც ილვადებოდა.

თერმომეტრს მუშებს არავინ აჩვენებდა, არც იყო საჭირო, სამუშაოდ მაინც ნებისმიერ ტემპერატურაში გვიხდებოდა გასვლა. ძველები უამისოდაც თითქმის ზუსტად განსვალვრავდნენ ყინვის სიძლიერეს: თუ ნისლი დგას, ეს იმის ნიშანია, რომ გარეთ ნულს ქვევით ორმოცი გრადუსია; თუ ამოსუნთქვისას ჰაერი ხმაურს გამოცემს, მაგრამ სუნთქვა ჯერ კიდევ თავისუფლად შეიძლება, მაშინ — ორმოცდახუთი; ხმაურით სუნთქვისა და ქოშინისას ორმოცდაათი გრადუსი გახლავთ, ორმოცდაათხუთმეტზე ქვევით ნერწყვი ჰაერში იყინება. უკვე ორი კვირაა, ასეთი ამინდებია.


პოტაშნიკოვი ყოველ დილას იმ იმედით ილვადებოდა — იქნებ ყინვა დაცემულიყო. ნინა ზამთრის გამოცდილებით იცოდა, რომ ტემპერატურა რაც უნდა დაბალი ყოფილიყო, სითბოს შეგრძნებისათვის მკვეთრი ცვლილება, კონტრასტია მნიშვნელოვანი. მაშინაც კი, თუ ყინვა მიწის ორმოც-ორმოცდახუთ გრადუსამდე ჩამოვიდოდა, ორი დღით სითბოს იგრძნობდი, ამაზე შორეული გეგმების დანყოფას აზრი მაინც არ ჰქონდა.

თუმცა, ყინვამ არა და არ დაიკლო, პოტაშნიკოვი ხვდებოდა, რომ მეტს ველარ გაუძლებდა. საუზმე დიდი-დიდი ერთ საათს გაგყოლოდა, შემდეგ დალილობა მოდიოდა, სიცივე ძვალ-რბილში ატანდა — ეს ხალხური გამოთქმა მეტაფორა სრულებით არ ყოფილა! მხოლოდ ის შეგეძლო, სამუშაო იარაღი გექნია და ასკინკილა გეტუნა, რათა როგორღაც სადილამდე არ გაყინულიყავი. ცხელი სადილი, ყბადაღებული „იუშკა“ და ორი კოვზი ფაფა ძალებს ვერ აღვიდგენდა, მაგრამ ცოტათი შეგათბობდა მაინც. ენერგია ისევ ერთი საათის მუშაობას ჰყოფინდა, მერე პოტაშნიკოვს გათბობის ან უბრალოდ გაყინულ ეკლიან ქვებზე დანოლის და სიკვდილის სურვილი ეუფლებოდა. დღე მიიღია და ვახშმად წყლისა და პურის მირთმევის შემდეგ, რომელსაც სასადილოში სუფთან ერთად არცერთი მუშა არ ჭამდა და ყველას ბარაკში მიჰქონდა, პოტაშნიკოვი მამნივე დასაძინებლად დანვა.

რა თქმა უნდა, ზედა ნარებზე ეძინა, ქვევით ყინულის სამარე იყო. ისინი კი, ვისაც იქ ერგო ადგილი, ნახევარ ღამეს ლუმელთან დგომამი — როგორცობით მასზე ხელებშემოხვეული ატარებდნენ. ღუმელი ოდნავ იყო შემთბარი. საკმარისი შუშა არასოდეს ჰქონდათ. მის მოსატანად სამუშაოს შემდეგ ოთხი კილომეტრი უნდა გაგველო, ამას კი ყველა თავს არიდებდა. ზევით შედარებით თბილოდა, თუმცა, რა თქმა უნდა, იმავე ქუდებით, ქურთუკებით, ბუშლატებითა და ბამბის შარავლებით ეძინათ, რითაც დღისით მუშაობდნენ. უფრო თბილოდა, მაგრამ ღამ-ღამობით თმა ბალიშზე მაინც მიიყინებოდა ხოლმე.

პოტაშნიკოვი ხვდებოდა, დღიდან დღემდე ძალა როგორ ელეოდა. ოცდაათი წლის კაცს ზედა ნარებზე ასვლა-ჩამოსვლა უკვე უჭირდა. მისი მეზობელი გუმინ მოკვდა, უბრალოდ გათავდა, აღარ გაულვიოდა. არავინ დაინტერესებულა, რა დაემართა, თითქოს, სიკვდილს ყველასთვის ცნობილი ერთადერთი მიზეზი ჰქონოდა. მორიგეს უხაროდა, რომ ეს ამბავი საღამოს კი არა, დილას მოხდა — ასეთ შემთხვევაში გარდაცვლილის დღე-ღამის მარაგი მორიგეს რჩებოდა. ეს ყველამ იცოდა. პოტაშნიკოვმა მაინც გაბედა მორიგესთან მისვლა და თხოვნა — ყუა მომიტეხეო — მაგრამ ის იმგვარი გაბედული გინებით დაუხვდა, როგორც ილანძვლა სუსტი, რომელიც გაძლიერდა და იცის, მისი საქციელი დაუსჯელი დარჩება. სუსტები ძლიერებს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში თუ შეუპოვრებულნი — ეს კი სასწრაფოებილი გამბედაობაა. პოტაშნიკოვი გაჩუმდა და გაერია.

რალაც უნდა ელონა, დასუსტებულ ტვინს რამე უნდა მოეფიქრებინა, თორემ სიკვდილი ელოდა. პოტაშნიკოვს არც ამის ეშინოდა, ოღონდ კიდევ იყო რალაც იდუმალი, გენიანი სურვილი — უკანასკნელი გაკერება — რომ სადმე საავადმყოფოში, იქაურ სანოლში, სხვა ადამიანების, თუნდაც გულგრილი მეთვალყურეობის ქვეშ მომკვდარიყო, ოღონდ გარეთ, ყინვაში, ბადრავის ჩექმის ქვეშ, ან ბარაკის ლანძვლა-გინებაში, სიბინძურესა და საყოველთაო გულგრილობაში ნუ ამოხდებოდა სული. გულგრილობისთვის არავის კიცხავდა. სულიერი დაწლუნებისა და სიცივის მიზეზს დიდი ხნის წინ მიხვდა. სწორედ ის ყინვა, რომელიც ნერწყვს ჰაერში აქვავებდა, ადამიანს სულამდეც წვდებოდა. თუკი ძველები შეიძლება გათოშილიყო, სიცივეს ტვინი დაეწლუნებინა, მაშინ სულიც ხომ შეიძლებოდა, გაყინულიყო. ასე გათოშილკაცს ფიქრი არ შეეძლო. ყველაფერი მარტივად იყო. სიცივისა და შიმშილისგან ტვინი საკვებით ცუდად მარაგდებოდა, მისი უჯრედები შრებოდნენ — ეს ყველაფერი თვალნათელი, ხელშესახები პროცესი იყო და ღმერთმა უნყის, მოყინულობის მსგავსად, ესეც შექცევადი იყო, როგორც ამას მედიცინაში ამბობენ, თუ დადრეკვა სამუდამოდ დარჩებოდა. სულიც ამგვარადვე



მიიყინა, შეიკუმშა და შეიძლება, სამუდამოდ ცივი დარჩენილიყო. პოტაშნიკოვს ეს ფიქრები დღე უტრიალებდა თავში, ახლა მოთმინისა და დაცდის გარდა აღარაფერი დარჩენოდა, ყინვას იქნებ როგორმე ცოცხალი გადარჩენოდა.

რა თქმა უნდა, საამისო გზები წინასწარ უნდა მოეძებნა. ასეთი სულ რამდენიმე იყო. ბრიგადირი ან ზედამხედველი უნდა გამხდარიყო, საერთოდ, ხელმძღვანელობასთან ყოფილიყო ახლოს, ან სამზარეულოსთან ეტრიალა. აქ კი ასობით მოქიშპე ჰყავდა და ბრიგადირობაზეც ჯერ კიდევ წინა წელს თქვა უარი, საკუთარ თავს სიტყვა მისცა, აქ სხვა ადამიანის ნებაზე არ იძალადებდა. საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენადაც არ უნდოდა მომაკვდა ამხანაგებს სიკვდილის წინ წყევლა შეეთვალათ მისთვის. პოტაშნიკოვი სიკვდილს დღე-ღღეზე ელოდა და, როგორც ჩანდა, ეს დროც დამდგარიყო.

ჯამით თბილი სუფი დალია, პური გალონა, შემდეგ სამუშაოდ მილასლასდა. ფეხზე ძლიერს იდგა. ბრიგადა სამუშაოს დაწყების წინ მოწყობილიყო. ვიღაც ირმის ტყავის ქუდში, იაკუტურ ტრობასებში და თეთრ მოკლე ქურქში გამოწყობილი ნითელსიფათა მსუქანი კაცი რიგების გასწვრივ გადი-გამოდიოდა. მუშების ღონემიხდილ, ჭუჭყიან, გულგრილ სახეებს აკვირდებოდა. ისინი მდუმარედ ტკეპნიდნენ ადგილს და მოულოდნელი შეყოვნების დასრულებას ელოდნენ. ბრიგადირიც იქვე იდგა, იმ ირმისქუდიანს რალაცას მოწინებით ესაუბრებოდა:

— მე კი გარწმუნებთ, ალექსანდრ ევგენიევიჩ, რომ ასეთი ხალხი არ მყავს. სობოლევიტან და ხელოსნებთან მიბრძანდით, ეს ხომ ინტელიგენციაა, ალექსანდრ ევგენიევიჩ, ტანჯვის მეტი არაფერი გაეგებათ! ირმისქუდიანმა ხალხის თვალჩინება შეწყვიტა და ბრიგადირს მიუბრუნდა.

— ბრიგადირი თავიანთ ხალხს არ იცნობენ, არაფრად ანალვლებთ, არც ჩვე-

ნი დახმარება სურთ, — ხრინწიანი ხმით უპასუხა.

— თქვენი ნებაა, ალექსანდრ ევგენიევიჩ...

— ახლავე დაგანახებ ყველაფერს! რა გვარი ხარ?

— ივანოვი ვარ გვარად, ალექსანდრ ევგენიევიჩ.

— აი, შეხედე! ჰეი, ბიჭებო, ყურადღება აქეთ! — ირმისქუდიანი ბრიგადის წინ დადგა, — სამმართველოს გრუნტის საზიდი ყუთების დასამზადებლად დურგლები სჭირდება!

ყველანი სდუმდნენ.

— ხომ ხედავთ, ალექსანდრ ევგენიევიჩ, — ნაიჭურჩულა ბრიგადირმა.

პოტაშნიკოვს უცებ საკუთარი ხმა მოესმა:

— მე... მე ვარ დურგალი! — და წინ გადადგა ნაბიჯი.

მარჯვენა ფლანგიდან ჩუმად გამოვიდა მეორეც. გრიგორიევი იყო, პოტაშნიკოვის ნაცნობი.

— აი, — ირმისქუდიანი ბრიგადირს მიუბრუნდა, — ხომ ნახე, დოცლაპია! ბიჭებო, გამომყევით!

პოტაშნიკოვი და გრიგორიევი ირმისქუდიან კაცს ლასლასით მიჰყვინენ უკან. ის უცებ შერბდა.

— ასე თუ ვივლით, — ნაიხროტინა მან, — სადილსაც ვერ მივუხსრებთ! აი, რას გეტყვით: მე წინ წავალ და თქვენ სადურგლოში მოდით, საქმისმნარმოებელ სერგეევს მიაკითხეთ! იცით, სადაა სადურგლო?

— ვიცით, ვიცით! — დაიყვირა გრიგორიევი, — თუ შეიძლება, მომანევიეთ!..

— მეცნობა თხოვნა, — კბილებში გამოსცრა ირმისქუდიანმა და ისე, რომ კოლოფი არც ამოუღია, ახიბიდან ორი ღერი ამოაძვრინა.

პოტაშნიკოვი წინ მიდიოდა და დაძაბული ფიქრობდა: დღეს თბილ სადურგლოში იქნება — ცულებს გაჩარხავს, ტარებს დაამზადებს, ხერხსაც გამართავს. არსად ეჩქარება. სადილამდე სამუშაო იარაღს მისცემენ, სიამო შეიყვანენ, საწყობის გამგეს მოძებნიან. საღამოს კი, როცა გაირკვევა, რომ ცულის დამზადება არ იცის, ხერხის გამართვაც არ შეუძლია, გააგდებენ და ხვალ ისევ ბრიგადაში დააბრუნებენ. მაგრამ დღეს სითბოში იქნება! ან იქნებ ხვალაც და ზეგაც დურგალი იყოს. თუ გრიგორიევი დურგალია, მის დამხმარედ ივარგოს. ზამთარი უკვე მთავრდება. ხანმოკლე ზაფხულში კი თავს როგორმე გაიტანს.

პოტაშნიკოვი შერბდა, გრიგორიევის მოუცადა.

— გეხერხება დურგლობა? — მოულოდნელმა იმედმა სული შეუხუთა და ისე ამოთქვა.

— განა ვერ ხედავ?! — მხიარულად შესძახა გრიგორიევი, — მოსკოვის ფილოლოგიის ინსტიტუტის ასპირანტი ვარ. ვფიქრობ ყველა ადამიანს, ვისაც უმაღლესი, მით უფრო ჰუმანიტარული განათლება აქვს მიღებული, ცულის გამოთლაც აუცილებლად უნდა შეეძლოს და ხერხის გამართვაც იცოდეს! განსაკუთრებით მაშინ, თუ ეს გახურებულ ღუმელთან უნდა აკეთო!

— ეს ნიშნავს, რომ შენც ჩემსავით...

— არაფერსაც არ ნიშნავს, ორი დღე გავაცურებთ, მერე კი... მეტი რა გინდა?!

— ერთი დღე მოვატყუებთ, ხვალ ისევ ბრიგადაში დაგვაბრუნებენ...

— არა! ერთ დღეში სადურგლოს აღრიცხვაზე ჩვენს აყვანას ვერ მოსანრებენ. ცნობის გაცემაა საჭირო, სიები, შემდეგ ისევ აღრიცხვა.

გაყინული კარი ერთად ძლივსძლივობით შეაღეს. სახელოსნოს შუაში ნითლად გავარვარებული რკინის ღუმელი იდგა. ხუთი ხელოსანი თავ-თავიანთ დაზგაზე მუშაობდა, არც ქურთუკები ეცვათ, არც ქუდები ეხურათ. მოსულენი ღუმელის ღია კართან ცეცხლთან — კაცობრიობის ერთ-ერთი უძველესი ღვთაების წინაშე — მუხლებზე დაეცნენ. ხელთათმანები გაიძრეს, სითბოს მიეფიცხნენ, ხელებს პირდაპირ ცეცხლში ჰყოფდნენ. მრავალჯერ მოყინული, მგრძნობელობადაკარგული თითები სითბოს უმაღვე ვერ შეიგრძნობდნენ. ნუთის შემდეგ გრიგორიევი და პოტაშნიკოვი ქუდები მოიხადეს და ბუშლატები შეიხსნეს ისე, რომ ფეხზე არც წამომდგარან.

— რისთვის მოხვედით? — დაქვებით იკითხა დურგალმა.

— დურგლები ვართ, აქ ვიმუშავებთ, — უპასუხა გრიგორიევი.

— ალექსანდრ ევგენიევიჩის განკარგულებით! — საჩქაროდ დაამატა პოტაშნიკოვმა.

— ანუ საქმისმნარმოებელი თქვენზე გვეუბნებოდა, ცულები მიეციოთ, — თქვა არმტრემმა, ხანში შესულმა მეხელსაწყომ, რომელიც კუთხეში ნიჩბისთვის ტარს თლიდა.

— ჰო, ჩვენზე, ჩვენზე...

— აიღეთ, — უთხრა მათ არმტრემმა და უნდოდ შეავლო თვალი, — აი, თქვენ ორი ცული, ხერხი და კბილგასაყარი. კბილგასაყარს მერე უკან დააბრუნებთ! აი, ჩემი ცული, ტარი დააგეთ!

არმტრემს გაეღია.

— დღიური ნორმა ოცდაათი ცალია, — დაამატა მან.

გრიგორიევი ტარი გამოართვა და თლა დაიწყო. სადილის მანიშნებელი საყვირის ხმა გაისმა. არმტრემს არ ჩაუცვამს, გრიგორიევის საქმიანობას ხმის ამოუღებლად ადევნებდა თვალს.

— ახლა — შენ! — ამჯერად პოტაშნიკოვს მიუბრუნდა.

იმან ხის ნაჭერი ჯირკზე დადო, გრიგორიევის ცული გამოართვა და თლა დაიწყო.

— საკმარისია! — თქვა არმტრემმა. ხელოსნები სადილზე გავიდნენ, სახელოსნოში სამი ადამიანის გარდა აღარავინ იყო.

— ეს ჩემი ორი ტარი აიღეთ, — არმტრემმა უკვე გამზადებული ტარები გრიგორიევის მიანოდა, — და ცულებს მთავრეთ, ხერხი გალესეთ, დღეს და ხვალ ღუმელთან გათბით, ზეგისთვის კი საიდანაც მოსულხართ, იქ დაბრუნდით! სადილად, აი, თქვენი პურის ნაჭრები...

ორი დღე ღუმელთან თბებოდნენ, მესამე დღეს კი ყინვა ერთბაშად ოცდაათ გრადუსამდე დაეცა — უკვე მთავრდებოდა ზამთარი.

ერთი კაცის ნორმა

სალამოს რულების ხევაში გართულმა ზედამხედველმა თქვა, რომ შემდეგ დღეს დუგაევი სამუშაოდ ერთი კაცის ნორმას მიიღებდა. გვერდით მდგომი ბრიგადირი, ვინც ზედამხედველს „ზეგამდე ათ კუბურ მეტრს“ სთხოვდა სესხად, მოულოდნელად გაჩუმდა და ბორცვის თხემს მიღმა მოციმიციმე საღამოს ვარსკვლავს შეაცქერდა. დუგაევის მენყვილე ბარანოვმა, ზედამხედველს შესრულებული სამუშაოს გაზომვაში რომ ეხმარებოდა, ნიჩაბი აიღო და დიდი ხნის წინათ განმენდილი სანგრევის გასუფთავება დაიწყო.

ყველაფერი, რაც ოცდასამი წლის დუგაევი აქ საკუთარი თვალთ ნახა და ყურით მოისმინა, შიშზე მეტად გაკვირვებას ჰგვირდა.

ბრიგადა სიით გამოძახებაზე შეიკრიბა, სამუშაო იარაღი ჩააბარა და არათანაბარი, პატიმრული მწკრივით ბარაკში დაბრუნდა. მძიმე დღე დასრულდა. სასადილოში დუგაევი წყალსყალა და ცივი ბურლულეულის სუფის ულუფა შეხეულად, პირდაპირ ჯამის პირიდან მოხვრიპა. მთე-



ლი დღის სამყოფი პური დილასვე გაიცემოდა და უკვე კარგა ხნის შექმნილი იყო. მონევა უნდოდა. მზერა მოავლო, რომ ვინმესთვის პაპიროსის ნამწვი ეთხოვა. ბარანოვი ფანჯრის რაფაზე „მახორკის“ ნამცეცებს გადმობრუნებული ქისიდან ქალაქში უყრიდა თავს. გულმოდგინედ შეაგროვა, მერე წვრილი პაპიროსი გადაახვია და დუგავეს გაუწოდა.

— მონე და დამიტოვე! — შესთავაზა მან.

დუგავეს გაუკვირდა — ის და ბარანოვი მეგობრები არ ყოფილან. საერთოდაც, შიმშილის, სიცივისა და უძილობის დროს ვერანაირი მეგობრობა ვერ დამყარდება. ახალგაზრდობის მიუხედავად, მშვენივრად ესმოდა იმ ანდაზის სიყალბე, რომლის მიხედვითაც თითქოს მეგობრობა გასაჭირისა და უბედურების უამს გამოიკვდება. მეგობრობა რომ ნამდვილი იყოს, მას მყარი საფუძველი იმ დროს უნდა ჰქონდეს ჩაყრილი, როცა პირობები უკანასკნელ ზღვრამდე არ არის მისული, რომლის მიღმაც ადამიანში არავითარი ადამიანური აღარ არსებობს, მის ადგილას კი მხოლოდ უნდობლობა, ბოროტება და ტყუილი რჩება. დუგავეს ჩრდილოური ანდაზაც ახსოვდა — პატიმრის სამი მცნება: ნუ ენდობი, არ შეგეშინდეს და არ ითხოვო...

დუგავეს ხარბად წუნინდა „მახორკის“ ტკბილ კვამლს და თავბრუ დაეხვია.

— ესუსტდები... — თქვა მან. ბარანოვი დუმდა.

დუგავეს ბარაკში დაბრუნდა, დანვა და თვალები დახუჭა. ბოლო დროს ცუდად ეძინა, შიმშილი მოსვენებას არ აძლევდა. სიზმრებიც როგორც მტანჯველი ჰქონდა: გოგორა პურები, ოხშივარადენილი ცხიმინი წვნიანები... ბურანი გვიანდა ეწვია, მაგრამ თვალები ადგომამდე ნახევარი საათით ადრე გაახილა.

ბრიგადა სამუშაოს დაუბრუნდა. ყველა თავისი სანგრევისკენ წავიდ-ნამოვიდა.

— მოიცა! — უთხრა ბრიგადირმა დუგავეს, — შენ ზედამხედველი დაგასაქმებს! დუგავეს მინაზი დაჯდა — უკვე იმდენად დაღლილი, რომ მზად იყო, საკუთარი ბედის ნებისმიერი ცვლილებისთვის სრული გულგრილობით შეეხედა.

ტრაპზე პირველი საზიდრების ხმა გაისმა, ქვეშა ნიჩბებს ღრჭიალი დაანეცინა.

— აქ მოდი! — უთხრა ზედამხედველმა დუგავეს, — აი, შენი ადგილი! — სანგრევის კუბატური გადაზომა და ნიშნად კვარცის ნატეხი დაუსვა, — აქამდე მოხვალ! მეტრაპე შენს დაფას მთავარ ტრაპამდე გააგრძელებს. შენც იქ მიიტან, სადაც სხვები ზიდავენ! აგერ შენ ნიჩაბი, წერაქვი, ძალაყინი და საზიდი! საქმეს მიხედ!

დუგავემა მორჩილად დაიწყო მუშაობა.

— ასე სჯობია! — ფიქრობდა თავისთვის, — ამხანაგებს შორის აღარავინ დაიბუზღუნებს, რომ ცუდად გემუშაობ. ყოფილი მინის მხენელები რა ვალდებულნი არიან, მისი გასაჭირი გაიგონ და ისიც იცოდნენ, რომ დუგავეს დამნებია, სკოლის დამთავრებისთანავე უნივერსიტეტში დაიწყო სწავლა, იქაური მერხი კი ამ სანგრევით შეეცვალა?! ყველა თავისთვისას! სხვები მოვალენი არ არიან, ესოდეთ, რომ დიდი ხანია, ქანცაწყვეტილი და მშვიდია, თანაც მოპარვაც არ შეუძლია: მხებრებულად ქურდობა ხომ მთავარი ჩრდილოური სიქველეა, ამხანაგის პური იქნება ეს თუ ხელმძღვანელობისთვის გამოწერილი მსუყე პრემია იმ საქმისთვის, რომელიც ბუნებაში არ არსებობს და არც არასდროს უყრისებია. ვის რაში ანაღვლებს, თუ დუგავეს თექვსმეტსაათიან სამუშაო დღეს ვერ უძლებს?!

ისიც ზიდავდა, ანგრევდა, ყრიდა, ისევ ზიდავდა, ისევ ანგრევდა და ყრიდა!

სადილის შესვენების შემდეგ ზედამხედველი მოვიდა, დუგავეს ნამუშევარს შეხედა და ხმის ამოუღებლად გაბრუნდა... ის კი ისევ წვალბობდა! კვარცის ნიშნულამდე ჯერ ისევ ძალიან შორს იყო...

სალამოს ზედამხედველი ისევ დაბრუნდა, გორგალი გაშალა და დუგავეს ნაჯაფარი გადაზომა.

— ოცდახუთი პროცენტი! — თქვა და დუგავეს შეხედა, — ოცდახუთი! გესმის შენ?

— მესმის, — თქვა მან. ამ რიცხვმა გააკვირვა. ისეთი მძიმე სამუშაო იყო, ნიჩბის ზედაპირს ქვები ისე ძნელად ეკიდებოდა, ნერაქვით გრევაჯ როგორ უჭირდა! ნორმის ოცდახუთი პროცენტი ძალიან ბევრად

მოეჩვენა. კანჭებში სტეხდა, საზიდარზე მინოლისგან ხელები, მხრები და თავი გაუსაძლისად სტკიოდა. შიმშილის გრძობამაც დიდი ხანია, მიატოვა.

ჭამდა, რადგან ხედავდა, სხვებიც ასე იქცეოდნენ, რაღაც კარნახობდა, რომ უნდა ექამა, მაგრამ სურვილი კი აღარ ჰქონდა.

— მაშ, კარგი, — ნასვლის წინ უთხრა ზედამხედველმა, — მშვიდობით იყავი!

სალამოს გამომძიებელთან იხმეს. იმ ოთხ კითხვას გასცა პასუხი, რომელსაც პატიმარს დღეში ოცდაათჯერ მაინც უსვამენ: სახელი, გვარი, მუხლი და სასჯელი. შემდეგ დუგავეს დასაძინებლად წავიდა. მეორე დღეს ისევ ბრიგადასთან ერთად ბარანოვის გვერდით იმუშავა. შემდეგ ღამეს კი ჯარისკაცებმა „კონბაზის“ გარეთ, ტყისკენ მიმავალი ბილიკისკენ წაიყვანეს, სადაც დიდი ღობე იყო აღმართული, რომელიც პატარა ხეობას თითქმის ბოლომდე კეტავდა. მის თავზე კი მავთულხლართი იყო გაბმული, საიდანაც ღამდამობით ტრაქტორების შორეული გრუხუნის მოისმოდა. დუგავეს მიხვდა, რაც მის თავს ხდებოდა და ინანა: რა ტყუილად იშრომა, რა ამაოდ დაიტანჯა ამ უკანასკნელ დღე-ღამედღ დღეს?!

## გზავნილი

გზავნილები ვახტზე გაიცემოდა, ბრიგადირები კი მიმღებთა ვინაობას ადგენდნენ. დასკდომისას ფანჯრის ყუთებს თავისებურ ხმაზე გაჰქონდათ ტკაცანი. აქაური ხე სხვაგვარად იმტრევა და ხმასაც სხვანაირს გამოსცემს. გრძელი სკამების ბარიერს იქით მეტისმეტად მოწესრიგებულ სამხედრო ფორმებში გამოწყობილი ადამიანები გზავნილებს ზედმეტად სუფთა ხელებით ხსნიდნენ, ამონებდნენ, შეანჯღრევდნენ და ბოლოს და ბოლოს გასცემდნენ. ყუთები, თვეების მგზავრობისგან სულს რომ ღაფავდნენ, ჰაერში მარჯვად ატყორცნილნი იატაკზე ცვიოდნენ და სკდებოდნენ. შაქრის ნატეხები, ხილის ჩირი, სიღამპლეშპარული ხახვი, დაჭმუჭნული „მახორკის“ კოლოფები ძირს იფანტებოდა. იატაკზე დაყრილს უკვე აღარავინ კრეფდა. ამას არც არავინ აპროტესტებდა, რადგან გზავნილის მიღება მაინც დიდ სასარგებლოდ მიიჩნეოდა.

ვახტთან ახლოს შაშხანებით შეიარაღებული ბადრაგი იდგა — ყინვაში ჩამონოლილ თეთრ ნისლში ამოუცნობი ფიგურების მოძრაობა ილანდებოდა.

კედელთან მდგარი ჩემს რიგს ველოდი. ეს თეთრი ნატეხები ყინული არ არის, შაქარია! შაქარი! შაქარი! ერთი საათიც და ჩემს მტევანზე აღმოჩნდება, თოვლივით ხელის გულზე კი არა, პირში ჩამადნება. ამოდენა ნატეხს ორ-სამ ჯერზეც ვიკმარებ!

როგორია მატერიკიდან ჩამოტანილი საკუთარი „მახორკა“! იაროსლავის „ბელკა“, ან „კრემენჩუგი 2“. თავადაც მოვწევ და ყველას გავემასპინძლებდი, სულ ყველას! უპირველესად იმათ დაგვატიჟებ, ვისასაც მთელი წელი ვეწეოდი. მატერიკის „მახორკა“! ჩვენი ხომ სამხედრო საწყობებიდან ჩამოწერილი, ძველ თამბაქოს გვაძლევდნენ, რაც გიგანტური მასშტაბის ავანტიურა იყო: ბანაკს ისეთ პროდუქტს მიაწერდნენ, რომელსაც ვადა უკვე გასდიოდა. ამჯერად ნამდვილს მოვწევ! ცოლმა თუ არ იცოდა, ვინმე მაინც ეტყობა, რომ მახორკა ძლიერი უნდა იყოს.

— გვარკ?

გზავნილი ჭახანით გასკდა და ყუთიდან შავი ქლიავი გადმოცვივდა. შაქარი სადღაა?... ორ-სამ პეშე ქლიავსაც არაუშავდა...

— შენთვის ბანდულებია! მფრინავის ბანდულები! ჰაჰაჰა! კაუჩუკისლანჩინი! ჰაჰაჰა! მთავარი გამომძიებელივით! აჰა, მიიღე!

თავგზაბნეული ვიდექი. რად მინდა ეს ბანდულები? მაგას მარტო დღესასწაულზე თუ ჩაიცვამს კაცი — დღესასწაულზე კი ბანაკთან რა ხელი აქვს? აქ ირმის ტყავის ფეხსაცმელი, ტორბასები ან ჩვეულებრივი რეზინის ჩექმები თუ გამოგადგება. ბანდულები კი აქაურობისთვის ზედმეტი ფუფუნებაა, სრულებით უადგილოა! თან ამა-საც...

— ჰეი, შენ, მისმინე... — ამ დროს ჩემს მხარს ვილაცხის ხელი შეეხო.

ისე მოგებრუნდი, არც ბანდულები, არც ყუთი მხედველობიდან არ გამეშვა, რომლის ფსკერზეც ცოტა შავი ქლიავი დარჩენილიყო, თან ხელმძღვანელობის დანახვაც შემძლებოდა და მისი სახისაც, ვინც მხარზე შემეხო. ჩვენი სამთო ზედამხედველი ანდრეი ბოიკო იყო.

სწრაფად წამოურჩულა:

— მომყიდე ეგ ბანდულები! ფულს მოგცემ! ას რუბლს გადაგიხდი! ხო იცი, ბარაკამდეც ვერ მიიტან, ჩამოგართევენ, ესენი ამოგაცლიან, — ბოიკომ თითოთ თეთრი ნისლისკენ მიმანიშნა, — ბარაკში ხო მაინც პირველსავე ღამეს მოგპარავენ!

„თვითონვე მოაკითხავ, არა?“ — ჩემთვის გავიფიქრე.

— კარგი, ფული მოიტა!

— ხო ხედავ, როგორი კეთილი ვარ! — მითხრა და თან ფულს ითვლიდა, — სხვებივით მატყუარა არ გეგონო, ვთქვი, ასიმეთქი და ასს გაძლევ! — შიმობდა, ზედმეტი არ გადმოეყოლებინა.

ჭუჭყიანი ქალაქები ექვსად გაგვეცე და შარვლის ჯიბეში გავაქანე. ქლიავი ქურთუკში ჩავიყარე — ჯიბის უბეები დიდი ხნის წინ გამოგლეჯილიყო.

ერთ კილო კარაკი ვიყიდე! პურთან, ფაფასთან, სუფთან ერთად შეეჭამე! ვინმეს ბანრის ტომარის ჩანთას ვთხოვე; ასეთი ხომ ციხეში ყველა პატიმარ ფრავს უეჭველად ექნება. ძველი ბიჭები ამით არ დადიან?!

ბარაკში დავბრუნდი. ყველანი ნარებზე დანოლილიყვნენ, მხოლოდ ეფიმიონი იჯდა და ხელეწილ გავგრილებულ ღუმელზე შემოუნყო, სახე კი სითბოსკენ მიჰქონდა, რომელიც ჰაერში სწრაფად იკარგებოდა — წელში გამართვისა ეშინოდა, ღუმელს რომ არ მოშორებოდა.

— ცეცხლს რატომ არ აჩაღებ?

მორიგე შემოვიდა.

— ეფემიონის რიგია. ბრიგადირმა თქვა, მთავარია, შეშა იყოს, საიდანაც უნდა მოიტანოს... ძილის ნებას მაინც არ მოგცემ! ნადი, სანამ გვიან არაა!

ეფემიონი ბარაკის კარში გაძვრა.

— შენი გზავნილი სად არის?

— შეცდომა მოსვლია...

მალაზიაში გავიქეცი. მალაზიის გამგე შაპალენკო ჯერ ისევ ვაჭრობდა. მარტო იყო.

— შაპალენკო, პური და კარაქი მომეცი!

— გინდა, ბოლო მომიღო?

— აჰა, რამდენიც საჭიროა, აიღე!

— ხომ ხედავ, ფული რამდენი მაქვს?

— მითხრა შაპალენკომ, — შენაირმა უდღეურმა რა უნდა მომცეს! პური და კარაქი აიღე და დაახვი აქედან!

დამავისუნდა, შაქარი მეთხოვა. ერთი კილო კარაქი და ამდენივე ნამდვილი პური!.. სემიონ შეინინთან შევივლი. ის კიროვის ყოფილი რეფერენტი იყო, იმ დროს ჯერ კიდევ არ დახვრიტათ. ოდესღაც საერთო ბრიგადაში ერთად გვიმუშავია, შემდეგ ბემდა გაგვეყარა.

ბარაკში დამხვდა.

— მოდი, ვჭამოთ, პური და კარაქია, — შეინინს მშვიდი თვალები გაუბრწყინდა.

— ახლავე წყალს ავადულებ!

— არა, არ გვინდა!

— მოიცა, ახლავე მოვალ, — თქვა და მაშინვე გაქრა.

იმწამლე თავეში მძიმე საგანი მომხვდა. გონს რომ მოვედი და ფეხზე წამოვხტი, ჩანთა უკვე აღარსად ჩანდა. ყველანი თავიანთ ადგილას დარჩენილიყვნენ და გაბოროტებული სიხარულით შემომცქეროდნენ. ეს ყველაფერი მათთვის იშვიათი გართობა იყო. ასეთ შემთხვევებში ორი რამ ახარებთ: ჯერ ერთი, ვილაც ცუდადა და მეორეც, ეს ვილაც შენ არა ხარ! არა, ოღონდ ეს შური არაა...

ალარაფერს ვჩიოდი, მაინც ძლივს გადავრჩი ცოცხალი. უკვე ოცდაათმა წელმა გაიარა და ახლაც გარკვევით მახსოვს ნახევრად ბნელი ბარაკი, ამხანაგების ბოროტი, სიხარულით სავსე სახეები, იატაკზე დაგდებული ნესტიანი შეშის ნაპოვი და შეიმივის ფერნასული ლოყები...

ისევ ფარდულში დავბრუნდი. ამჯერად კარაქი და შაქარი აღარ მითხოვია. პური გამოვართვი და ბარაკში შევედი. თოვლი დავადნე და ქლიავის მოხარშვა დავიწყე.

ბარაკს უკვე ჩასძინებოდა — კვნესოდა, ხვრინავდა და ახველებდა. სამივენი იმას ვიხარშავდით, რაც გავაჩნდა: სინცოვი სადლიდან გადანახულ პურის ქერქს ათბობდა, მერე რომ ცხელი და ნებოვანი

ექვამა და ზედ ხარბად დაეყოლებინა ცხელი დამდნარი თოვლი, წვიმისა და პურის გემო რომ დაჰკრავდა. ილბიან და ეშმაკ გუბაროვს პატარა ქვაბში გაყინული კომბოსტო ჩაეყარა, რომელიც უკრაინული ბორშჩის მადისაღმძვრელ სურნელს აფრქვევდა. მე კი გზავნილით მიღებულ ქლიავს ვხარშავდი. ცდუნებას ვერ ვუძლებდით, ერთმანეთის ჭურჭლისკენ არ გავგვეცეოდა თვალი.

ამ დროს ბარაკის კარი ვილაცამ ნიხლის კვრით შემოაღო. ორთქლის ცივი ღრუბლიდან ორი ჯარისკაცი გამოვიდა. ერთი შედარებით ახალგაზრდა, ბანაკის უფროსი კოვალენკო იყო, მეორე — უფროსი, საბადოს ხელმძღვანელი რიაბოვი. ფეხზე საავიაციო ბანდულები ეცვა — ჩემი ბანდულები! გვიან მივხვდი, რომ შემეშალა, ჩემი არ ყოფილა.

კოვალენკო წერაქვის ქნევით ღუმელს ეცა.

— ისევ ეს ქვაბები! მე თქვენ გაჩვენებთ ქვაბებს! განახებთ, ტალახის მოხელა როგორ უნდა!

კოვალენკომ ქვაბები, სადაც სუფი, პურის ყუა და კომბოსტოს ფოთლები იხარშებოდა, ამოაპირქვევა და ძირები წერაქვით დაუხვრიტა.

რიაბოვი ხელებს ღუმელის მიღზე ითბობდა.

— თუ ქვაბებია, მოსახარშიც იქნება რამე! — ღრმამაზროვნად წარმოთქვა საბადოს უფროსმა, — ეს გაზულუქების ნიშანია!

— ერთი გენახა, რა მოუთითხნავთ! — ამბობდა კოვალენკო, თან ქვაბებს ატრი-ალეობდა.

უფროსები გავიდნენ თუ არა, ისევ დაჭეჭილ ქვაბს მივუბრუნდით, ჩვენი-ჩვენს ნარჩენებს მივხედეთ: მე — ჩირებს, სინცოვი — დამბალ უფორმო პურს, გუბაროვი — კომბოსტოს ფურცლებს. ყველაფერი უცებ შეეჭამეთ, დავიდარაბა რომ აღარ მოჰყოლოდა.

რამდენიმე ჩირი გადავყლაპე და დამეძინა. მას მერე დიდი ხანი გავიდა, რაც ფეხების გათბობამდე ჩაძინებას მივეჩვიე, წინათ ეს არ შემეძლო, მაგრამ გამოცდილებამ ესეც მასწავლა... სიზმარი ბურანს ჰგავდა.

სიზმარით ცხოვრებაც ხელახლა ბრუნდებოდა — კარი ისევ გაიღო. იატაკზე განოლილი თეთრი ორთქლის ბოლქვებმა ბარაკის შორეულ კედლამდე უცებ მიაღწია. სიახლისგან და უხმარობისგან აყროლებულ მოკლე ქურთუკებში გამოწყობილმა ხალხმა რაღაც უმოძრო, მაგრამ ცოცხალი და მოხროტინე მასა ხმაურით იატაკზე დაავლო.

მორიგე ათმეთაურის თეთრი ტყაპუჭების წინაშე გაცვივებთა და მოკრძალებულად დაიხარა.


— თქვენი კაცია? — ზედამხედველმა იატაკზე დაგდებულ ბინძური ძონძების გროვავზე მიუთითა.

— ეფიმიონა, — უპასუხა მორიგემ.

— ამის მერე ეცოდინება, როგორ უნდა სხვისი შეშის მოპარვა!

ეფიმიონი მრავალი კვირის მანძილზე ინვა ჩემს მეზობელ ნარზე, ვიდრე არ ნაიყვანეს და ინვალიდების პატარა ქალაქში არ ამოხდა სული. ამ საქმის ოსტატებმა, რომლებიც ასე ეწოდებოდნენ საბადოზე, შინაგანად გატყუეს. არ დაუჩივლია, ჩუმად ინვა და თავისთვის კვნესოდა.

თარგმანი არჩილ წერაქვიანმა






— თონა, წარუდგინოთ მკითხველს შენი ახალი წიგნი.

— ახალ წიგნს — „ჩიტი არ გამოფრინდება“ — საფუძვლად სირიელი ლტოლვილებისა და აფხაზეთიდან დევნილების რეალური ისტორიები დაედო. მართალია, აღწერილია აფხაზეთისა და სირიის ომის ამბები, თუმცა წიგნი არ არის ომზე, ის სიცოცხლის სიყვარულზე, გადარჩენისთვის ბრძოლაზე, ყველაზე რთულ ადამიანურ არჩევანზე, წარსულის გადაფასებასა და მომავლის რწმენაზეა. მთავარი გმირი ქალია, რომელმაც ექვსი წლის ასაკში დედამამასა და ტყუპისცალ დასთან ერთად დატოვა ცეცხლსა და დევნილობის სიბრძნისა და სიშინელის შემდეგ სირიაში ფოტოკორესპონდენტად მივლენილმა, სხვის ომში საკუთარი ომისა და დევნილობის გახსენება და გააზრება დაიწყო. ძალიან რთული იყო ამ წიგნზე მუშაობა, ბევრი განცდა და ემოცია ჩავიდე და ამიტომაც არ მიკვირს, როდესაც მეუბნებიან, რომ უცრემლოდ მისი წაკითხვა უჭირს. ჩემი მიზანი სწორედ ეს იყო — გამოიწვიო ემოცია, განცდების სიმძაფრე და, რაღა თქმა უნდა, კათარზისი, რაც არის კიდევ ხელოვნებისა და ლიტერატურის მთავარი დანიშნულება.

— შენ თავად ნახე სირიელი ლტოლვილები და ფოტოებიც გადაუღე. გქონდა მათთან კონტაქტის საშუალება? გარდა ემოციებისა, რა მოგცა ამან წიგნისთვის?

— 2016 წელს ვიყავი სირია-თურქეთის საზღვარზე, ჩემგან რამდენიმე ასეულ მეტრში ალექსო იყო, სადაც ყუმბარები ცვიოდა და ფეთქდებოდა. მოვიხიხულე ორი ყველაზე დიდი ბანაკი კილისსა და ნიზიში და სირიელ ლტოლვილებთან შეხვედრამ, მათი ისტორიების მოსმენამ, ცხადია, უზღვევ ემოციასთან ერთად შთაგონებაც მოცა. ფოტოებს რომ ვიღებდი, განსაკუთრებით ბავშვების სახეები იყო მთამბეჭდავი, რომლებიც მორბოდნენ, მეხუტებოდნენ, მიციოდნენ. არაბული ზღაპრის პერსონაჟებს ჰგავდნენ. ბევრ ადამიანს მოეუწმინე. მათი ამბები თითქოს ჰგავდა და თან არ ჰგავდა ერთმანეთს. შესაძლოა, ომს ერთი სახე ჰქონდეს, მაგრამ მისი მსხვერპლი სხვადასხვაგვარად უბედურია. მაგალითად, 18 წლის ბიჭმა მითხრა, რომ თავისი ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე უფრო ბევრი გარდაცვლილი ჰყავდა ნანახი, ვიდრე ცოცხალი ადამიანი. მოგვიანებით ის ჩემს პერსონაჟ აბულად გადაიქცა. ჩემთვის მათი ისტორიების ცალკეული დეტალები იყო საინტერესო — როგორ ცხოვრობდნენ, სად შოულობდნენ საკვებს, როგორ ემალებოდნენ სიკვდილს და როგორ ცდილობდნენ საკუთარი თავისა და ახლობლების გადარჩენას. და საერთოდ, რა ხდება მამონ, როდესაც ერთი ცხოვრება მთავრდება და იძულებული ხარ, დაიწყო მეორე — უცხოობაში, დევნილობაში, ომის ტრაგედიებით, დაკარგული სამშობლოსა და ძვირფასი ადამიანების გარეშე.

— შენი დაკვირვებით, წერისთვის პირადი გამოცდილება აუცილებელია?



— არა. მირჩევნია იმაზე ვწერო, რაც ჩემს წარმოსახვაში არსებობს და გონებაში მუშავდება; რასაც წარმოვიდგენ და მერე ისე განვიცდი, როგორც საკუთარ თავზე გადახდენილს. ის, რაც ჩემი პირადი გამოცდილებაა, არასდროს მიქცევია შემოქმედებით მასალად. მირჩევნია, სხვის ტყავში შევძვრე და ერთგვარი მედიატორი, გამტარი ვიყო. მგონია, მხატვრული ლიტერატურის ღირსებაც ესაა — აიღო სრულიად ნედლი მასალა, წარმოიდგინო, ამბავად აქციო, ხორცი შეასხა და ასე ააგო ლიტერატურული სამყარო. ალბათ ამიტომ იყო, როცა წერა დავიწყე, უფრო ფენტიზისა და მაგიური რეალიზმის ჟანრის მოთხრობებს ვანიჭებდი უპირატესობას.

— წერის დროს წინასწარ არჩევ ფორმას თუ წერის პროცესში იკვეთება?

— ყველაფერი წერის პროცესში ხდება. არათუ ფორმა, წინასწარ შინაარსიც კი არ ვიცი. არასდროს მაქვს, ეგრეთ წოდებული, სინოფისი. არ ვიცი, როგორ განვითარდება ამბავი. ეს პროცესი ფირის გამჟღავნებას ჰგავს — ფოტოქაღალდზე სახე თუ პეიზაჟი თანდათან რომ იწყებს ხოლმე გა-



მოკვეთას. და რადგან წერა ჩემთვის, უპირველესად, სიამოვნებაა, ამიტომ ეგოისტურად ვიქცევი და ვწერ ისე, როგორც მსიამოვნებს. ასე და ამგვარად, ერთდროულად საკუთარი ტექსტის მკითხველიც ვარ და მწერალიც.

— ხშირად ამბობენ მწერლები, რომ პერსონაჟები თავიანთი ქუაზე დატარებენ. შენს შემთხვევაში რა ხდება?

— სიმართლე გითხრა, არ მჯერა. როგორ შეიძლება, პერსონაჟმა საკუთარ ქუაზე ატაროს ავტორი, ცოცხალი ადამიანი და თავის ნებაზე მოქმედებს თუ რა?! ეს უფრო მეტაფორული ნათქვამი მგონია, როდესაც წერის პროცესში ისე იცვლება ტექსტი, რომ პერსონაჟის ხასიათისა და საქციელის ცვლილებასაც ითხოვს. მწე-



რალი შემოქმედია, რომელიც საკუთარ სამყაროს ქმნის და იქ თუ ვინმე უმხედრდება და მისი „სამოთხიდან“ გარბის, ეს თავად „ღმერთის“ ნებაა.


— რომელ ჟანრს მიაკუთვნებდი შენს ახალ რომანს?

— მიუხედავად იმისა, რომ წიგნს საფუძვლად ჩვენი უახლესი წარსული და დოკუმენტური ამბები უდევს, მაინც თავიდან ბოლომდე მხატვრული ტექსტია; რეალისტური პროზა, რომანი პარალელური თხრობით, სრულიად სხვადასხვა სამყაროში აღმოცენებული პერსონაჟებით, რომლებიც თემებითა თუ ბედისწერით იკვეთებიან ერთმანეთთან. ეს წიგნი სტილისტურად განსხვავებულია ჩემი სხვა ადრინდელი ტექსტებისგან, მაგრამ, რა თქმა უნდა, აგრძელებს იმ ხაზს, რასაც ზოგადად ვატარებდი ადრინდელ ნაწარმოებებშიც — ჩვენი ქვეყანა, მისი წარსული და აწმყო გლობალურ კონტექსტში, ადამიანი, რომელსაც არ აურჩევია ომი; ადამიანი, რომელიც უნდა გადარჩეს ამ აბსურდში, უნდა დარჩეს ადამიანად და შეძლოს ცხოვრება სხვისთვის.

თონა დოლენჯაშვილი: „ჰნერ, როგორც მსიამოვნებს“

გვაქვს. ახლახან სამინისტრომ გამოაცხადა პრიორიტეტები, რაც ძალიან კარგია. მთავარია, ყველაფერი ეს განხორციელდეს. კულტურული მემკვიდრეობის დაცვასთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს თანამედროვე ხელოვნებას. წარსულის დაცვასთან ერთად ვიზრუნოთ ჩვენს მომავალზე, თანამედროვე ლიტერატურაზე, ვიზუალურ ხელოვნებაზე, კინოზე, თეატრსა და მუსიკაზე. გამოჩენილი, ორიგინალური და ნიჭიერი ადამიანების აღმოჩენაა ახლა მნიშვნელოვანი, რადგან ახალი სამყარო ითხოვს ახალ სიტყვას, ახალ ფერს, ახალ ბგერას. მივცეთ ახალგაზრდებს შემოქმედებითი თავისუფლება, განვავითაროთ შემოქმედებითი ინდუსტრიები. ცოტაოდენი მხარდაჭერაა საჭირო და ეს აუცილებლად გამოიღებს ძალიან დიდ და მსუყვე შედეგს და ქართული ხელოვნებაც ჩადგება მსოფლიო კულტურის ავანგარდში.

— უნდა იყოს თუ არა ხელოვანი ჩართული სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში და რა მხრივ, ან რა დოზით?



— დღევანდელ ქართულ ლიტერატურას რომ შევხედოთ, როგორ შეაფასებდი თანამედროვე ქართულ მხატვრულ ტექსტს მსოფლიო ლიტერატურის ჭრილში? მიჰყვება დღეს ქართული ლიტერატურული პროცესი მსოფლიო ლიტერატურულ ტენდენციებს?

— თანამედროვე ქართული ლიტერატურა უნისონშია მსოფლიო ლიტერატურასთან, ჩვენი ავტორები ტოლს არავის უდებენ და მნიშვნელოვან წიგნებს წერენ. ნებისმიერ ქვეყანაში მათი ტექსტები იქცეოდნენ ბესტსელერებად და მაღალმხატვრულ ლიტერატურას ფასი დაედებოდა. ჩვენ მხოლოდ ერთი რამ გვაკლია — გავაცნოთ ეს ავტორები და მათი წიგნები მსოფლიოს, შევძლოთ თარგმნა, გამოცემა და საერთაშორისო ასპარეზზე გატანა. ჩვენი პოეზია და პროზა ნამდვილად იმსახურებს, იყოს ერთ-ერთი მონიწივე. ჩვენ დიდი ლიტერატურული ტრადიციების ქვეყანა ვართ და საქართველოს სავიზიტო ბარათი კვლავ მისი ლიტერატურა და კულტურა უნდა იყოს. დღეს ამის ყოველგვარი პირობა არსებობს. რეკლამის და ტექნოლოგიების სამყაროში ვცხოვრობთ და, შესაბამისად, მხოლოდ და მხოლოდ ფეხის აყოლაა საჭირო, მას მხოლოდ სწორად შეფუთვა, უცხოელ მკითხველთან მიტანა და პოპულარიზაცია სჭირდება.

— როგორ უნდა წარმართოს კულტურისა და, კერძოდ, ლიტერატურული პროცესები?

— ზემოთ დაწვებულ აზრს გავაგრძელებ და ვიტყვი — მეტი ფინანსური მხარდაჭერა ლიტერატურას, სამწერლო რეზიდენციებსა და სხვადასხვა მთარგმნელობით პროგრამას. ლიტერატურულ ფესტივალებსა და ბაზრობებს. ჩვენ კულტურის პოლიტიკის მშენიერი დოკუმენტი

— მწერალი ვერ ჩაიკეტება საკუთარ ოთახში და ვერ იქნება თვითმარ იზოლაციაში, ის უნდა გრძობდეს საკუთარი დროების მაჯისცემას, აინტერესებდეს ადამიანი — იზიარებდეს პრობლემებსა და სიხარულს. შესაბამისად, უნდა ამბობდეს თავის სიტყვას — ობიექტურს, მიუკერძოებელს, ადამიანის უფლებებისა და ინტერესების დამცველს. მწერალი საკუთარი ტექსტებით უკვე ქმნის პოლიტიკას. ძალიან მომწონს ოთარ ჭილაძის სიტყვები — „მწერალი ყველაზე დიდ პოლიტიკას ქმნის“ — და ეს მართალია. დიახ, მწერალი ყველაზე გადამწყვეტ და მნიშვნელოვან პოლიტიკას ქმნის, რადგან ლიტერატურას ყველაზე დიდი ძალა აქვს. პირველი პოეტები ჩვენი მეფეები იყვნენ, ხოლო განმანათლებლები და პოლიტიკოსები — თერგდალეულები თუ ცისფერყანწელები — ჩვენი დიდი მწერლები. შემოქმედებს შეუძლიათ, სამყარო უკეთესი გახადონ, სამოქალაქო საზოგადოებისა და მართალი აზრის ფორმირებას შეუწყონ ხელი. თეოდორ შოპისის სიტყვებია — „პოლიტიკა ვერ განსაზღვრავს კულტურას, მაგრამ კულტურამ შეიძლება, განსაზღვროს პოლიტიკა“.

ესაუბრა დალილა გომია  
შემდეგი ნომერი გამოვა ერთ კვირაში — 16 ივლისს